

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ეტიმოლოგიური
ძიებანი
XIII

ედღვნება

გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფების
ბიძინა ფოჩხუასა და მიხეილ ჭაბაშვილის
ხსოვნას

თბილისი

2016

UDC (uak) 81373.6(0512)

ე-871

„**ეტიმოლოგიური ძიებანი**“ ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუძნდა **აკად. ქეთევან ლომთათიძის** ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ არაბული (მთავარი რედაქტორი)

ნანა მაჭავარიანი

მურმან სუხიშვილი

მედეა ღლონტი (რედაქტორი)

ვაჟა შენგელია

იზა ჩანტლაძე

მერაბ ჩუხუა

ზურაბ ჭუმბურიძე

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISSN 1987-9946

ელიზაბეტა გაზდელიანი, როინა ჭკადუა

**სარიტუალო პურის სახეობის
ამსახველი ლექსიკა სვანურში**

სვანეთი და სვანური ენა სხვადასხვა დარგის მეცნიერთა დიდ ყურადღებას იქცევს. როგორც ცნობილია, სვანეთში რამდენადმე დაცულია უძველესი მატერიალური, სულიერი კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი ადრეული ფორმები. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანულ ღვთაებათა გვერდით დღემდე შემორჩენილია წარმართული რწმენაწარმოდგენების ნაშთები, მათთან დაკავშირებული ლოცვები და გარკვეული რიტუალები.

სვანურ სავედრებელ ლოცვებში ასახულია ადამიანთა დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, ღმერთებისა და წმინდანებისადმი. სავედრებელი ლოცვები, მსხვერპლშეწირვა (საკლავის სახით), შესაწირი კვერების გამოცხობა, სადღესასწაულო სუფრის გამართვა მიძღვნილია ამა თუ იმ ღვთაების სახელზე, რომელსაც ევედრებოდნენ ჯანმრთელობას, ოჯახში მშვიდობას, ოჯახის წევრების და საქონლის სიმრავლეს, ხელსაყრელ (კარგ) ამინდს უხვი მოსავლის მისაღებად.

საინტერესოა ადრე ქრისტიანული თუ წარმართული ელფერის მქონე დღესასწაულებთან, მიცვალებულის კულტთან, სულის საქმესთან დაკავშირებული ენობრივი მონაცემები.

ჩვენი ყურადღება მიიქცია სვანურ ენაში დადასტურებულმა, მრავალფეროვნებით გამორჩეულმა სარიტუალო, სალოცავი და შესაწირი პურის (კვერების) აღმნიშვნელმა ტერმინებმა. მათი სრულყოფილად აღნუსხვა და განხილვა ერთ სტატიაში შეუძლებელია, მაგრამ ვეცადეთ ყველაზე მნიშვნელოვანი სემანტიკური ჯგუფები და მასში შემავალი კერძო მნიშვნელობის სიტყვები წარმოგვედგინა.

აღნიშნული ლექსიკა სხვადასხვა კუთხით გაანალიზებულია ივ. ჯავახიშვილის, ვ. ბარდაველიძის, ბ. ნიჟარაძის, მ. ჩართოლანის, ნ. წერედიანის და სხვა მეცნიერთა გამოკვლევებში.

სალოცავი პურის სახეობები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

ხსნილსა და მარხვაში აღსავლენი, შესაწირი კვერები. მარხვა სვანურში შემდეგი ტერმინებით აღინიშნება: **ლი-ნჩ-წლ** ბზ., **ლი-ნჩ-წლ** ზს., **ლი-ნჩ-წლ** ლშხ., **ლი-ლერ-წლ** ლნტ. „დიდმარხვა“ (ეტიმოლ. **ლი-ლერ-ე** „დაცვა“). **უჭიმ** ზს., ლნტ. **უჭმ.** ლშხ. „მარხვა“, „ქრისტეშობის მარხვა“ (ეტიმ. უჭმელობა), **ოხდრის** ბზ., **ოხთრის**, **უოხთრის** ბქ., ქს. „ხსნილი“, სახსნილო საჭმელი“. ხსნილი ბ. ნიჟარაძეს თარგმნილი აქვს როგორც **მე-ფშუდ-ე** – разрешенный, позволенный. **მე-ფშუდ-ე** თავის მხრივ ნიშნავს: აშვებული, გაშვებული. მარხვის აღსანიშნავად გვხვდება აგრეთვე **კუახობ** – (ხმიადობა) მარხვა, (ხმელი პური, ხმიადი).

ლემზირ ზს., **ლე-მზერ** ლშხ., **ლე-მეზირ** ლნტ. „სალოცავი პური“.

ლე-მზირ წარმოადგენს მიმღეობურ ფორმას **ლი-მზრ**, **ლი-მზურ**, **ლი-მზირ** ზს., ლშხ., **ლი-მეზრ-ე** ლნტ. „ლოცვა“ ზმნისა. „**ლიმზურ** აღნიშნავდა არა მარტო ლოცვას, არამედ ერთდროულად ლოცვას და მსხვერპლის მიტანას“ (ვ. ბარდაველიძე, გვ. 78). **ლემზირ**, ამავე დროს, რომელიმე ღვთაების ან მფარველი არსების სახელზე გამომცხვარი პურია.

ლემზირ-ს უწოდებენ, აგრეთვე, ყველაფერს სალოცავს: საკლავს, ყოველგვარ შესაწირს. ძირითადად კი პურს, რომელსაც კუწობობებს ან ნაწიბურებს უკეთებენ.

სარიტუალო-სალოცავი პური (**ლემზირ**) „აუცილებლად წმინდა (წყილიან) ფქვილისაგან უნდა გამომცხვარიყო. ფქვილის „სიწმინდე“ ხორბლის წმინდად მოყვანა-მოწევიდან იწყებოდა, რაც სამეურნეო საქმიანობისას ქალის (დედათა წესი არ უნდა ჰქონოდა) და სოფლის (სოფელში მიცვალებული არ უნდა ყოფილიყო) სიწმინდეს გულისხმობდა.

მარხვის დროს – **ლე-მზირ-წლ-ს** „სალოცავ კვერებს“, ზოგჯერ აცხობდნენ ეკლესიის მინაშენში, რომელსაც **ლა-დბ-წმ** – „სადიდებელი“ ეწოდებოდა. შდრ. **დიდბ** – „დიდება“ და შესწირავდნენ ამ ეკლესიის წმინდანს.

ლემზირ-ი ხსნილის დროს სახსნილო გულსართიანი (ყველის, ხორცის...) პურია. მარხვაში შეიძლება ყოფილიყო **ჭურუ** „აუფუებელი“, **კუბ** „ხმიადი პური გულსართის გარეშე“ და სამარხვო გულსართით (ლობიო, ნიგოზი, მხალეული და სხვ.).

ჭურუ ← **ლი-ჭურ-ე** „მოზელა“ (მხოლოდ წყალზე მოზელილი) კვერი.

კუბ „სვანურ ლექსიკონში“ ორი მნიშვნელობით გვხვდება:

1. სამარხვო საჭმელი. 2. ხმელი პური, ხმიადი.

ნ. ჭუმბურიძე სვანურ **კუბ**-ს უკავშირებს მკვახე/კუბახე... ძირს. „როგორც ჩანს, **კვახ/კოხ/კუხ** ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო ძალიან მაგარი“... (ჭუმბურიძე 2009: 16).

ზოგადად, **კუბ** **დიწრ** ნიშნავს ხმიადს – „პური უფუვარი და უმარილოდ ნამცხვარი“ (საბა), ხოლო **კუბ** **ლემზირ** – მარხვის დღეებში გულსართის გარეშე გამომცხვარი კუწუბოებიანი პური, შესაწირავი სამარხვო კვერი.

ლე-სკარ ზს. ლნტ. **ლე-სკარ** ლშხ. დიდი ხაჭაპური; სადღეობო პური, რომელიც ცხვება **ლა-სკარ-ში** (თემის ან გვარის ერთობლივი ლხინის, დღესასწაულის დრო). მ. ჩუხუა ადადგენს საერთოქართველურ *წარ-ს ამოსავალი მნიშვნელობით რიგი, წესი. *წარ → ქართ. წარ-ი: ზან. ნწკარ, სვ. **სკარ** || **კარ** (ჩუხუა 2000-2003: 203). უნდა შევნიშნოთ, რომ სვანურში **ლი-ნწკარ-ე** დასტურდება რიგზე, წესის მიხედვით დაწყობის, ჩამწკრივების მნიშვნელობით. **დინწშ ნწთიწრ აშუ ფოყბენ ლექვეზენწკარანხ** (ბქ.) „გოგოს ნათესავეები ერთ მხარეს ჩამწკრივდნენ“.

ლესკარ-ი შეიძლებაოდა სახსნილო, რომელშიც გულსართად გამოიყენებოდა ყველი, ყველში შეხეილილი ბადე ქონი, იშვიათად ხორცი. სამარხვო დღეობისას ცხვებოდა **კვახ ლესკარ**.

კუბ **ლესკარ** დიდი ზომის შესაწირავი კვერი, უგულო“ (ვ. ბარდ. 223) ან გულსართით (ლობიო, კარტოფილი, მხალეული...) სამარხვო.

ლემზირ მიძღვნის ადრესატის მიხედვით რამდენიმე სახისაა:

ლამპარიპ შილგენე – წმინდა მარიამის ხელდასმული (ში „ხელი“ **ღე-გნ-ე** დადგმული“). ამავე სახელით აღინიშნება საგანგებოდ გამოყოფილი წმინდა პურის (ხორბლის) ფქვილი.

ლა-წდ-წშ ლემზირ – „დასანახი სალოცავი პური, კვერი“. ახალი წლის წინა ღამეს გამომცხვარი **ლა-წდ-წშ (ლი-წედ „დანახვა“)**.

არგი-ლ-ი ლემზირ „ადგილის (შინას) სალოცავი პური (**არგი „შინ“)**).

მუჭუარ-იან ლემზირ „რქიანი, კუწუბოებიანი სალოცავი პური“ (**მუჭუ „რქა“)**).

მუ-ჭუელ ლემზირ „საწინამძღოლო სალოცავი პური“, ცხვებოდა ახალ წელს და უნდა ეჭამათ მხოლოდ მამაკაცებს.

კერ-ი ლემზირ „კერიის პური“, კერიის სალოცავი პური, კვიმტობის დღეს ცხვებოდა“.

დული ლემზირ „დულის სალოცავი პური“ – წყალკურთხევის, ღმერთების ნათლობის (**ღერთ-ალ-ე / ლი-პრისდ-ალ) განცხდებ**“ „გაცხადებ-ის მეორე დღეს გამომცხვარი ხაჭაპური, რომელსაც მხოლოდ ქალები მიირთმევენ დანარჩენი ოჯახის წევრებისგან მალულად.

ლუ-ხურ-წშ ლემზირ – თავყრილობისათვის განკუთვნილი სალხინო სალოცავი პური. (**ლუ-ხორ „თავყრილობა, შეკრება“)**.

ნეზუტ-ტახწ ლემზირ || **ნეზუტ-ტახწ ტახელ** „ღორების გასამრავლებლად (ნეზვისა და ტახისთვის) განკუთვნილი სალოცავი კვერი“.

სვანურ დიდ ოჯახებში სამეურნეო საქმიანობა განაწილებული იყო ოჯახის წევრებს შორის, ამიტომ, გარდა ზემოთჩამოთვლილი სახეობებისა, ოჯახში სხვადასხვა საქმიანობის შემსრულებლების სახელზე დასალოცი **ლემზირები** ცხვებოდა:

მე-ლდღ-წშ, ანდაჟ-წ (მწყემსების) ლემზირ.

მე-შგალ-ია (მწველავების) ლემზირ.

მე-ნწ-იწშ (თივის დამყრელის, «გამომ» კვებავის) ლემზირ.

ჩოლურულში ამ სახის დასალოცი კვერს ეწოდება **კაარიი (კარბ) ტახელ** – „ოთხფეხისათვის საზიდავი დიდი გოდრის ტახლა,

აცხოვენ საბძელში და ჭამდა მესაქონლე“ (ლიპარტელიანი 1994, 157). შდრ. **მეკარელი (მე-კარ-ი)** საქონლისათვის კარით საკვების მინტანი (დონდუა 2001, 221)

მუ-ღუჰერ-წ (მეწისქვილის) ლემზირ, და ა. შ.

ტერმინი **ლემზერ, ლემზირ** მთელ სვანეთშია გავრცელებული, ხოლო **ტაბელ** სალოცავი პურის მნიშვნელობით ძირითადად ქვე-მოსვანურში გვხვდება. იგი **ლემზირთან** შედარებით პატარაა, სეფისკვერს უფრო ჰგავს (რიგ შემთხვევაში, ამ სახელით სეფისკვერსაც აღნიშნავენ). **ტაბელ**-ის ცხოვისა და შეწირვის პერიოდს **ლი-ტბელ-ი** „ტაბლობა“ ეწოდება. ლენტეხში დღემდე არსებობს საგაზაფხულო – საუფლო დღესასწაული (საეკლესიო კალენდრით სამებობა, სულ-თმოფენობა). **ფუსტა ლი-ტაბლ-იელ** „უფლის ტაბლობა“.

კ. დონდუას „სვანურ-ქართულ-რუსულ“ ლექსიკონში **ტაბელ** განმარტებულია, როგორც „ტაბლა-შესალოცავი პური“ (დონდუა 2001: 274).

საკმაოდ ვრცლად განმარტავს **ტაბელ**-ს ა. ლიპარტელიანი: „კვერი, ღვთისადმი აღსავლენი პურები – ჯვრის ფორმის კვერები, აცხოვენ უფლის სახელზე, დედა მარიამისადმი შესაწირ კვერზე ჯვარს გამოსახავენ – დანარჩენ კვერებს ოთხქიმიანად აცხოვენ ჯვრის ფორმაზე. აცხოვენ კვერებს: 1. კერიისას, 2. სახურავისას, 3. ხარების, და ა. შ.“ (ლიპარტელიანი 2014: 244).

ტაბ-ელ, ტაბ-ილ-ის პარალელურად გვხვდება **ტაბლ-წმ** ფორმაც, რომელიც ასევე განმარტებულია რელიგ. – ტაბლა, კვერი, კოკონი (სვ. ლექსიკონი, 2000: 714).

როგორც **ლემზირ**, ასევე **ტაბელ**-ი შეიძლება იყოს საიდუმლო, უცხო თვალის დასანახად აკრძალული. **უ-წონ-წმ || უ-წუნ-წმ || უ-წენ-წლ** ბზ., **უ-წენ-წმ** ბქ., **უ-წუნ-ა** ლმზ., **უ-წუნ-ა** ლნტ. „საგანგებოდ შეწირული საკლავი ან ნამცხვარი, რომელიც ისე უნდა შეიჭამოს ოჯახში, რომ გარეშემ არ დაინახოს“.

უ-წუნ-წმ უარყოფითი მიმღეობაა ზმნისა, **ლი-წუნ-ე** „ჩვენება, გამოჩენა“.

ტაბლა, როგორც სარიტუალო პური, როგორც ჩანს, საქართველოს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. „გარკვეულ დღეობა-დღესასწაულებთან დაკავშირებით რიტუალური დანიშნულების ნამცხვრებს ტაბლა ეწოდება“ (ბრეგაძე, 1969: 170), ტაბლა მთიულურში მიცვალებულისთვის გამოცხვარ დიდ ქადას აღნიშნავს (კაიშაური 1967, 232).

მკ. ქართულში ტაბლა აღნიშნავდა სუფრას, მაგიდას (ილ. აბულაძე). საბა განმარტავს, როგორც ფიცრის სუფრას.

დაახლოებით ანალოგიური მნიშვნელობით დასტურდება ხევსურულსა და მოხეურში: გაწყობილი სუფრა, მაგიდა პურის საჭმელად.

სუფრის მნიშვნელობით სვანურში გვაქვს **ტაბზგ**.

უწჷენზმ...-ის პარალელურად, ოღონდ რამდენადმე სხვა მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი **ლა-ლ-ყაჯ || ლე-ლ-ყაჯ**.

ლე-ყაჯ „აკრძალული“, „ტაბუირებული“ (**ლი-ყჯ-ენ-ი** „აკრძალვა, ტაბუს დადება“). **ლალყაჯ**-ს უწოდებენ გარკვეული საოჯახო დღეობებში შეწირულ ზვარაკს, რომლის ხორცი მხოლოდ ოჯახის წევრებს შეუძლიათ ჭამონ. მ. ჩუხუა საერთოქართველური *ყამ-დან „აკრძალვა“ მომდინარედ მიიჩნევს ქართულ **კრძ**-ალ-ს და სვანურ **ყაჯ || ყაჯ**-ს (ჩუხუა, 2000-3003: 274).

აკრძალვის ნიუანსს შეიცავს **დულჷში** მამაკაცების ჩუმად მანდილოსნების მიერ **ნაჭიში** (სამეკვლეო) ფქვილით ყველიანი კვერის გამოცხობა და შეჭმა. თვითონ **დულჷა** ქვემოსვანურში ნიშნავს ჩუმჩუმელა, მალულად მოქმედ, ქვეშეკვეშა ადამიანს (შდრ. **დულუ-ლიანი** „ქვეშეკვეშა“ ლ. კაიშაური 1967: 204) ე. წ. **დულა ლიმზერ** „დულ-ის ლოცვა“ კვიმატ დღეს (ახალ წლის შემდგომ ორ-სამი დღე) ტარდებოდა ძირითადად.

სვანურში სარიტუალო პურის დასახელებებში გვხვდება **სეფსკუტერ** (ქართ. სეფისკვერი), **კირკალდუ** – „ნაკურთხი წყლით მოზეილილი მრგვალ, პატარა, გულცარიელი, ნაპირებზე კუწუბოებიანი კვერი“. ჩოლურულში დასტურდება **კირკატუ** ფორმა – რგოლად

გამომცხვარი ტაბლა, რომელსაც დიდი მარხვის დასაწყისში, **უტკუნ დოშდომ** ბნელ ორშაბათს აცხობდნენ. რაჭა-ლეჩხუმში მას გვერგვ ჰქვია (ლიპარტელიანი, 2014).

კვანჭილწრ – პატარა ყველისგულიანი კვერი

მ. სალიანი სვანურ **კუწწკ-ილ** უკავშირებს ფშავში გავრცელებულ სარიტუალო პურს **კუჭ-ალ-ი**. (სალიანი, 2000: 104). შეიძლება ქვემოსვანურში არსებული **კუწში** ლშხ. **კუწში** ლნტ. „მჭადი“. მომდინარეობდეს **კუწანჭი** ტერმინიდან. **კუწანჭი** ტერმინი ქვემოსვანურში არ დასტურდება. ლაშხურში **ა** ხმოვნის სიგრძე დაკარგული **ნ** სონანტის კომპენსაცია უნდა იყოს.

ზენახარი – მარილის გულიანი კვერი.

ქალბაზწრ – დიდი ზომის, თხელი და კუწუბოებიანი ლავაში.

განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა **ტეტწშ დიწრ**-ს „ნაცრის პური“. ზოგადად, ნაცარი გლოვასთან იყო დაკავშირებული. მიცვალებულის დაკრძალვის წინა საღამოს **ტეტწშ ლეთ** „ნაცრის ღამე“ ეწოდება. აღნიშნულ საღამოს მიცვალებულის ოჯახში იკრიბებიან ახლო ნათესავები, რომელთაც შესაწირის სახით მოაქვთ **ტეტწშ-დიწრ** „ნაცრის პური“. დაკრძალვის დღეს კი ცხვებოდა **გომიჯ** „გომიჯი, სეფისკვერი“. **გომიჯ** საკმაოდ დიდი ზომის პური იყო, რომელიც თევზის მაგივრობას ასრულებდა. **გომიჯ**-ს „ჭრელ ხმიადს“ უწოდებს საბა.

დაკრძალვის დღეს ბქ-ში აცხობენ ე. წ. **კვამწშ დიწრ**-ს „კომლის პური“, რომელიც სპეციალური კალაპოტით (კალპეტ) ცხვება. იგი საკმაოდ დიდია და ჭირის სუფრაზე ისიც თევზის მაგივრობას ასრულებდა.

ხაჭაპურის ერთ-ერთი სახეობა „**მუ-კურწ-უნ-ილ**“ მიცვალებული ბავშვების სახელზე ცხვებოდა. **ლიფანალის** მიცვალებულთა სულების მოსახსენებელ დღეს. ამ სალოცავი კვერის დანიშნულება იყო, რომ საიქიოში ბავშვები ზედ შემდგარიყვნენ, რათა სიმაღლიდან უკეთ დაენახათ ქრისტე. (ბ. ნიჟარაძე, I, 57).

ზომით პატარა რიტუალური პურები იყო **პიტარ**, **პიტ**- პატარა

კვერი, რომელიც ყველჩართულიც ცხვებოდა: **თაშნარ პიტინარ** „ყველიანი პატარა პურები“ (ლმხ. 274).

თავისი დანიშნულებით მეტად საინტერესოა სადღესასწაულო პური **ლესკარ** დიდი ზომის შუაზე ჯვარდასმული, რომელიც ძირითადად ყველჩართული ცხვებოდა. **ლასკარ**-ში (დღეობაში) შეგროვებული ფქვილით და ყველით გამომცხვარი. ამ სარიტუალო პურს განსაკუთრებული წესების დაცვით აცხობდნენ და იყენებდნენ.

აღ. დავითიანი დაწვრილებით აღწერს **ლესკარ**-ის გამოცხობის წესს (ხელნაწერი შენახულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში). იგი აღნიშნავს, რომ გარედან შემოსაკრავისთვის ფქვილს (**ტაბლანში ფექ**) „ტაბლისათვის განკუთვნილი ფქვილი“. სპეციალური კიდობნიდან (**ლატგლბაშ კიბდენ** „ტაბლების (ფქვილისათვის) განკუთვნილი კიდობანი“) იღებდნენ ფქვილს ხოლო გულსართისთვის ყველს **ლასკარის** (დღეობის) მონაწილეები აგროვებდნენ. აღ. დავითიანი წერს, რომ გარეთა შემოსაკრავს მანდილოსანი ამზადებდა, ხოლო გულსართის გაკეთებას მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცს (**თელთექა ქა მეფდე** „ჭკუამდე მოსულ“) ანდობდნენ. გულსართის ყველს შუაზელდნენ წვრილად დაფქულ ქონს. როგორც აღ. დავითიანი აღნიშნავს, ლესკარი ზღვარაკის მაგივრად შეიწირებოდა. **ლასკარეს ლახა ვისხვ დემეგ ხერდი, ლესკარ ესერ ყიხემარგ** „მედღეობეებს თუ ზვარაკი არ ეყოლებათ, ლესკარი გამოადგებათ (შესაწირად)“. საგულისხმოა, რომ აღ. დავითიანის გადმოცემით **ლესკარ**-ის გამომცხობი უფროსი ქალი, ცხობას მზის მიხედვით იწყებდა: **ხოშა ლემსიკეთუნელი ლესკარიშ ლანყაშ ლიგნალს ი ლამზერთე ლიზალს, მეჟ ხაჰვდუნა გუ ი დრეგ ლემარ ეჯის ქალგმეგლეღ სოფელლისგა** „უფროსი აგვარებდა **ლესკარ**-ის 'გამო'ცხობის დაწყებას (შედგომას) და სალოცავად წასვლას, მზეს აკვირდებოდა და როცა დრო დგებოდა სოფელს შეატყობინებდა (დრო რომ იყო იმას, გადასმახებდა-გადმოსმახებდა სოფელში)“.

ზემოგანხილული ტერმინებიდან უმეტესობა დღესაც შემორჩე-

ნილია სვანეთში, რადგანაც საერო თუ სასულიერო წესჩვეულებანი დღესაც დიდი გულმოდგინებით სრულდება.

ლიტერატურა:

ბარდაველიძე 1939: -ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I. ტფილისი.

ბგერაძე 1969 - ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბილისი.

დავითიანი 1943 - ა. დავითიანი, ხელნაწერი მასალა დაცულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში.

დონდუა 2001 - ვ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

კაიშაური 1947 - ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი.

ლიპარტელიანი 2014 - ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 1964 - ბ. ნიჟარაძე, ისტ. ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი.

წერედიანი 2005 - ნ. წერედიანი, სვანურ ხალხურ დღეობათა საწესდო კალენდარი, ამირანი, მონრეალი-თბილისი.

საღლიანი 2000 - მ. საღლიანი, ზოგი რელიგიური ლექსემის ისტორიისათვის სვანურში, ქუთაისური საუბრები, VII, თბილისი.

ჭუმბურიძე 2009 - ნ. ჭუმბურიძე, კვახ/კოხ/კუხ სახელური ძირის შესახებ ქართულში, ბ. ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენციის მასალები, XI, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 - მ. ჩუხუა, ქართ. ენა-ვილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

Elisabed Gazdeliani, Roena Chkadua
Svan Vocabulary Denoting Ritual Bread Varieties

Summary

In the Svan language a number of terms denoting ritual bread (for worship or sacrifice) varieties are attested with a common name **le-mzir** || **tabgl**.

le-mzir (tabgl) is baked during the fast as well as the ferial days. It may be with or without filling, ceremonial (**lu-khūr-āš** “for gathering”, **le-skār** “for community celebration”) or funeral **tɔtāsh-diār** “ash bread”, **kvamāsh diār** „smoke bread“).

In the ritual bread name it is shown, on the one hand, to whom it is sacrificed and on the other hand who is blessed by it.

Most of the terms discussed in the paper are still kept in Svan.

რადოსლავ კანარკოვსკი

ანალი უმხელულება ქართული სიტყვის მკერდი აგებულებისა და წარმომავლისათვის¹

ქართულში დასტურდება სიტყვა **მკერდი**, რომელიც აქამდე ჩვეულებრივად მიჩნეული ყოფილა ძველ ინდო-ევროპულ ნასესხობად ფუძე-ენისეული ძირისაგან:

***kerd** :: ***krd**, შდრ.: ბერძ. **καρδια** „გული“ [კლიმოვი, ხალილოვი 2003: 72].

ამის გათვალისწინებით, რომ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი შეხედულებანი განსხვავებულია, ზემოთ მოყვანილისიტყვის აგებულებისა და წარმომავლობის საკითხს ესაჭიროება უფრო სიღრმისეული მსჯელობა.

¹ წარმოდგენილი ანალიზი საკამათოა. იბეჭდება განხილვის წესით.

პირველ რიგში უნდა გავამახვილოთ, რომ ადამიანის სხეულის მთავარ ნაწილთა აღმნიშვნელი არსებითი სახელები შედის ე. წ. ძირეულ ლექსიკურ ფონდში და როგორც წესი არ არის ნასესხობანი. თუ მიიღება, რომ ა. ჩიქობავას მოსაზრება, რომ ბოლოკიდური -დ- წარმოადგენს სუფიქსს, სწორია, მაშინ შესაძლებელი ხდება ამ სიტყვის აგებულების მთლიანად ახალი ინტერპრეტაცია [ჩიქობავა 1942: 99].

ამის თანახმად მკერდი იყოფა შემდეგნაირად: მ-[კე]-რ-დ-ი, სადაც:

მ- არის პრეფიქსი, ანალოგიურად როგორც მაგ.: მ-[ხ]-არ-ი; მ-[წ]-არ-ე; მ-ტ-ერ-ი.

რ- გაქვევებული კლას-ნიშანია, ანალოგიურად როგორც, მაგ.:

მ-რ-უშ-ე, რაც უკავშირდება ლეზგ. / ად. რ-უშ; ლაკ. დ-უშ „ქალიშვილი“.

როგორც ცნობილია, რ- -ს შეუძლია მომდინარეობდეს დ- -ისგან, მაგ.:

ხუნძ. რ-აკ, მაგრამ ლაკ. დ-აკ; ბაცბ. დ-ოკ „გული“, და ა. შ.

კლას-ნიშნის ადგილმდებარეობა ცვალებადი რის და თანამედროვე ენებში კლას-ნიშანი (ცოცხალი ანუ გაქვევებული) ზოგ შემთხვევაში წინ უსწრებს, სხვაში კი მოსდევს ძირს, თუმცა საენათმეცნიერო ლიტერატურაში ვრცლად აღიარებულია შეხე-დულება, რომ მხოლოდ თავკიდური კლას-ნიშანი ამოსავალია. ამის მიუხედავად უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგ შემთხვევაში (იქნებ მრავალ) ამოსავალმა სახელურმა ფუძემ განიცადა მეტატეზისი. აქ განხილულ მაგალითში ეს პროცესი წარმოსადგენი იქნებოდა: *რე-კ > *კე-რ.

პარალელურ აგებულებას გვიჩვენებს ქართ. სა-ყუ-დ-არ-ი, სადაც ფუძისეული ნაწილია: -ყუ-დ, რაც უკავშირდება ხუნძ. რ-ყყ< *დ-ყყ „სახლი“.

უნდა დაუმატოთ, რომესპირიგამოვლენილია მეგრ. ყუ-დ-ე - შიგ „სახლი“, სადაც შემონახულია სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა.

რაც შეეხება ზემოთ პოსტულირებულ *დ->რ ბგერითცვლილ-ლუ-ბას ხუნძურში, შდრ.: დიდ. ცუთქუ=ცუ-თ-ქუ, „სახლი“, სადაც ფუძე არის: ცუ-თ < *ცუ-დ < *ყუ-დ.

თანხმოვნის დაყრუება: *-დ- > -თ- განიმარტება რეგრესული ასიმილაციით.

თავკიდური დ- სახელური სუფიქსია, რომლისაც ამოსავალი ფუნქცია არ არის ცნობილი. ქართულში იძებნება სხვა პარალელური აგებულების მქონე არსებითი სახელები, მაგ.: [გვე]-რ-დ-ი; მ-[შვილ]-დ-ი [ჩიქობავა 1942: 99].

რაც განსაკუთრებით საინტერესო არის, „მკერდი“ და „გული“ სიტყვათა შორის არსებობს ბუნებრივი სემანტიკური კავშირი, რადგან „მკერდი“ შეიძლება იყოს გაგებული როგორც „ადგილი, სადაც მდებარეობს გული“. ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენებში მკერდის აღმნიშვნელი შედგენილი არსებითი სახელი სინამდვილეში შეიცავს პირველ წევრში „გულის“ აღმნიშვნელ სიტყვას, მაგ.:

ლაზ. გურ-პიჯი; აბაზ. გ°ჩფგ; უბიხ. გ°გ-ჭა, სადაც კომპოზიციის მეორე წევრი ნიშნავს „წინა ნაწილი“.

თუ ივარაუდებთ, რომ არსებითი სახელი „მკერდი“ -ს ფუძე მიეკუთვნება ე. წ. შებრუნებული წყობის ფუძეთა ჯგუფს და კე-რ < *რ-ეკ [ჩუხუა 2008: 21], მაშინ შესაძლებელი ხდება ამის დაკავშირება მთის კავკასიურ ენათა „გულის“ აღმნიშვნელ სიტყვებთან, მაგ.:

ხუნძ. რაკ = რა-კ < *რა-კა < *რა-კა < *და-კა

ლაკ. დაკ = და-კ < *და-კა < *და-კა

ჭამ. მაკა = მა-კა < *მა-კა < *რა-კა < *და-კა

სამი ზემოთქული მაგალითი ერთხელ კიდევ დამჯერებლად ამტკიცებს, რომ კლას-ნიშანი ექვემდებარება ბგერით ცვლილებებს. რელატიური ქრონოლოგიის მიხედვით ეს პროცესი აღსადგენია: დ->რ->მ-. პარალელური მოვლენა დასტურდება აგრეთვე სხვა სახელებში, მაგ.:

თაზ. სა-დ > სა-რ > *სა-მ > *სე-მ > სე „ერთი“ [მაჰომეტოვი 1965]

ლაკ. დ-უშ → ლეზგ. რ-უშ → ლოდ. მ-აშ-ი „ქალიშვილი“

ქართველურ ენათა შორის ფუძე **კე-რ** ქართულის გარდა დადასტურებულია მეტატეზისის და ანაფტიქსის შედეგად გარდაქმნილ სახეში მეგრულშიც:

კედღრ-ი < ***კედერ-ი** < ***კედრ-ი** < ***კერდ-ი**. დანარჩენ ენებში არ არის შემონახულია. ლაზურში იხმარება კომპოზიტი **გურ-პიჯი**. საინტერესო ჩანს სვან. **გა-მ**, რომელიც გამომდინარეობს: **გა-მ** < ***გა-მი** < ***გამი** და ფონეტიკური თვალსაზრისით უკავშირდება ერთი მხრივ ქართ. **გვამ**-ს და მეორე მხრივ. აფხ. **ა-მგა** „კუჭი“. ორივე სიტყვა კი დაკავშირებულია ქართ. **გულ**- თან, მაგრამ ამ საკითხის დეტალური შესწავლა აღმატება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს.

ფუძე **კე-რ**- ქართულში გამოვლენილია სიტყვაშიც **კე-რ-ა**. სემანტიკური კავშირი საკმაოდ ბუნებრივი ჩანს.

-გარდა ამისა ყურადღებას იქცევს სიტყვა **ფსკერი**, რომელიც იყოფა:

[ფ-ს]-[კე-რ]-ი. ეს არსებითი სახელი უნდა იყოს მიჩნეული ლექსიკალიზებულ კომპოზიტად. ამის შემადგენლი წევრები მითითებულია ფრჩხილებში. პირველ წევრში შემოწმებულია „წყლის“ აღმნიშვნელი ძირი, რომელიც არ დასტურდება

როგორც *nomen simplex*, თუმცა ფონეტიკურად გარდაქმნილ სახეში პოვნიერია სიტყვა **ფშა** -ში: **ფ-შა** < ***ფ-სა**.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ განხილული ლექსემია არ არის ძირეული ქართული, არამედ ძველი მეგრული ნასესხობა. ამაზე მიუთითებდა სისინა ნაპრალოვნის გაშიშინება: ***ფს-** > **ფშ-**.

ზემოთ წარმოდგენილი ახალი ეტიმოლოგიზაცია გვიჩვენებს, რომ ქართული სიტყვა „მკერდი“ შეიძლება იყოს მიჩნეული არა ნასესხობად, არამედ ძირეული იბერიულ-კავკასიური და ქართველური ლექსიკის კუთვნილად.

ლიტერატურა:

კლიმოვი, ხალილოვი 2003: Г. А.Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики, Москва.

მაჰომეტოვი 1965: А. А. Магометов, Табасаранский язык, Тбилиси.

ჩიქობავა 1942: ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩუხუა 2008: მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

Radoslav Kanarkovsky

A New Position about the Structure and Origin of the Georgian Word *mkerdi* “Chest”

Summary

The Georgian word **mkerd-i** “chest”, preserved also in Mingrelian as **Ვადრ-ი**, has been usually considered to be an old Indo-European borrowing in the Kartvelian languages.

The paper deals with a new position of its etymology. If we suppose that the nominal stem **ke-r** became ***r-ek** it can be easily compared to the words denoting “heart” in the Caucasian mountain languages.

Such an explanation seems to be much more probable.

იზორ კიკელია

ტოპონიმ ბანძის ისტორია-ეტიმოლოგიისთვის

სიტყვაა და ნიშნავს გზაგასაყარს, გზაშესაყარს. არის ასეთი ხალხური **ბანძა** სამეგრელოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, გაშლილ ველზე მდებარე სოფელი და თემის ცენტრია. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მარტვილის მუნიციპალიტეტში შედის და ზ. დ. 90 მ-ის სიმაღლეზეა. ქალაქ მარტვილს 12 კმ-ითაა დაშორებული. სოფელი წერილობით წყაროებში პირველად მოხსენიებულია 1639-1640 წლებში, ოდიშის სამთავროში რუსეთის ელჩების აღწერილობაში. მოსკოვის მთავრობის ელჩობის შემადგენლობაში შედიოდნენ ფედოტ ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარიევი: „Марта въ 28 де въ Панзу пришли Марта въ 29 де пошли из Панзи“, - ვკითხულობთ აღწერილობაში. 1642 წლით დათარიღებულ საისტორიო დოკუმენტში მოხსენიებული **ბორძა**, საფიქრებელია, ბანძის დამახინჯებული ფორმა იყოს. დოკუმენტის მიხედვით, აქ მცხოვრები ბუძოლეთი ქვაშჩია ლევან დადიანს მამამისის - მანუჩარის სულის საოხად თავმადის ხარების ღვთისმშობლის ეკლესიისთვის შეუწირავს (მასალა... I, 1964: 46).

XVII საუკუნის ცნობილი თურქი ისტორიოგრაფის - ქათიბ ჩელების მიერ შედგენილ რუკაზე რიონსა და ხობს შორის მოთავსებული და ციხედ მინიშნებული **ბჯა** ფონეტიკურად ტრანსფორმირებული **ბანძა** უნდა იყოს (ქათიბ ჩელების..., 60). ამავე საუკუნის იტალიელი მეცნიერ-მოგზაურის - არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, მდ. აბაშის მარცხენა მხარეს დატანილია პუნქტი **Pansas**, რაც ამჟამინდელი სოფ. ბანძაა. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის მიერ 1737 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნულია **ბანძა-ფადაოს სასახლე**.

ცხენისწყლის ხეობაში მდებარე დასახლებულ პუნქტთა შორის ვახუშტი ბატონიშვილი პირველად ბანძას ასახელებს: „...ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ (ვახუშტი IV, 1973: 776). ვახუშტისეული „ციხე კეთილნაშენი“, მართალია, ცხე-

ნისწყლის დასავლეთით (მარჯვენა მხარეს) მდებარეობს, მაგრამ არა ცხენისწყლის, არამედ მდ. აბაშის ხეობაში, აბაშის მარცხენა ნაპირას.

ვახუშტი ბატონიშვილი XVII ს-ის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ცხოვრების ეპიზოდების აღწერისას ბანძას არაერთხელ მოიხსენიებს: „ბანძას ბრძოლასა შინა შეიპყრნეს ქართველნი...“ (ვახუშტი IV, 1973: 447); „იქმნა ბრძოლაცა ბანძას სასტიკი“ (იქვე: 833); „მაშინ იძლივნენ იგინი ბანძას და ლტოლვილთა მოსვრიდნენ ალექსანდრესანი“ (იქვე: 834). იქვე წერს: „მივიდა ბანძიდამ ქუთათისს“ (იქვე: 834). მოტანილი ამონარიდებით ვახუშტი ეხმაურება იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა და გურია-ოდიშის მთავრებს შორის 1658 წელს გამართულ ბრძოლას. გამარჯვებულმა იმერეთის მეფემ ოდიშის მთავრის ტახტზე ვამეყ ლიპარტიანი დასვა. ბანძის ბრძოლის შესახებ ცნობებს გვაწვდის 1680 წლის ახლო ხანებში შედგენილი „მეწირულების სიგელი“, სადაც ვკითხულობთ: „ეს ხუხუ ოდიშარია ბანძის ომზე დაკარგულიყო და კაცია ჭილაძეს დაეხსნა“ (ქსმ III, 1970: 581).

ვიფიქრობთ, ის გარემოება, რომ „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ ვახუშტის მიერ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას არის მოხსენიებული, უნდა აიხსნას ბანძის იმდროინდელი გეოგრაფიული მდებარეობის, კერძოდ, ტერიტორიულად დიდი მოცულობის, გათვალისწინებით.

XVIII ს-ის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი სამეგრელოს ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთ ნაწილს ოდიშს უწოდებს, ხოლო აღმოსავლეთს - სამეგრელოს. ამ უკანასკნელში იგი თავის მხრივ ორ მხარეს არჩევს: **ბანძას** და **(ვ)აბაშას**. გიულდენშტედტი იქვე ჩამოთვლის ბანძასა და აბაშაში შემავალ სოფლებს (გიულდენშტედტი I, 1962: 323). ამ ცნობაზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა შ. ჯღარკავამ და შენიშნა, რომ სოფლების ჩამონათვალის არათანმიმდევრულობის გამო თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი მიეკუთვნებოდა ბანძის მხარეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბანძის ჩრდილოეთით

მდებარე ტერიტორია ბანძის შემადგენლობაში იყო, ხოლო სამხრეთი ვაბაშას ანუ აბაშას ეკუთვნოდა (ჯღარკავა 113, 1965: 274). მკვლევარი თავის მოსაზრებას იმ ფაქტით ამყარებს, რომ 1819 წელს შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე, რაც. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ბანძის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას აწერია „**Абашской**“ (იქვე).

ეკატერინე ჭავჭავაძის მდივანი (შემდეგ სენაკის მაზრის უფროსი) კორნელი ბოროზდინი, თავის მოგონებებში სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების შესახებ, გადმოგვცემს XIX ს. I ნახევრის ბანძის გეოგრაფიულ მდებარეობას და წერს, რომ ბანძას ეჭირა აბაშას და ცხენისწყალს შუა მდებარე, 40 ვერსის სივრცე ადგილი, სადაც 75-ზე მეტი კომლი თავადი ფაღავა და 800 კომლი აზნაური და გლეხი მოსახლეობდა. „ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში Status in status-ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰგვანდა, ხოლო მებატონე ფაღავები ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას“, - წერს კ. ბოროზდინი (ბოროზდინი 1934: 248-249). მისივე თქმით, ცხენისწყლის ნაპირას მდებარე სოფლები ლეხაინდრო და ნაგვაზუ, ფაღავების საყმოს წარმოადგენდა (იქვე: 250).

ბანძის ისტორიის მკვლევარი ალ. გაბუნია სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობას შემდეგ საზღვრებში გადმოგვცემს: „კოლხეთის გული, მისი ცენტრალური ნაწილი, გაშლილი ველია, რომლის ჩრდილოეთი ნაწილის მეტად მნიშვნელოვანი ტერიტორიული მონაკვეთია მდინარე აბაშასა და ცხენისწყალს შორის დაცემული ველი, რომელიც ჩრდილოეთით უნაგირასა და მარტვილის ბორცვებით იზღუდება, აღმოსავლეთით ცხენისწყლისპირები ეკვრის, ხოლო დასავლეთით უნაგირას ზოლი საზღვრავს, სამხრეთით ეს ველი სეფიეთისა და სამიქაოს გაშლილ ველებში გადადის. მას ძველთაგანვე **ბანძას** ეძახიან. იგი მეტად საინტერესო რელიეფური წარმონაქმნია, ქვიშნარმიწა, წყაროს-წყლებით უხვი, ხეხილისა და ბაღნარის გასაშენებლად ოდითგანვე ცნობილი და აღიარებული. ეს მზის-გული ველია, ეტყობა, ძველთაგანვე ყოფილა კოლხეთის სამეურნეო

ცხოვრების ერთ-ერთი მეტად საინტერესო, მეტად განვითარებული უბანი“ (გაბუნია XV, 1971: 12).

ბანძის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა მოგვიანებითაც, XIX-XX სს-ში. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული 1838 წლის დოკუმენტში სამეგრელოს ეპარქიის სოფლებს შორის დასახელებულია სოფ. ბანძა, მთავარანგელოზის ეკლესიით. ეს უნდა იყოს ამჟამინდელი ვედიდკარის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. იქვე დასახელებულია კარის წმ. გიორგის ეკლესია, რაც, სავარაუდოდ, ჯეგეეკარის, ან შაურკარის ეკლესია უნდა იყოს (ორივე ბანძაში შედიოდა) (ფ. 489, აღწ. 1, საქმე 65509). 1864 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გაბუნიას საბლადოჩინოში შედიოდა სოფელი ბანძა, ურისკარის წმ. გიორგის ეკლესია, სადაც მღვდლები ყოფილან მარკოზ და საბა გაბუნები, ხოლო „პრიჩეტნიკები“ - სიმეონ კეკელია და დიმიტრი გაბუნია. იქვე დასახელებულია **ბანძა-ვედიდკარის** მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდლები - იოანე ფოჩხუა და მოსე ურიდია, ხოლო „პრიჩეტნიკებად“ - იოანე ფანცულაია და ნიკოლოზ ურიდია (ჭითანავა 2010: 67).

XIX საუკუნის შუა ხანებში დავით დადიანის (1840-1856 წწ.) მიერ ოდიშ-ლეჩხუმი რვა მაზრად დაიყო. მაზრებისა და მათში გაერთიანებული სოფლების შესახებ ცნობებს გვაწვდის გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია. მისი ცნობით ბანძა სუჯუნის მაზრაში შედიოდა (მეუნარგია 1939: 112). 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში სენაკის მაზრის სოფლებს შორის დასახელებულია ს. ბანძა (**ბონზო, ბანზო**) ერთი ეკლესიით (ჭითანავა 2010: 76).

XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესასწავლად საინტერესო მონაცემებია დაცული რუსეთის იმპერიის 1886 წელს განხორციელებულ ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის მასალებში, რაც 1893 წელს რუსულ

ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა. აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდისათვის არსებობდა სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბანში გაერთიანებული 11 საზოგადოება, 43 სოფლით. ბანძის სოფლის საზოგადოებაში შედიოდა ოთხი სოფელი: **ბანძა, ვედიდკარი, მახათი და მუხურჩა.**

მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით ცალკეულ სოფლებში ასეთი ვითარებაა:

ბანძა - 372 კომლი; მ. შ. 1194 სული - მამაკაცი, 1018 სული - ქალი. სულ - 2212 სული;

ვედიდკარი - 132 კომლი; მ. შ. 438 სული - მამაკაცი, 397 სული - ქალი. სულ - 2212 სული;

მუხურჩა - 70 კომლი; მ. შ. 203 სული - მამაკაცი, 210 სული - ქალი. სულ - 413 სული.

ოთხივე სოფელში კომლთა რაოდენობა შეადგენდა 588-ს. მ. შ. 1888 სული მამაკაცი იყო, 1671 სული - ქალი. სულ სულთა რაოდენობა 3559-ს შეადგენდა (იხ. Сводъ... 1893).

საქართველოს სსრ 1925 წლის ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარის მიხედვით სენაკის მაზრაში შემავალი ბანძის თემი აერთიანებს შემდეგ სოფლებს: ბანძას, ვედიდკარს, მუხურჩას, ორქას, მახათს, ლევახანეს და ლეფოჩხუეს. თემის ფართობი მოიცავდა 28,08 კმ²-ს, ხოლო რადიუსი - 5,01 კმ-ს. კომლთა და სულთა რაოდენობის მიხედვით ცალკეულ სოფლებში შემდეგი სურათია ნაჩვენები: ბანძა - 711 კომლი, 3484 სული, ვედიდკარი - 232 კომლი, 1067 სული, მუხურჩა - 133 კომლი, 593 სული, ორქა - 89 კომლი, 368 სული, მახათი - 30 კომლი, 152 სული, ლევახანე - 52 კომლი, 250 სული, ლეფოჩხუე - 111 კომლი, 508 სული (დაყოფა 1925: 95).

საქართველოს სსრ 1930 წლის ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარის მიხედვით არსებობს ბანძის სასოფლო საბჭო, ხუთი სოფლით:

ბანძა - 574 კომლი, 2853 სული. მ. შ. 2172 სული ქართველი, 677 სული - ებრაელი, 3 სული - რუსი, 1 სული - სომეხი;

ვედიდ-კარი - 263 კომლი, 1226 სული (ყველა ქართველი);
ლევახანე - 49 კომლი, 253 სული (ყველა ქართველი);
ლევოჩხუე - 108 კომლი, 536 სული (ყველა ქართველი);
მუხურჩა - 134 კომლი, 658 სული (ყველა ქართველი);
ორქა - 89 კომლი, 380 სული (ყველა ქართველი) (დაყოფა 1930:

143).

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1949, 1961, 1966, 1977 და 1987 წლების მონაცემებით გეგეჭორის რაიონში შემავალი ბანძის სასოფლო საბჭო ოთხ სოფელს: ბანძას, ლევახანეს, ლეკეკელეს და ლეპატარავეს აერთიანებს (დაყოფა 1949: 31; 1961: 33; 1966: 33; 1977: 38, 1987: 42).

ბანძაში შემორჩენილია V საუკუნის აბანოსა და ოთხაფსიდიანი ეკლესიის, X საუკუნის რვააფსიდიანი ტაძრისა და გვიანი შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის ნანგრევები, აგრეთვე ებრაელთა სინაგოგა (1914 წ.).

სოფლის სახელწოდების შესახებ რამდენიმე განმარტება არსებობს:

1. „ბანძას ადგილობრივი მოხუცები განმარტავენ **ბანი ძგად** – ბანის კიდედ (**ძგა** მეგრულად კიდეს ნიშნავს)“ (ელიავა 1969: 23);

2. სამეგრელოს მთავარს ჩამოუვლია აქ, უამრავი ხალხი უნახავს, გაკვირვებია და უთქვამს - **მუ ხალხი დგნობანძუენია თაქ** „რა ხალხი ყოფილა (ირევან) აქ. **ბანძ-ბრანძ-ბანძლ-** მეგრული ძირებია და ნიშნავს დავას, აშლას, არეულობას (ჩიქვანაია გმმ XXVII სამეცნ. სესია, 1982: 68);

3. „უხსოვარი დროიდან ამ სოფელში იმართებოდა დღეობა. იცოდნენ „ჯარობა“ - თავშეყრა, გართობა, რიკტაფელას თამაში. ერთხელ, მომღერალი ბიჭი, რომელიც ჩონგურზე უკრავდა და ტკბილად ღიღინებდა, იქვე, ხალხის წრეში მდგარ გოგონასთან მისულა და უნიშნებია, რომ მასთან ერთად ემღერა. გოგონა დამორცხვებულა და სიმღერაზე უარი განუცხადებია. მაშინ გაკვირვებულ ბიჭს უთ-

ქვამს მისთვის - **ბანი, ძღა** (ბანი, გოგოვ!), ესე იგი ჩემთან ერთად იმდერეო. ამის შემდეგ თითქოს სოფელს **ბანძა** დარქმევია“;

4. „თავად ფაღავას ქორი მოუკლავს, ცაზე ირაოს რომ აკეთებდა. ქორი სახლის ბანზე დავარდნილა. თავადს უყვირია - **ბანზე დავარდა, ბანზეო**“;

5. „სოფელში ჩამოსულ პირველ მოსახლეს ბანიანი სახლი აუგია და სოფელსაც **ბანა-ბანძა** ამიტომ ეწოდა“;

6. „შირიანი ხალხი ცხოვრობს ამ სოფელში და ბანძაც ამიტომ ჰქვია. **ბანძ** არეულობას, შინააშლილობას ნიშნავს“;

7. „ბანძელი ფაღავები და გაბუნები ცხენის განთქმული ქურდები იყვნენ. ერთხელ თავად ფაღავას ცხენი მოუპარავს. ცხენის პატრონს ერთი ამბავი აუტეხავს - **იფრეი ეუბანძლუ, ბანძლი გეუტახუ** „ყველაფერი აურევია, დავა, ჩხუბი აუტეხავს“, ე. ი. გაბრაზებულაო. ამიტომ სოფლისთვის **ბანძლი, ბანძღა** (ბანძა) დაურქმევიათ“;

8. „ბანძელა, ბაძუ კაცის სახელია. ამ სოფელში პირველად ის დასახლებულა. აქედან მოდის გვარები - ბანძავა, ბანძაძე და ბანძელაძე. ხალხური ლექსიცაა - ჩქიმი ბაბუ, ჩქიმი ბაძუ, ბანძას სამართალი ვაძუ, კეკეია მუშ მყარეთ ემერ, შარას გიფებანძუ „ჩემო ბაბუავ, ჩემო ბაძუ, ბანძაში სამართალი არ არის, კეკელია თავისი მყარიონით, ეგერ, გზაზე დაბლარძუნობს“ (მთხრ. ნაზი თევდორეს ას. კოკაია-კეკელია, დაბადებული 1940 წელს, ს. ბანძა) (კეკელია 2007: 12-13; მისივე 2010: 19-21).

სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის ძეგის შემთხვევაში ყურადსაღებია **-ეძა, -ნძა, -რძა** დაბოლოებიან ტოპონიმებზე (**ბრეძა, ბანძა, ასპინძა, ზლორძა, წყორძა**) დაკვირვებაც (აფრიდონიძე, მაკალათია „ტოპონიმთა“, II, 1980: 61). მერაბ ბერიძის დაკვირვებით, **-ძია** კომპონენტს ზოგ შემთხვევაში მოეპოვება პარალელური ფორმა **-ძა**. ასპინძის რაიონში ნასოფლარს **ალანძია** ჰქვია, მაგრამ მის მიკროტოპონიმიაში დასტურდება **-ძა** კომპონენტთან გეოგრაფიული სახელები - **ალანძის წყალი** და არა **ალანძის წყალი, ალანძისხევი**. ამავე რიგში განიხილავს მკვლევარი ტოპონიმ **ტანძიას** და **-ძა** დაბო-

ლოების მქონე სოფლებს: **ბრეძა, ბანძა, წყორძა** და სხვ. ახალქალაქის რაიონში ნასოფლარს ეწოდება **ვარძა, ვარზა** (შდრ. გვარ **ვარძელაშვილში** ფიგურირებს **ვარძა** ფორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა **ვარძიელაშვილი**). იგივე **ვარძა** ფორმა ჩანს ივანე ჯავახიშვილის მიერ დამოწმებულ **ვარძაგარაში** (ბერიძე 2012: 278).

მკვლევარი რ. ბურჭულაძე ყურადღებას ამახვილებს იმ ტოპონიმებზე, რომლებიც **ბა** მორფემით იწყება. ამ კლასის ტოპონიმებიდან ჩამოთვლის **ბაშს, ბანას, ბანძას, ბაგინეთს, ბაქოს, ბათუმს** და მიიჩნევს, რომ ბა ეგვიპტური წარმომავლობის ლექსემაა. რ. ბურჭულაძე ვარაუდობს, რომ ეს ტოპონიმები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ეგვიპტელთა ახალშენების არსებობის მაუწყებელია: „შავსა და კასპიის ზღვებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მრავალ ადგილზე ფიქსირდება ძველი ეგვიპტური წარმომავლობის ტოპონიმები... ამ ვრცელ ტერიტორიას ეგვიპტური ელემენტი მარშით ვერ გაივლიდა და ადგილი ექნებოდა ხანგრძლივ მეთოდურ შეღწევას, ე. ი. დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა გაჩენილიყო ძველი ეგვიპტური დასახლებები, ახლად მიკვლეული ხმელეთის სიღრმეში შეღწევის ფორპოსტები...“ (ბურჭულაძე ქ. ო., II, 2004: 107).

ტოპონიმ „ბანძის“ ეტიმოლოგიას ამ ბოლო დროს შეეხო ფაუსტ ნადარაია: „**ბანე** ანუ **ბანი** ძველი კოლხური, მივიწყებული სიტყვაა, რომლისთვისაც ტოპონიმ **ბანძის** არც ერთ მკვლევარს არ მიუქცევია ყურადღება და არ უცდია მისი განმარტება. ბანე ანუ ბანი მოსწორებულ ადგილს ნიშნავს, **ძგა** კი - კიდეს, ნაპირს. შეიძლება თავდაპირველად ეს სახელი (ბანი+ძგა=ბანძა) ერქვა ხალხის თავშესაყრელ ერთ ადგილს და შემდეგ მთელ სოფელზე გავრცელდა“ (ნადარაია 2015: 85). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ავტორი ეყრდნობა **ბანე** სიტყვის ა. ქობალასეულ განმარტებას.

საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ რაჭული დიალექტის სალექსიკონო მასალების მიხედვით ქვევრში ნარეცხი წყლის ნარჩენის ამოსამშრალეხელ ჩვარს, დამაგრებულს ხის გრძელ ჯოხის წვერზე, იგივე მაწაწურს, **ბანძურა** ეწოდება (კობახიძე 1987: 19). სვანურ ენაში

ბანძა, ბანძ-არ, ბანძ-ა, ბანძ-ა-ე აღნიშნავს „გრძელბეწვას, ბანჯგვლიანს“. მეგრულ-ლაზურში ამ მნიშვნელობით **ბონძ-ოლ-ა** გამოიყენება („გრძელბეწვიანი, ბანჯგვლიანი, ჭუჭყიანი“). მეგრ.-ლაზ. **ბონძ-** და სვანური **ბანძ-** ძირები კანონზომიერი შესატყვისებია. გამოთქმულია ვარაუდი **ბანძ-** და **ბანჯუ-** არქეტიპთა ურთიერთმიმართების შესახებ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000: 94; ფენრიხი 2007: 48; კელაურაძე ე. ძ., XI, 2014: 18). გასათვალისწინებელია სხვა კუთხეების ტოპონიმური მონაცემებიც. შდრ. ზედა მაჭახელაში, კარჩხლის მთის ტოპონიმთა შორის დასახელებულია **ბლანძა** (გუჯეჯიანი..., XII, 2008: 79). მესხეთში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. მუსხში, მინდვრის სახელწოდებად დამოწმებულია **ბანძურა...**

ჩვენი აზრით, **ბანძა** მეგრული წარმომავლობის ექსი: „სო მეულე, ჩქიმი ინგირი, სორე მიხურთქინუქენი... მიბურჯანქე დო ზღვაშა მეიღე თირე გვალაშე გემნაჭვალა. ენოუნქ სქანგ რობუს, მუთა გიჩქე გინორთიშე, დღასი ვაგაბანძლე შარა: „სად მიხვალ, ჩემო ენგურო, სად არი, რომ მიჩხრიალებ... მიგორავ და ზღვაში მიგაქვს თოვლი მთიდან მონაწველი. შენს კალაპოტს მიჰყვები, არაფერი გეტყობა გადახვევის (არსად გადაუხვევ), არასოდეს გერევა (გეხლართება, გიმტოვდება) გზა“. ამ ლექსში „ვაგაბანძლე“ იგივეა, რაც „არ გეტოტება, არ გიმტოვდება, არ გეხლართება (გზა)“. არეულის, ჩახლართულის მნიშვნელობითაა იგი გამოყენებული აგრეთვე გამოცანაში – **უკმაკური ჭკადირი, ეშმაკიში ბანძდირი** „უკულმართად გაჭედილი, ეშმაკისაგან დახლართული“.

ბანძლეა, ბანძლი „დახლართულის, არეულ-დარეულის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული მეორე ხალხურ ლექსშიც: „ქედოჭყაფე გაჭირება ახაფაზდა ბოშკათეფი! კინოხიშე დოსქელადე საქმე გაკობანძლილეფი „დაწყებულა გასაჭირი, ახალგაზრდა ვაჟკაცებო, ძველი დროიდან დარჩენილა საქმეები **დახლართული**“ (კეკელია 2007: 13; მისივე 2010: 20). შდრ. **მიკობანძლეა** - დავიდარაბი; არევ-დარევა; ბანძლი; **მიშაბანძლინ-ი (მიშაბანძლინს)** სახელი **მიშებანძლე(ნ)** ზმნისა - ჩახლართვა, რაღაცის არევ-დარევა, ხლაფორთი“ (ქაჯაია II, 2002:

268, 284). ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ „**ბანძლუა** (**ბანძლუას**) ასეა განმარტებული: ბლლარძუნი; არევა, ხლართვა. **ურესო ბანძლუნც...** - უარესად ხლართავს (ბურდავს)... **შარას გილებანძლუ...** გზაზე ბლლარძუნობს; **ძაფის ნიბანძუნქ!** „ძაფს ნუ ხლართავ!“ (ქაჯაია I, 2001: 217). **ბანძლი** დავის, შარის ატეხვის მნიშვნელობით აქვს გააზრებული გივი ელიავას: **ბანძლი ვეტახა** „არ იდავო, „დავა არ ატეხო“ (ელიავა 1997: 27). ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **ბანძი/ზრანძი** განმარტებულია როგორც „ფლასი; აბურდული, აწეწილი, უწესრიგო“, ხოლო **ბანძუა**, როგორც „აბურდვა, აწეწვა, არევ-დარევა“. იმავე ლექსიკონის მიხედვით **ბანძილის** მნიშვნელობაა ჩახლართული, ხოლო **ბანძლუა** განმარტებულია, როგორც „აბურდვა, ხლართვა, არევ-დარევა“ (ქობალია 2010: 56).

ამდენად, **ბანძა**, **ბანძი** ნიშნავს განშტოებულ, სხვადასხვა მხარეს მიმავალ გზას (**გობანძი** „განსაკვეული, დახლართული, არეულ-დარეული, გამოყოფილი ყოველი მხრიდან“; **ბანძა** „ნასკვი; გზაჯვარედინი; გზაშესაყარი; გზაგასაყარი; ნებოძირი“); და მართლაც, ბანძა ძველი კოლხეთის ცენტრალურ, ისტორიული ოდიშის (სამეგრელოს) აღმოსავლეთ ნაწილში, აბაშის ხეობის გაშლილ ველზე მდებარე სოფელია. ბანძას მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა. იგი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი არქეოპოლის-ციხეგოჯიდან (ეგრისის სამეფოს დედაქალაქი) ლეჩუმისაკენ, პეტრა-ციხისძირიდან ჭყონდიდისაკენ (მარტვილი) მიმავალ გზებზე (კეკელია 2007: 13-14; მისივე „ორნატი“, #3-4, 2005: 135; მისივე 2010: 19-22).

სოფელსა და მის შემოგარენში დღესაც არის გავრცელებული დრომონიმები: **ჯვეში შარა** „ძველი გზა“, **ჯვეში ნაშარუ** „ძველი ნაგზური“, **სალეჩხუმო შარა//საეჩხომო შარა** „სალეჩხუმო გზა“, **მექააქეში შარა//მარტვიში შარა**, **ბანძაში შარა** და ა. შ., რაც ძველ მაგისტრალებზე მიგვითითებს (ელიავა 1977: 393, 60, 65, 78, 81, 89, 92, 108, 118, 121; კეკელია 2007: 13-14; კეკელია, ქებულაძე „ქ. მ.“, XV, 2011: 196).

ოიკონომთან დაკავშირებულია მიკროტოპონიმები: **ბანძაფონი** „ბანძის ფონი“ - თავთხელი, მარჩხობი აბაშაზე, არგვანდუდის სამხრეთით (ლეკეკელე); **ბანძაშ მინდორი** - სახნავი გახუშ წყურგი(ლ)ის ჩრდილოეთით და ბიკინოხორის აღმოსავლეთით. გაშლილი ველია, ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი. პარალელური სახელწოდებაა წაკორტი/წაკორტეფი (ლეკეკელე). გ. ელიავა მიუთითებს „ბანძაში მინდორი“-ს ფორმით, გაშლილი ველის სახელწოდებად, სადაც ციხის ნანგრევებია (ელიავა 1977: 86; მსჯელობისათვის იხ. კეკელია 2007: 14-15); **ბანძაში შარა** „ბანძის გზა“ - გზა რიონისპირეთიდან ნოსირის გავლით, ბანძისაკენ. ვაჭრებს ამ გზით ბანძაში დაჰქონდათ სავაჭრო საქონელი (ელიავა 1989: 37); **ბანძა** - უბანი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუბისწყალში (საქ. ტოპ. III, 2003: 33).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

აფრიდონიძე, მაკალათია „ტოპონიმთა“, II, 1980 - შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმები. კრ. „ტოპონიმთა“, ტ. II, თბ., 1980.

ბერიძე... 2012 - მ. ბერიძე, ძიებანი ჯავახეთის ტოპონიმებიდან. კრ. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ძეგლები. გამოსაცემად მოამზადეს ვ. სილოგავამ, ლ. ხალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავამ და რ. ყავრელაშვილმა. თბ., 2012.

ბოროზდინი 1934 - კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. ტფ., 1934.

ბურჭულაძე ქ. ო., II, 2004 - რ. ბურჭულაძე, ძველი ეგვიპტური ტოპონიმების კვალი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, ტ. II, თბ., 2004.

გაბუნია XV, 1971 - ალ. გაბუნია, სოფელ ბანძს ისტორიისათვის. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესია (თეზისები). გეგეჭკორი, 1971.

გიულდენშტედტი I, 1962 - იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, თბ., 1962.

გუჯეჯიანი... XII, 2008 - რ. გუჯეჯიანი, რ. თოფჩიშვილი, ტ. ფუტკარაძე, გ. ჭეიშილი, ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელა. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XII, თბ., 2008.

დაყოფა 1925 - სსსრ დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფ., 1925.

დაყოფა 1930 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ტფ., 1930.

დაყოფა 1949 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1949.

დაყოფა 1931 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1961.

დაყოფა 1966 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1966.

დაყოფა 1977 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1977.

დაყოფა 1987 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1987.

ელიავა 1969 - გ. ელიავა, ჭყონდიდ-მარტვილი უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა (მეგზური), თბ., 1969.

ელიავა 1977 - გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმის კა. თბ., 1977.

ელიავა 1997 - გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვ.-თბ., 1997.

ვახუშტი IV, 1973 - ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973.

კეკელია „მარტვილი“, 2002 - ი. კეკელია, ტოპონიმიკური ძეგბანი („აბედათი“, „ბანძა“). გაზ. „მარტვილი“, 4 ოქტომბერი, მარტვი., 2002.

კეკელია „ორნატი“, #3-4, 2005 - ი. კეკელია, სამეგრელოს ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის. ჟურნ. „ორნატი“, #3-4 (11-12), ფოთი, 2005.

კეკელია 2007 - ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2007.

კეკელია 2010 - ი. კეკელია, მარტვილის რაიონის ოიკონიმია, ქუთ., 2010.

კეკელია, ქებულაძე „ქ. მ.“, XV, 2011 - ი. კეკელია, ვ. ქებულაძე, „შიდა ეგრისის“ ისტორიული გეოგრაფიიდან („გზა თაკუერისა“, „საღეცხუმო გზა“). კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XV, ქუთ., 2011.

კელაურაძე ე. ძ., XI, 2014 - ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის - II. კრ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, XI, თბ., 2014.

კობახიძე 1987 - ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენელი ალ. კობახიძე. თბ., 1987.

ნადარაია 2015 - ფ. ნადარაია, სამეგრელო, ქუთ., 2015.

საქ. ტოპ., III, 2003 - საქართველოს ტოპონიმია (მასალები). ქვემო იმერეთი. შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია, თბ., 2003.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. მეორე გამოცემა. თბ., 2000.

ქსმ III, 1970 - ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ., 1970.

ქათიბ ჩელების ცნობები..., - ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. საქართველოს ისტორიის წყაროები, 10.

ქაჯაია I, 2001 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.

ქაჯაია II, 2002 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. II, თბ., 2002.

ჩიქვანაია გ. XXVII სამეცნ. სესია - ა. ჩიქვანაია, სოფელ ბანძის ისტორიისათვის. გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVII სამეცნიერო სესია (მასალები). თბ., 1982.

ცხადაია V, 2010 - პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი). თბ., 2010.

ჭითანავა 2010 - დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.

ჯღარკავა 113, 1965 - შ. ჯღარკავა, სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება). თსუ შრომები, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, ტ. 113 (V), თბ., 1965.

Белокуров 1888 - Белокуров С. Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарева в Дадьянскую землю (1639-1640 гг.). Сергей Ал. Белокуров, Материалы для русской истории. Москва, 1888.

Fanrich 2007 – Fanrich H., Kartwelishes Etymologisches Worrterbuch. BRILL, Leiden-Boston, 2007.

Igor Kekelia

Etymology of the Toponym *Bandza*

Summary

Bandza is situated in the eastern part of historical Samegrelo. The village has a beneficial geographical position and it is the centre of the community. There are several views about the origin of the name of the village. We suppose that **Bandza** means a cross-road. The explanation of our position is represented in the paper.

ნანა მაჭავარიანი

ლექსება ლექსის ეტიმოლოგია

ქართულ ენაში დასტურდება ლექსიკური ერთეული **ლექსი**, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: „**ლექსი** - ხის ფოთლებიდან ჩამონადენი წვეთები, - ჟვავი“ (ქეგლ,1986).

ლექსი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია ასე: „რა ხეთ ფურცელი წვიმათა ცვარს იტვირთავს და მერმე მის მიერ იწვეთებს, **ლექსი** ეწოდება.“(საბა,1991).

ამ სიტყვას, თუ შეიძლება ასე ითქვას, სვანური იერი აქვს...

სვანურში მართლაც დასტურდება მსგავსი ლექსემა, ოღონდ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით: სვან. **ლექსი** - „დასაწვა-ვი“...(სვანური ლექსიკონი, 2000).

ჩვენი აზრით, აღნიშნული ლექსიკური ერთეული - **ლექსი** შესაძლოა ქართულში ნასესხები იყოს ადიღური ენებიდან. ადიღურსა და ყაზარდოულში **ჭაშხ/ჭაშხე** აღნიშნავს „წვიმას“ (შაგიროვი, 1977, 93)

კლიმოვისა და ხალილოვის კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც წვიმის აღმნიშვნელისვანური სემანტემა ადიღური **ჭაშხ/ჭაშხე**-დან მომდინარედ არის მიჩნეული (კლიმოვი,ხალილოვი, 2003, 253)

სიმონ ჯანაშიას ადიღურ - ყაზარდოულიდან ნასესხებად მიაჩნია სვანური **ურხე /ურხა** „წვიმა“ (ჯანაშია, 1959, 106, 116).

შაგიროვი თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ამ სიტყვასთან დაკავშირებით აღნიშნავს: **ჭაშხ/ჭაშხე** „წვიმა“ , პირველი ნაწილით ემთხვევა **ჭაშ /ჭაშე** „თოვლს“, - **შხ/შხე** - აბდოკოვი აახლოებს ამ ელემენტს უბიხურ **ტჭაშხ** „სეტყვასთან“. ადიღურმა სიტყვამ, როგორც ეს აღნიშნა ჯანაშიამ, შემოაღწია სვანურში (სვანურ-ადიღური ენობრივი შეხვედრები 106, 116; შაგიროვი, 1977, 93 (1287)

სვან. **ურხა, ურხე**- „წვიმა“ (სვანური ლექსიკონი)

ვფიქრობთ, ქართულსა და სვანურში ეს სემანტემა ყაზარდოულიდან შემოვიდა. სვანურში მოგვცა **ურხე** ვარიანტი, ხოლო ქარ-

თულში ლეში. ჟჷშ(ი) > ლეში,სადაც ჟ ნახევარბმოვან სონანტს შე-
საძლოა ლატერალური სონანტი - ლ მოეცა. პროცესი დაახლოებით
ასე უნდა წარმართულიყო: ჟჷშ(ი) > *აჷშ(ი) > *აშ(ი) > ლეში.

ლიტერატურა:

კლიმოვი, ხალილოვი, 2003 – Г. А. Климов, М. Ш. Халилов,
Словарь кавказских языков, Москва.

საბა 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I,
თბილისი.

სვანური ლექსიკონი 2000 - სვანური ლექსიკონი,თბილისი.

ქეგლ 1986 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,
ერთტომეული.

შაგიროვი 1977 – А. К. Шагиров, Этимологический словарь
Адыгских (Черкесских) языков, Москва.

ჯანაშია 1959 - ს.ჯანაშია, სვანურ-ადიღეური ენობრივი
შეხვედრები, შრომები, ტ. III, თბილისი.

Nana Machavariani Etymology of the Lexeme *lešxi*

Summary

In the Georgian language the lexical unit **lešxi** is attested and it denotes running off the rain drops from the trees after the rain.

The paper suggests the fact that the said unit may have been borrowed from Kabardian. In Kabardian **wašx/wašxə** denotes the rain. Simon Janashia considers Svan **učxe / wčxa** „rain“ to be borrowed from Kabardian.

We think that this lexical unit came into Svan and Georgian from Kabardian. In Svan we have its variant **učxe** and in Georgian it is **lešxi**.. **wašx(i)** became **lešxi** where the semivowel sonant **w** became the lateral sonant - **l**.

კობა შიშაგვარია

აგმარათუხისტიციისობანი ხმაბაჰმით სიტყვაგუშო

ცნობილია, რომ ხმაბაძვითი სიტყვები ისევე შედიან ამა თუ იმ ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში, მსგავსად ექსპრესიული თუ ბავშვის ლექსიკისა, როგორადაც სხვა ლექსემები. მიუხედავად ხმაბაძვითი, ექსპრესიული და ბავშვის ლექსიკის მორაულობისა, ასეთი სიტყვები არაა სავალდებულო მაინცადამაინც ერთი ენიდან მეორეში შესულად ჩაითვალოს – ისინი, შესაძლოა, დამოუკიდებელი, კონკრეტულ ენათშემოქმედების ნაყოფიც იყოს.

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, სავსებით „შესაძლებელია დამოუკიდებლად მსგავსი აგებულების სიტყვა მივიღოთ ენაში სესხების გარეშე“ (ჩიქობავა 1938: 16).

მაგალითად, ქართ. **გუგული** ყველა ქართველურ ენაში დასტურდება ზან. **გუგულ**-ი, სვან. **გგო** (არნ. ჩიქობავა), **გიგუ**, **გეგო** (კლიმოვი 1964: 65-66).

ამ ლექსემათაგან ძირეულად **გუგ**-სეგმენტია მიჩნეული და მას სახავენ საერთოქართველური ერთიანობის დროინდელ ფუძედ, თუმცა სვანურის მონაცემთა მიმართება ქართულ-ზანურ მასალასთან პრობლემატურადაა მიჩნეული, რაკი **გუგულ** ონომატოპოეტური ბუნებისაა (ფენრიხი, სარჯველაძე).

ხმაბაძვითია ანალოგიური სათანადო ფუძეები, მაგალითად, ადიღეურსა **კკკა** და დაღესტნურ ენებშიც: ხუნძ. **გიგუ**, **გიქუ**, ანდ. **გაგუ**; დარგ. **გიგუთ** და არაქ. **გიქუნ** (<*გიქმუნ <*გიგუნ) (ბურჭულაძე). ამ მცირე მასალის მიხედვითაც კი დაღესტნურ ენებში ქართველურ ენათა ***გუგ**-ის ეკვივალენტურ ფუძეებში ძირეულ მორფემებად **გ. ქ. ქ. ქ. ჩ** წარმოჩნდა.

ამოსავალი ამ თანხმოვანათვის კი, ცხადია, არის **გ. ქ...**

სათანადო ფუძე ინდო-ევროპულ ენებშიც ანალოგიური ძირეული მორფემებითაა წარმოდგენილი: ძვ. ინდ. **kōkas** ლატ. **kōkilas**

გერმ. **cuculus**, ფრანგ. **concon** რუსული **кукушка** და სხვ. იმავე ძირეულ მორფემიანია აგრეთვე: თურქ. **kyky**, ყაზ. **kökök** (ფასმერი 1986: 404, 407).

ასევე ხმაბაძვითია ქართულში **ყვაგი**, **ჩხიკვი**, **ოფოფი** და მისთანანი.

ამათგან **ოფოფი** (მეგრ. **ოფოფი**, ჭან. **ოფამფე**, სვან. **ოფოფა**) ლექსემაზე მიუთითებენ, რომ იგი შესაძლოა, ქართველურ ენებში შეთვისებული იყოს და უდარებენ მას სომხ. **յօրօր**, ლათ. **upupa**, რომლებიც ინდო-ევროპულ ***epop** // **upop**-ს უკავშირდებიან (კლიმოვი 1964).

მიუხედავად ასეთი დამთხვევისა, ვფიქრობთ, არც ეს ფუძე უნდა იყოს შესული ქართველურ ენებში, შდრ. მაგ. ხუნძური **ეფეფ** „ოფოფი“ (აგრეთვე **ჭუდჭუდ**). ასე რომ, არაა გამორიცხული „ოფოფის“ აღმნიშვნელი ფუძეები საკუთარი იყოს და არა ნასესხები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი ე. წ. საბავშვო ლექსიკის ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით: „...სავსებით შესაძლებელია დამოუკიდებელი მსგავსი აგებულების სიტყვა მივიღოთ სხვადასხვა ენაში სესხების გარეშე“. მაგ. ქართ. **ბაბეა** < **ბაბაი**, ზან. **ბაბა**, ჭან. **ბაბა**, თურქ. **ბაბა** „მამა“, აფხ. **ა-აბ** „მამა“. ანალოგიური ფუძეები დასტურდება სხვა კავკასიურ ენებშიც.

მაგ. ლეზგ. **ბუბა**, უდ. **ბაბა** (ვართ. **ბ**), იმავე ძირეულმორფემიანი ჩანს კაპ. **აბო**, დიდ, **ობუ** და სხვები.

კანონზომიერი, რეგულარული ბგერათშესატყვისობანი უნდა დასტურდებოდეს ამ რიგის სიტყვებშიც: მაგ. მერცხალი <***მერწიხალი**; სადაც **წირბ** – (რწიხ-) წარმოშობით ხმაბაძვითი ფუძეა, რომელიც მერცხლის ხმიანობას, მის ჭიკჭიკს ასახავს“ (ტ. გუდავა). ამ ფუძეს მეგრულში კანონზომიერად შეესატყვისება **მარჭიხოლი** (**მაჭირხოლი**) (ქართ. **ე**: მეგრ. **ა** / ქართ. **წ**: მეგრ. **ჭ**).

როგორც გ. ბურჭულაძე შენიშნავს, ამ („გუგული“, „ოფოფი“) და ანალოგიური სახის ლექსემათა ერთ ჯგუფზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ლექსიკის ამ სფეროშიც ბგერათშესატყვისობათა ის ტენ-

დენციებია დამახასიათებელი, რაც დასტურდება ამა თუ იმ ენის (resp. ენათა) ლექსიკაში საზოგადოდ (ბურჭულაძე: 1989, 9).

ქართ. **ღერღედი** (*ღარღადი): ჭან. **ღორღონჯი**, მეგრ. **ღორღონჯი**, სვან. **ღარღად** „ბატი“.

არნ. ჩიქობავამ ქართულისათვის ამოსავლად *ღარღად-ი „ბატი“ ივარაუდა, რომლის კანონზომიერი შესატყვისია მეგრულ-ჭანურის ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ფუძეები.

თუ აქ მოვუხმობთ სვანურის **ღარღაე- // ღარღაღ** „ბატი“ ლექსემასაც, ნათლად წარმოჩნდება, რომ ქართულისათვის *ღარღად ფუძის აღდგენა რეალურია და ბგერათშესატყვისობაც კანონზომიერი. მიუთითებენ, რომ ფუძე, როგორც ჩანს, ხმაბაძვითია და უკავშირდება *ღარ- // ღრ სეგმენტებს: ქართ. **მღერ**, მეგრ. **ღორ-**, **ღუარ** „ყვრილი“, „ბღავილი“, ჭან. **მღორ-**, სვან. **ღარ-** // **ღრ-** „სიმღერა“ (კლიმოვი 1964, 201).

ქართულ *ღარღად ფუძეში იგივე ძირეული მორფემებია წარმოდგენილი, რაც გვაქვს „ლაპარაკი“, „ხმაურის“ აღმნიშვნელ სემანტიკურ ველში გაერთიანებულ ზოგ ფუძეში, როგორიცაა, მაგალითად, **ღარღილი** „ხმამალა ლაპარაკი“ (გურ., იმერ.), **ღაღალური** „ხმამალალი და ტკბილი გალობა“ (გურ.) (ბურჭულაძე 1989: 10).

ღარღალ- „ლაპარაკი“, „მოსაბეზრებელი ლაპარაკი“ მეგრულ-ჭანურშიცაა; ამავე ფუძისადაა ცნობილი სვან. **გარგლა-** „ლაპარაკი“; სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგანაც იგივე ფუძე დასტურდება: ხუნდ. **გარგად-**იზე // **გარგა-**ზე „ყბედობა“, „ლაპარაკი“ (ჩიქობავა 1938; 346). გ. როგავა სვან. **გარგლა** და ჭან. **ღარღალ-** ფუძეთა მიმართებაში აღადგენდა ფარინგალური *ღ მჟღერის რეფლექსებს: სვანურში **გ**, ზანურში **-ღ** (როგავა 1946: 7).

ანალოგიურადაა მიღებული ჩეჩნურსა და ინგუშურში „წეროს“ აღმნიშვნელი ფუძეები: ჩეჩნ. **ღარღული** (*ღარღური) „წერო“, შდრ. **ღარა** „ხმაური, ხმა“; ინგ. **ღარღურა** „წერო“, შდრ. **ღარ** „ხმაური, ხმა“ (ბურჭულაძე 1989, 10).

ასე რომ, კანონზომიერი რეგულარული ხასიათის ბგერათშესა-

ტყვისობანი დასტურდება არა მარტო საზოგადოდ მიღებულ ლექსე-
მათა შორის, არამედ ხმაბაძვით, ექსპრესიულსა თუ ბავშვის ლექსი-
კაშიც. განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთი ფუძეები იქცევიან სახე-
ლებად. ჩანს, ამ რიგის შემთხვევებში ბგერათშესატყვისობათა გამო-
ვლენისას მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სათანადო შესადარებელი
ფუძეები უკვე არსებით სახელად გაიაზრება. ამიტომ მათი გათვა-
ლისწინება აუცილებელია.

ლიტერატურა:

ბურჭულაძე 1989: გ. ბურჭულაძე, „ბგერათშესატყვისობის საკი-
თხი ზოგ ლექსიკურ ჯგუფში, XI რესპუბლიკური დიალექტოლოგი-
ური სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

გუდავა 1964: ტ. გუდავა, მერცხალი, იკე XIV, თბილისი.

კლიმოვი: Г. Климов, Этимологический словарь картвельских
языков, Тбилиси.

როგავა 1946: გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის
ქართველურ და ადიღურ ენებში, იკე, I. თბილისი.

ფასმერი: М. Фасмер, Этимологический словарь русского языка,
Москва.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქარ-
თველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედა-
რებითი ლექსიკონი, თბილისი.

Koba Mitagvaria

Sound Equivalents in Onomatopes

Summary

Geo. **guguli** “a cuckoo” is attested in all the Kartvelian languages, e.g. Zan. **gugul-i**, Svan. **gāgo**, **gigu**, **gego**.

The similar bases are also onomatopoetic, e.g. in Adyghe **k°gk°a** and in Daghestanian: Avar. **gigu**, **gikhu**, And. **gagu**, Darg. **giguth** and Arkab. **ḡḡḡḡḡḡ** (<***gikhmun** <***gigun**). Even according to this little material in the Daghestanian bases similar to Kartvelian ***gug** the basic morphemes are **g**, **kh**, **j**, **ch**.

It is also discussed that the lexeme **ophophi** “a hoopoe” (Megr. **ophophi**, Chan. **ophamphe**, Svan. **ophopha**) may have been adopted in the Kartvelian languages and it is compared to Arm. **jopop** and Lat. **Upupa** that are associated with Indo-European ***epop** // **upop**.

In the Georgian base ***gharghad** there are the same basic morphemes as we have in some bases united in the semantic field denoting speaking, making noise such as **gharghili** “speaking loudly” (Gur., Imer.), **ghaghaluri** “a loud and sweet chant” (Gur.)

ნიკოლოზ ოთინაუზილი

ჩამოწმებული სიტყვის ისტორიისათვის ზემო ქართლურში

ზღუდარი არის საკმაოდ ვრცელი მალღობი (20 ჰექტარი ტერიტორია) ადგილი, რომელიც მდებარეობს ქალაქ ცხინვალის სამხრეთით შესასვლელში, მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს.

ვახუშტი ბაგრატიონს თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“, თანდართული სოფლების სიაში აღნიშნული აქვს სოფელი **ზღუდერი** და 1745 წელს შედგენილ რუკაზე დატანილი აქვს სოფელი **ზღუდერი** (ვ. ბაგრატიონი 1997 : 208) საკულტო ნაგებობის ნიშნით - ჯვრით. სოფელს „მოსახლედ“ ასახელებს თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ იოანე ბაგრატიონი (ი. ბაგრატიონი 1986 : 41).

წყაროებიდან ჩანს, რომ **ზღუდერი** ძველი დასახლებაა, აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ნაგებობების ნაშთები, ხოლო დოკუმენტურად დასტურდება ზღუდრის წმინდა გიორგის ეკლესიის ნუსხურ წარწერებში ძეგლის განმარტების მარიამ დედოფლის ღვაწლი მეჩვიდმეტე საუკუნეში.

არქეოლოგიური აღმოჩენით დასტურდება, რომ მასალა ენეოლითის ხანას განეკუთვნება, **ზღუდერი** ქალაქის ტიპის დასახლება ყოფილა.

აქ არსებული თავდაცვითი ნაგებობები დასახლების თავდაცვის ერთ-ერთი ატრიბუტი იყო. გორა-ნამოსახლარს სამხრეთ-დასავლეთით გასდევს კონგლომერატების ზოლი, რომელიც ჩრდილოეთით სოფელ ხეითამდე ვრცელდება. ეს ბუნებრივი კლდე ძნელი გასარჩევია მშენებლობის ყადისგან, რომელიც ზღუდის ფუნქციას ქმნიდა.

მაღალი ადგილის აღნიშვნასთან დაკავშირებით ლექსიკონებში სწორედ მათი პირდაპირი მნიშვნელობა არის მითითებული. სულხან საბა ორბელიანი აღნიშნავს: „ყოველი სიმრგვლით შემოვლებული, რაიც იყო გარმონავლები, ქალაქთა, დაბათა, სახლთა, წალკოტთა, სათვალეთა, გინა თვალთა პატიოსანთა. გალავანი არს არა ზღუ-

დე, არამედ კედელი, მაგარი, გძლად ნაგები“... (ს.ს. ორბელიანი 1991 : 292). „მაღალზე აღმართებით, რომელი უგრძეა, იგი არს მთა, ანუ ბორცვი, ანუ ზღუდე და მისთანანი. მაღალი არს ცა და სამყარო... მაღნარი არს მთათა შინა ტევრნალი, შამბიანი“... (ს.ს. ორბელიანი 1991 : 293).

აღნიშნულ განმარტებაში მაღნარი იგივეა, რაც მაღრანი, ე.ი. მაღლარი, მაღლობი, ზემოთ მდებარე ადგილი, რომელიც ზღუდერს შეეფარდება.

ჩანს, რომ თავდაცვითი ნაგებობები ქალაქობის მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო, სადაც მოწყობილი იყო რამდენიმე სალოცავი. აქვე ტარდებოდა პოპულარული დღესასწაული „**ზღუდრობა**“, რომელიც სამი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა მოწყობილი იყო სავაჭროები და ეწოდებოდა **ქულბაქები**. აქვე ახლოსაა **ზღუდრისგვერდა** და ეს სახელი ახლაც შემორჩენილია. ეს ადგილები არქეოლოგიურად შესწავლეს ბ. კუფტინმა, ხოლო შემდეგ ო. ჯაფარიძემ, რომლებმაც აღმოჩენილი მასალის შესწავლით დაასკვნეს, რომ ეს ადგილები ენეოლითის ეპოქიდან უკვე დასახლებული ყოფილა.

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ზღუდე განმარტებულია, როგორც „კედელი, ღობე, გარშემოვლებული სიმაგრე“. სოფელ ზღუდრის მოსახლეობა ჟამიანობისაგან ამოწყვეტილა, ხოლო გადარჩენილი მამისაშვილების ერთი შტო უფრო დაბლა, დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე დასახლებულა და დააარსეს პატარა სოფელი მამისაანთი, რომელიც სოფელ ერედვის გამგეობაში შედიოდა. მეთვრამეტე საუკუნის დოკუმენტებით ზღუდერი თავად ფავლენიშვილების სათავადოში შედიოდა.

ფიჩხის ქალაქი, ასეთი დასახლებული პუნქტი არსებობდა დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს, ზღუდრის ჩრდილოეთით გორაზე. ვახუშტი ბაგრატიონს აღნიშნული აქვს თავის მიერ შედგენილ რუკაზე საკულტო ნაგებობის ნიშნით, როგორც სოფელს და მოსახლეს ასახელებს იოანე ბაგრატიონი. ამ ადგილს დღესაც ეწოდება ფიჩხიანი, ერთი ჰექტარი ფართობი უკავია და ის უკვე ტყე-ბუჩქნარია, რო-

მელიც სამოვარ ადგილად იყო გამოყენებული. სამხრეთის მხარეს ჯერ კიდევ ემჩნევა გალაგნის ნაგებობის ნაშთები. ერთი დოკუმენტი ნათელს ჰფენს ამ პუნქტის ბურუსით მოცულ ისტორიას: „მე ზაზა მაჩაბელმა შენ საბანაძე შიოსა, შვილსა შენსა დათუნას, ნასყიდას, ღვთისიას დაგიწერე სიგელი და მოგეც, ასე რომ ფიჩხის ქალაქს მოგყიდე ტოხაური მიწა, ზეით გზამდე, აქეთ გუნდიშვილის მიდგამდე, ავიდე ფასი სრული და უვლნებელი (ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd ფონდი, №944).

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში ფიცხი-ფიჩხი განმარტებულია, როგორც „გამაგრებული, გინა სწრაფი, გლეხურად გამაგრებული“ (ი. აბულაძე 1979 : 194-195).

ჩანს, რომ აღნიშნული ადგილი ჯერ ხის მასალით, მერე კი ქვითკირით იყო შემოზღუდული, რომელიც გვიან საბანაძეების, გუნდიშვილებისა და ტოხურების საცხოვრებელი ადგილი იყო.

სიტყვა უდაბნო ქართული წერილობით ძეგლებში ძველი დროიდან დასტრუდება და მისი გავრცელების არეალი ვრცელია. ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერაში“ წერს „საბაწმინდის ზეით, ამავე მთაში არს აღმოსავლეთისკენ **უდაბნო**, მაღალ კლდესაშინა გამოკვეთილნი ქუაზნი ეკლესიით“... **უდაბნო** მდებარეობს ცხინვალიდან აღმოსავლეთით 4 კილომეტრის მოშორებით, ლიახვის მარცხენა მხარეს, გუდისის მთის ძირში.

ამ ადგილს დღეს ეწოდება „მოლოზნის კლდე“, რომელიც სამ სართულად სახიზრად არის გამოკვეთილი და სიმაგრეს წარმოადგენდა, ხოლო თავზე იდგა კოშკი, რომელიც დღესაც შემორჩენილია, მას ეწოდება „**მოლოზნის კლდე**“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი **უდაბნოსაგან** ნაწარმოებ შემდეგ სიტყვებზე: **მეუდაბნოე**, **უდაბნოს მკვიდრი**, **უდაბნოს მოყვარე** და სხვა.

უდაბნოში უ ხმოვანი უარყოფითი ნაწილაკია და **უდაბნო** იმ ადგილს ერქვა, სადაც ხვნა-თესვას არავინ ეწეოდა, სადაც მოსახლე-

ობა არ იყო დამაგრებელი. აღსანიშნავია, სვანურად „დაბან“ მოხულ მიწას ნიშნავს, „უდაბან“ მოუხნავს - აქედან **უდაბნო**.

სულხან საბა ორბელიანი ასე განმარტავს „**უდაბნო**, უშენობო, **უდაბნო** იგი აქვს სადა არ არის ყოველადვე შენებულობა“ (ს.ს. ორბელიანი 1991 : 410).

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ასეა განმარტებული „უდაბნო, გაუშენებელი, დაუსახლებელი ადგილი, ოხერი, უმკვიდრო“ (ი. აბულაძე 1973 : 410).

უდაბნოს შესახებ 1780 წლის ერთი საბუთით დავა ჰქონდათ თავად მაჩაბლებსა და ეტიტაშვილებს.

ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელ ხეითის აღმოსავლეთით მდებარეობს აწ უკვე ნასოფლარი **საბაწმინდა** და საბაწმინდის ტაძარი. ტაძარი აგებულია მეთექვსმეტე საუკუნეში წითელი ტუფით, რომელიც აქ, კერძოდ, სოფელ ერედვის ჩრდილოეთით მოიპოვებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ერედვის ჩრდილოთ, ამავე მთას შინა, არს ქრცხინვალისაკენ, მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, კარგ ადგილსა და მშვენიერსა, **საბაწმინდა**, დიდნაშენი და აწ ხუცის სამარ“... (ვ. ბაგრატიონი 1997 : 76).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კლარჯეთის უდაბნოს აღწერისას აშკარად ჩანს, რომ ბერ-მონაზვნები საცხოვრებლად ძნელად მისადგომ ადგილებს ირჩევდნენ, სადაც სულის უკვდავებისათვის ბერებს სასიცოცხლო პური ტანჯვით უნდა მოეპოვებინათ.

იერუსალიმის სამხრეთით ცხელ უდაბნოში ჩვენმა წინაპრებმა ააგეს საბაწმინდის ლავრა, რომელიც მნიშვნელოვანი კულტურული კერა იყო ახლო აღმოსავლეთში. საბაწმინდელთა ხელიდან გამოსულია სახარება, როგორც ხანმეტური, ისე საბაწმინდური. იქვე იყო დაცული ჭილ-ეტრატის იადგარი და სხვა ძეგლები.

არაბთა განუწყვეტელი თავდასხმების გამო ქართველი ბერები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ საბაწმინდის ლავრა და კულ-

ტურის კერები სხვაგან გადაეტანათ. მიგვაჩნია, რომ ხეითის **საბაწმინდაც** ამ მოვლენების შემდეგ უნდა იყოს აგებული.

რატომ დაერქვა **საბაწმინდა**, ალბათ იმიტომ, რომ ეს სახელი კაბადოკიელი წმინდანის საბას სახელის მიხედვით ეწოდა, რომელიც რამდენიმე მონასტრის აშენებელი იყო და მისი სახელი შემდგომ სხვა მხარეებშიც, მათ შორის ლიახვის ხეობაში აგებულ მონასტერს დაუკავშირდა ტრადიციით.

არამგამა - ზემო ქართლში ბევრი გეოგრაფიული სახელი ძველია და ბევრი მათგანი ჩვენამდე უცვლელად არის შემონახული, რაზედაც ხშირად თვით სახელწოდების წარმოშობა მოგვითხრობს. ზოგმა განიცადა ცვლილება და დღეისათვის განსხვავებული სახით გვხვდება, ამიტომ მათი წარმომავლობის გარკვევა კვლევას საჭიროებს.

მხარეში, კერძოდ კი ფრონეს ხეობაში ერთ-ერთი ძველი გეოგრაფიული სახელწოდებაა **არამგამა**, რომელიც ლეხურის მთის ჩრდილოეთ ნაწილში დამრეც კალთაზე მდებარეობდა. ეს გეოგრაფიული სახელი გვხვდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების „აღწერებში“, როგორც „მოსახლე“.

დღეს უკვე ნასოფლარი **არამგამა** ვრცელი მამულების მფლობელი იყო, ეს ადგილები მთისა და ბარის ნამდვილი სიმბიოზია და ინტენსიური მეურნეობისათვის ხელსაყრელი. „1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის“ მიხედვით ამ სოფელში ცხოვრობდნენ: სამსონაშვილები, დვალეები, იობაშვილები, აჭარაძეები და სხვა გვარები, რომლებიც შემდეგ ბარის სოფლებში გადასახლდნენ. შემდგომში აქ დამკვიდრდნენ ქართლის მთიანეთიდან ჩამოსული - კასრაძეები, ფეხშველაშვილები, იმერეთიდან - ხუციშვილები, სადღობელაშვილები. აღნიშნული გვარის ხალხი ძირითადად ფრონეს მარჯვენა მხარეს არის გადასული, სადაც უფრო ხელსაყრელი პირობები იყო ცხოვრებისათვის.

დღეს ნასოფლარის შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: ძველედ თითქოს ამ სოფელში უცხო კაცი მოსულა, სოფელი მორიდე-

ბია - მგელი არისო. მეორე ვარიანტით იმ მოძალადეს სოფლისათვის ზარალი მიუყენებია და სოფლებებს უთქვამთ არამი გამოდგა შენზე ჩვენი მამულიო, არის სხვა გადმოცემებიც.

სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „**მგამა** - მეზრუნება, **მგამა** - მეზრუნება მგლის“ (სულხან-საბა 1991 : 458).

აკაკი შანიძე აღნიშნულ სიტყვას ასე განმარტავს: **მგამა** - **არამგამა** - არ მენაღვლება (შანიძე 1991: 417).

ძველი ქართულში მგლის იმავს ნიშნავს, რაც **მგამა**. „შუშანიკის წამებაში“ აღნიშნულია, რომ დიდი ტანჯვის შემდეგ, რაც შუშანიკს ვარსკენმა მიაყენა და მცველებს ჰკითხა მეუღლის ყოფა, მათ უთხრეს: „უფრო სასიკვდილო პირი უჩანს ვიდრე სასიცოცხლო“, რაზეც ვარსკენმა მრისხანედ მიუგო: „ნურარაჲ გგლიან უტე მოკუდეს“, ესე იგი, „არ მენაღვლება, მოკვდესო“.

აქედან ჩანს, რომ **მგლის** - **მგლიან** კარგად გადმოგვცემს **არამგამა** ზმნის მნიშვნელობას. ისინი სინონიმებია.

მგამა სიტყვა სხვა ძეგლებშიც გვხვდება: „ამირან-დარეჯანიანში“, „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანში“ და სხვა. ასეთი ლექსიკური ერთეულების არსებობა მხარეში იმისი დასტურია, რომ ძველი ქართული მოსახლეობა აქ ადრეა დამკვიდრებული და მათ შექმნეს მატერიალური და სულიერი კულტურის ბევრი ნიმუში.

ლიტერატურა:

ილია აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასაკლები). თბ., 1973.

ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997.

ვახუშტი ბაგრატიონი. რუკები, 1745.

იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბ., 1986.

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. თბ., 1991.

სულხან-საბა ორბელიანი. IV. 1966.

აკაკი შანიძე. თბზ. ტ. V. 1991.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: Hd №944.

Nikoloz Otinashvili

Etymology of Some Toponyms in Upper Kartli

Summary

The paper deals with the etymology of some toponyms in Upper Kartli. Zghuredi is a place situated in the southern part of the town of Tskhinvali. The toponym is mentioned even in the book entitled as *Georgian Geography* by Vakhushti Bagrationi. The town of Pichkhi was situated on the left of Didi Liakhvi. Nowadays it is called Pichkhiani. Sabatsminda is a name of a church. The toponym is related to the name of Saint Saba from Cappadocia. Aramgama was called “Mgama Mglis“ by Akaki Shanidze.

ნანა სააკაძე

ფორმათა და შინაარსით თანხვედრითი ლექსიკონიდან ქართულში
(ქვემოქართლური კილოების მიხედვით)

ქვემოქართლურის ლექსიკაში შემონახული მრავალი ლექსიკურ- ერთეული ზოგჯერ ფონეტიკური სახესხვაობით არის დამოწმებული და მიჩნეულია სხვა კუთხის კუთვნილებად, სინამდვილეში კი იმავე მნიშვნელობით ქვემოქართლურშიც გვხვდება (სააკაძე 2004: 32). მათი სრული გამოვლენა-აღნუსხვა შესაძლებლობას მოგვცემს სხვადასხვა არალინგვისტური ფაქტორის გათვალისწინებით ზუსტად განვსაზღვროთ დიალექტიზმების გავრცელების არეალები და შესაბამისად მოვახდინოთ დიალექტური ლექსიკის კლასიფიცირება და ლოკალიზაცია, ასევე განვსაზღვროთ ლექსემათა ადგილი დიალექტური ლექსიკის ფონდში:

ალავის კაბა დმანისის რ-ნის სოფ. დიდ გომარეთში დავადასტურეთ „პატარძლის კაბის“ მნიშვნელობით. სასიძოს მიერ მირთმეულ კაბას პატარძალი ქორწილის მე-2 დღეს იცვამდა და ეს კაბა იყო „ალავის კაბა“. აღსანიშნავია, რომ „ალავი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც ამავე მნიშვნელობით არის კვალიფიცირებული (ქეგლ 1950: 263).

ბადია ბოლნისის რ-ნის სოფ. ხატისოფელში აღვნუსხეთ „რძის ჭურჭლის“ მნიშვნელობით. ამავე მნიშვნელობითაა დადასტურებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქეგლ 1950: 945), სულხან-საბასა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის თანახმად არის „დიდი ჯამი“ (საბა 1991: 90): „დიდი ჯამი, რომლითაც ნადიმით შინა მოიღებენ წნოვითა და მუნით განუყოფენ მენადიმეთა“ (ჩუბინაშვილი 1961: 147). ფშაურშიც ასევეა ფიქსირებული: „ხის პატარა ხონა, ალუმინისა, დიდი ჯამი“ (ხორნაული 2000: 30).

ბთა(-ფთა-ფრთა) აღნუსხულია ქიზიყურსა და ფშაურში. წისქვილის ფირფიტაა, რომელსაც წყალი სცემს და ბორბალს ატრია-

ლებს (დლონტი 1984: 798). ამავე მნიშვნელობით დასტურდება ქვემოქართლურშიც.

დაცხავება თუშურში კვალიფიცირებულია და აღნიშნავს: რამის გახვრეტა ბევრგან ისე, რომ ცხავს დაემსგავსოს (ჯორბენაძე 1989: 636).

დაცხავული კი ფიქსირებულია მთიულურში, როგორც ძალიან გაცვეთილი, გაცრეცილი (დლონტი 1984), აღსანიშნავია, რომ ორივე ლექსიკური ერთეული ქვემოქართლურშიც არის გავრცელებული. მნიშვნელობის იდენტურობის გარდა, **დაცხავება** ქვემოქართლურში აღნიშნავს აგრეთვე საფეკვაი მარცვლეულის ცხავში გატარებას. **დაცხავული** მთიულურში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ბოლნისის რაიონის სოფ. ხატისოფელში დაცხავებულს, მრავალგან გახვრეტილს აღნიშნავს, ამასთანავე ცხავში გატარებული მარცვლეულის აღმნიშვნელიცაა; მარნეულის რ-ნის სოფ. წერაქვსა და სიონში აღწესებულია „სიმინდის ტაროდან მარცვლების გაყრეინების“ მნიშვნელობით, ე.ი პოლისემანტიკურია.

მანანა დმანისის რ-ნის სოფ. პატარა გომარეთში დავადასტურეთ და ნიშნავს: „ფუტკარი რომ ყვავილებისაგან იღებს მასას ბღარტების გამოსაკვებად“. აღნიშნული ლექსემა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით პოლისემიურია: 1. რელიგ. ბიბლიის მიხედვით და ნოყიერი საჭმელი, რომელიც ცვიოდა ზეციდან ისრაელთათვის მათი უდაბნოში მოგზაურობისას; 2. იგივეა, რაც ბურღული; 3. ჟინჟლივით დანაწვიმი ზოგიერთი მცენარის ფოთლებზე; ქართლურსა და გურულში „მცირე, პატარა“ „ზრდაში ჩამორჩენილი ცახზე დაგვიანებით ასული აბრეშუმის ჭია“ (ქეგლ 1958: 41). იმერულში „ერთგვარი სოკოსებრი ავადმყოფობაა ფოთლისა“ (ჯაჯანიძე 1976: 90). ლეჩხუმში აღნიშნავს „შავ ლაქას, რომლებიც ჩნდება ზაფხულში თხილის, ცაცხვის ან ვაზის ფოთლებზე, ჭიანჭველა ჭამს“ (დლონტი 1984: 342).

საანალიზო ლექსემა ქიზიყურში პოლისემიურია და მეორე მნიშვნელობა იდენტურია ქვემოქართლურის მონაცემისა. 1. პარკის

აკრეფის შემდეგ თითო-ოროლა წვნიკი აბრეშუმის ჭია; 2. სინსლივით (ჟინჟლივით) წვიმს მზეში ივნისსა და ივლისში. იცის ცაცხვისა და კაკლის ფოთოლზე, ჭინჭარზეც. მზეზე ბრწყინავს. ფუტკარი თაფლად აგროვებს (მენტემაშვილი 1943: 106).

ნაკმაზი დავადასტურეთ სოფ.წერაქესა და ხატისოფელში „ხორბლის დარკვევისას დარჩენილი სარეველა მცენარეთა თესლია. ასევე ფიქსირებული ქართლურში, კახურსა და ფშაურში (ლლონტი 1984: 405).

ნემსულა აღვსუსხეთ მარნეულის, დმანისისა და ბოლნისის რ-ნის ქართულ სოფლებში „თესლიდან უმცირესი ამონაყარის“ მნიშვნელობით. ამავე მნიშვნელობით არის აღვსუსხული ფშაურშიც (გოგატიშვილი 1981: 89).

ოდოში თუშურსა და ფშაურში „შემოუსვლელი ყანის“ მნიშვნელობით დასტურდება. (ლლონტი 1984: 425). ამავე მნიშვნელობით გვხვდება ქვემოქართლურში.

სირისკული ფშაურში „მატყლის ჩეჭვის დროს ვახშომობაა“ (ხორნაული 2000: 218). ასევე დიდ და პატარა გომარეთშიც.

წანახედი (თუმ., ფშ., ქართლ.)-„საქონლის მიერ შექმულ-განადგურებული ყანა“ (ლლონტი 1984: 694), რაც ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ქვემო ქართლშიც.

ხვიმური გადმობრუნებული პირამიდისებურად შეკრული ძაბრისმაგვარი ხის ყუთია, რომელშიც საფქვავე იყრება. რაჭაში, ფშაურსა და ზ. აჭარაში ამავე მნიშვნელობით დასტურდება ხვიმირი; შდრ. ასევე: (მთიულ., მოხ.): **ცვიმირი** (ხვეის.); ცუმბური (თშ.): **ცვიმბური** (შანიძე 1984: 470) და სხვ.

წარმოდგენილი ლექსიკური მასალის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი გვამლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები ძირითადად არქაული ხასიათისაა და ძველი ქართულიდან მომდინარეობს ან მათი ნაწილი ამჟღავნებს შეხვედრებს უცხოურენოვან ლექსიკასთან.

ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ნასესხობანი კი დიალექტური ლექსიკის მეორე შემადგენელი ნაწილს შეადგენს (ფოჩხუა 1974: 189).

ამდენად, ჩვენი აზრით, ნებისმიერ დიალექტში დადასტურებულ ლექსიკურ ნასესხობათა ანალიზი საინტერესოა როგორც ენის ისტორიის, ასევე ისტორიული ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

გ. გოგატიშვილი, სალიტერატურტო ენის არეალი და დიალექტური ლექსიკა, „საქ. სსრ. პედ. ინსტიტუტების პროფ.-მასწ. საინსტიტუტთაშორისო 47-ე სამეცნიერო სესია,“ მასალები, თსპი, თბ., 1981.

სტეფანე მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.

ნანა სააკაძე, სამეურნეო ყოფის ამსახველი ლექსიკა ქვემოქართლურში (საკანდ.დისერტ.), თბ., 2004.

ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ; 1974. ქეგლ, 1950; 1958.

ალექსანდრე ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

აკაკი შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1984.

ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961. გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

პ. ჯაჯანიძე, იმერული ლექსიკონისათვის, თბ., 1976.

ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

Nana Saakadze
Words and Expressions Having Similar Structures
and Meanings in Other Dialects

Summary

The vocabulary of Lower Kartli is very diverse. A number of lexical units are considered to belong to other dialects but, in fact, they have the same meanings in Lower Kartlian. The paper deals with such lexical units, e.g. **alavis ḳaba, badia; bta (pta prta), dactaveba, manana, naḳmazi, nemsula, odiḡi sarisḳuli, xvimuri** etc.

The analysis of the semantic structure of the lexical material enables us to conclude that the said words originated from Old Georgian or have an archaic nature.

შეჯამება

**აბგარდასახვის ლექსიკის სხვადასხვა დიალექტებში
და ფოლკლორულ მასალაში**

სვანური ფონოემანტიკური ლექსიკის შესახებ მსჯელობა ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია ცალკეულ ენათმეცნიერულ ნაშრომებში (იხ. ვ. თოფურია, კომპოზიტი სვანურში, შრომები III, თბილისი, 1979; ლ. სანიკიძე, რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, IV, თბილისი, 1976; მ. საღლიანი, სიარულის, სმისა და ჭამის აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურში, სადიპლომო ნაშრომი, თბილისი, 1995; ლ. გიგლემიანი, ჰიდროლექსიკა ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2006; ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში, თბილისი, 2008; რ. ჭკადუა, მოძრაობის მანერის გამომხატველ ზმნათა ერთი ტიპის მორფო-სემანტიკური ანალიზი სვა-

ნურში, იკე, XLIII, თბილისი, 2015...), თუმცა აღნიშნული ლექსიკის სისტემური აღწერა და საგანგებო კვლევა დღემდე არ ყოფილა ენათმეცნიერთა კვლევის საგანი. ერთადერთი სერიოზული გამოკვლევა, რომელიც სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკის (*ხმაბაძვითი და გარეგანი სახეობის*) პრობლემებს ეძღვნებოდა, ეს გახლდათ 2008 წელს არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების საარქივო დოკუმენტებში მიკვლეული ა. დავითიანის ხელნაწერი სამეცნიერო სტატია „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“ (1949 წლით დათარიღებული), რომელიც ამავე განყოფილების კრებულში (იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, თბილისი, 2008:315-331) დაიბეჭდა და შესაბამისად ხელმისაწვდომი გახდა ლინგვისტთა ფართო წრისათვის.

ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია ფონოსემანტიკური ლექსიკის, კერძოდ, ხმაბაძვითი და გარეგნობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების აღწერა და ამ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურული მოდელების კვლევა სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტებით სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტების (*ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის*), *ჩოლორული მეტყველებისა და ლახამლოური კილოკავის* მონაცემების საფუძველზე. ბუნებრივია, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სვანურის სხვა კილოკავთა მონაცემებიც.

ე. წ. „ხმაბაძვითი“ (*resp. ონომატოპოეტური*) სიტყვები, როგორც ცნობილია, ყველა ენაში დასტურდება, „მაგრამ ენათა მიხედვით განსხვავებულია როგორც მათი ხმარების სიხშირე, ისე მათი ადგილიც ენის გრამატიკულ და ლექსიკურ სისტემაში“ (ქობალავა 1979:107). ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური ენა წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ მდიდარია „ხმაბაძვითი“ ლექსიკური ერთეულებით. სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა სხვადასხვა სახის ხმიანობა და, ამასთანავე, სხვადასხვა ენაში ამ ტიპის სიტყვები გამოხატავენ მოქმედებისა თუ მდგომარეობისათვის დამა-

ხასიათებელ ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმას (*მოქმედი საგნის გარეგნობას, სულიერ განწყობილებას, ბუნების მოვლენებს* და ა. შ.) (იქვე). აქედან გამომდინარე, „ხმაბამვითი“ ლექსიკის კვლევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებიც, ა. დავითიანის ტერმინოლოგიით, „*გარეგანი სახეობის*“ ლექსიკა.

ცხადია, მსგავსი ლექსიკის როგორც აღწერა, ისე კვლევა, ძირითადად, უნდა ეყრდნობოდეს ტექსტურ მონაცემებს, თუმცა სვანური ფოლკლორული ტექსტები - „*სვანური ენის ქრესტომათია*“ (1978), „*სვანური პროზაული ტექსტები*“ (I, II, III, IV - 1939, 1957, 1967, 1979), რომლებიც ჟანრობრივად მრავალფეროვანია და, ამასთანავე, მოცულობითაც საკმაოდ დიდი, ბგერწერითი ლექსიკის სიხშირით არ გამოირჩევა. ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის 900-გვერდიან (16000-მდე ლექსიკური ერთეულით) „*სვანურ ლექსიკონში*“, რომელიც მოცულობით ყველაზე სრული ლექსიკონია სვანური ენისადმი მიძღვნილ ლექსიკონებს შორის და რომელიც ძირითადად სწორედ „*სვანური ენის ქრესტომათიისა*“ და „*სვანური პროზაული ტექსტების*“ მონაცემებს ეყრდნობა, აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულთა სიმცირე აშკარად თვალშისაცემია. ასევე მწირადაა ბგერწერითი ლექსიკური ერთეულები წარმოდგენილი ვ. დონდუას „*სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონსა*“¹ და ბ. ნიჟარაძის „*ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში*“.² შედარებით სრულად არის აღწერილი ფონოსემანტიკური მასალა ა. ლიპარტელიანის ჩოლურული მეტყველების მიხედვით შედგენილ „*სვანურ-ქართულ ლექსიკონში*“, თუმცა ვერც ეს ლექსიკონი ასახავს სრულად საანალიზო მასალას.

რასაკვირველია, პრობლემატურია ბგერწერითი ლექსიკის ქართულ ენაზე გადმოტანაც აღნიშნული ლექსიკის სპეციფიკურობი-

¹ შედგენილია ლაშხური დიალექტის მიხედვით.

² შედგენილია უშგულური კილოკავის მიხედვით.

დან გამომდინარე. აქვე უნდა ითქვას, რომ ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილ სვანურ ტექსტებს არ ახლავს ქართული თარგმანები, აქედან გამომდინარე ვერც თარგმნის სპეციფიკაზე ვერ ვისაუბრებთ. რაც შეეხება ლექსიკონებს, იქ ბგერწერითი ლექსიკის თარგმნის თვალსაზრისით არაერთგვაროვანი სურათია. აქვე შევნიშნავთ, რომ სვანურს, მეგრულის მსგავსად, ბგერწერითი ყალიბები (ანუ სამწევრა და ორწევრა სისტემები) თითოეორთა გამონაკლისის გარდა არ ახასიათებს (მაგ.: **ბგუბ** - **ცქუიფ** - **წკუბი** „გაწყვეტა“, **დგურბუნ** - **თქურფუნ** „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“...), თარგმნას, ცხადია, ესეც ამარტივებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ქართულად გადმოტანისას აუცილებელი ხდება აღწერითი წარმოება. განსაკუთრებით მაშინ რთულდება თარგმნის საკითხი, როდესაც ლექსემა სუბიექტის ფიზიონომიას, აღნაგობას, გამოხედვას და ა. შ. აღწერს (შდრ. **ლიწკუირანალ** (ბქ.) „წვრილთვალება ადამიანის ყურება; **ლიკანკუნალ** (ბქ.) „კაკ-კუკი (წვრილქუსლიანი, კაკუნა ფეხსაცმლით სიარული)“; **ლიშიუანალ** (ბქ.) „მავთვალწარბა ადამიანის გაბრაზებული ყურება“; **ლიზიტყანალ** (ბქ.) „მსუქანი, უმწო აღნაგობის ქალის გაბრაზებული სიარული“, შდრ. **ზიტყ ხარ** „გაბრაზებულა, გაბუტულა“, **ზიტყ-ზატყ** „გაბრაზება, გაბუტვა“; **ლიფილფალ** (ჩოლ.) „დიდი ტანის მოზრდილი კაცის არაჭკვიანური სიარული“; **ლიპიტპიტი** (ლშხ.) „ცანცართი სიარული, რატრატი“, **ლიჩრითჩრითი** „ფეხების თრევით, ულაზათოდ სიარული“ და მრავ. სხვ.). აღნიშნული ლექსიკური ერთეულები დასტურდება ა. ლიპარტელიანის მიერ ჩოლურული მეტყველების მიხედვით შედგენილ „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ და მ. საღლიანის სადიპლომო ნაშრომში „სიარულის, სმისა და ჭამის აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურში“ (1995 წ.), რომელშიც გაანალიზებულია 329 ლექსიკური ერთეული.

ვინაიდან ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის მიერ შედგენილი „სვანური ლექსიკონი“ სვანური ენის ოთხივე დიალექტის მონაცემებს წარმოგვიდგენს, ამიტომ ბგერწერითი ლექსიკის თარგმნის სპეცი-

ფიკის საკითხის განხილვას, ბუნებრივია, აღნიშნული ლექსიკონის მონაცემების განხილვით დავიწყებთ, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ამ სახის ლექსიკური ერთეულები მცირე რაოდენობით არის ლექსიკონში წარმოდგენილი.

სვანური ბგერწერითი ლექსიკის ქართულ ენაზე განმარტებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე შემთხვევა:

1) როცა ქართულში სვანური ლექსემის ზუსტი ფონეტიკური და სემანტიკური ეკვივალენტი მოგვეპოვება: **ჭერჭყენ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ჭურჭყუნ** (ლშხ.), **ჭერჭყენ** (ბქ., ლნტ.) „ჭიჭყინი“; **ჭერქენ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ჭერქენ** (ბქ., ლნტ.) „ჭიხვინი“; **ხერტენ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხერტენ** (ბქ., ლნტ.) „ხროტინი“ და ა. შ., თარგმნის საკითხი მარტივად წყდება;

2) როცა ქართულში ზუსტი ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისი არ არსებობს, მაგ. „გაწყვეტის“ აღმნიშვნელი **ძეჭიბ** - **ცქიფ** - **წკუბი**; „სიარულის“ აღმნიშვნელი **ლიბგჯღანალ** - **ლიფგჩქანალ** - **ლიპგჟყანალ**; „წყლის ხმაურის“ აღმნიშვნელი **დგურბუნ** - **თქურფუნ**; „ყვირილის“ აღმნიშვნელი **სგრტგენ** - **სტურფუნ**; „თოფის გავარდნის ხმის“ აღმნიშვნელი **ძეგლ** - **წეგლ** და მისთ., ამ შემთხვევაში თარგმნის საკითხი, რა თქმა უნდა, უფრო რთულდება. ჩვენი აზრით, ამგვარი ლექსიკის ქართულ ენაზე განმარტებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ის კონოტაცია, რაც მოცემულ ენაში აქვს, მაგ., **ძეჭიბ** გამოხატავს დიდი, მძიმე საგნის „გაწყვეტას“ ხმის თანხლებით, **ცქიფ** შედარებით წვრილი საგნის „გაწყვეტას“, ასევე ხმის თანხლებით, **წკუბი** კი იგივეა, რაც ქართული „წკაპანი“ (ანუ წვრილი საგნის „გაწყვეტა“); **დგურბუნ** - **თქურფუნ** ყალიბის შემთხვევაში კიდევ უფრო ძნელდება შესაბამისი მნიშვნელობის მოძებნა, **დგურბუნ** თითქოს უფრო ძლიერ და უხეშ დგაფუნს გამოხატავს, **თქურფუნ** კი შედარებით ყრუ, მაგრამ, აგრეთვე, უხეშ დგაფუნს წყლისას და მისთ. მჟღერობა-სიყრუის მიხედვით დაპირისპირებული მსგავსი ფორმები, როგორც მრავალფეროვან სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე და-

კვირვებამ აჩვენა, სვანურში სისტემას არ ქმნიან. რა თქმა უნდა, ჩვენი გამოკვლევა ემყარება როგორც დღემდე ცნობილ ყველა სვანურ ტექსტურ და სალექსიკონო, ისე საველე პირობებში მოძიებულ მასალებს.

3) გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, როცა სვანურ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: **დგურბუნ** 1. „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“, 2. „ბაგაბუგი (გულისა)“; **ღურღუნ** 1. „გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“, 2. „ჩუხჩუხი (წყლისა)“; **წურწკუნ** 1. „წმუტუნი“, 2. „წუწუნი“ და სხვ. მნიშვნელობის ნიუანსირება გამოწვეულია სვანურ დიალექტ-კილოკავთა მრავალფეროვნებით, თუმცა მსგავს შემთხვევებს ერთი დიალექტის ფარგლებში, კილოკავთა დონეზეც აქვს ადგილი.

ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ქართულ ენაზე თარგმნის თვალსაზრისით კარგი ვითარებაა, თუმცა ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები, როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ მწირადაა წარმოდგენილი.

აღნიშნულ ლექსიკონში დადასტურდა:

1. **უსუფიქსოდ - მარტივი** (ე. წ. შიშველი) ფუძით წარმოდგენილი ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები: **ბრიგ|ბრიგტ** „ბრაგვანი, ბრეგვა; ტყაპანი“, **რიჭ** 1. „გაუთავებელი ლაპარაკი“, 2. „აყალმაყალი“, **ჭი/იხ** „ჭახანი, ჭახაჭუხი“, **ყუისგ** „ჭახანი, ჭახაჭუხი“, **ბგლ** 1. „მონოტონური ხმაური (ფრინველთა გუნდისა)“, 2. მძიმე რამის დარტყმის ხმა, ბრაგვანი, ბრახვანი, **ხგლ/ხგლ** „ხრიალი, ღრიალი; გაბმული ხმაური (წვიმისა...); ხარხარი“, **შყიბ** „ბრაგვანი, თხლაშანი“, **შგლ/შგლ** „შხუილი“, **შხულ/შულ/შხგლ** „შხაპუნი, შხუილი“, **წგლ/წგლ** „წივილი“, **ჭიხ/ჭიხ** „ჭახანი, ჭეჭა; ტკაცანი; სილის გაწვნა“, **ჭყგლ/ჭყგლ** „ჭყივილი“..., რომელთა მეტი წილი გარკვეულ ზმნებთან კომბინაციაში ექსპრესიული შინაარსის მოქმედებას გამოხატავს (მაგ.: **ჭიხ ახღანე** „ისროლა (ზედმიწ. - ჭახანი გაადინა)“, **ყუისგ ენკიდ** „ხმა გამოსცა (ზედმიწ. - ხმა აიღო)“, **ბრიგ|ბრიგტ ახვიდნე** „ბრაგვანი გაადენინა“...).

2. **-უნ/-უნ** და **-გნ/-გნ** სუფიქსიანი ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულები (**ჭერხგნ/ჭერხგნ** „ჭახანი, ჭახჭახი“, **სგრტგნ/სგრტგნ** „ჭახანი, ჭახჭახი, ლაწა-ლუწი“, **ბერთგნ/ბერთგნ** „ბრაგუნი, ბაკუნი, ბათქუნი, ბათქა-ბუთქი“, **ბერბგნ/ბერბგნ** „ბათქაბუთქი“, **ხურხუნ/ხურხუნ** „კრუტუნი“, **ხურგუნ/ხურგუნ** 1. „ხრიგინი“, 2. „ხრამუნი“, **ხგრტგნ/ხგრტგნ** „ხროტინი“...), რომელთაც შესაბამისი კორელატები მოეპოვებათ ქართულში, თუმცა სავსებით შესაძლებელია მათი უფრო დაკონკრეტება ქართულად გადმოტანისას: მაგალითად, **სგრტგნ/სგრტგნ** სვანურის ყველა დიალექტში *ქალის გამკვიანი ხმით ჩხუბს* გამოხატავს და არავითარ შემთხვევაში მამაკაცის ჩხუბს, რაზეც თვითონ სიტყვის ჟღერადობაც მიგვანიშნებს. ბალსქვემოურსა და ჩოლურულში კი **ბერბგნ** ენაბრგვილი მამაკაცის უხემ საუბარს, ბურდლუნს, რომვას აღნიშნავს (შდრ. ასევე, ქართ. (ფშ., ხევს.) *ბუბუნი* „ხარის ხმიანობა“) და არამხოლოდ *ბათქაბუთქს*.

3. **ლი-** -**ი/ე** მოდელით ნაწარმოები მასდარები (**ლი-ჭერხგნ-ი** „ჭახანი, ჭახჭახი“, **ლი-შგფ-ი/ლი-შკუჭფ-ი** „დახეთქება, დარტყმა, ჩაკაკუნება“, **ლი-ხგრტგნ-ი** „ხროტინი“, **ლი-ცხურგუტინ-ე** „ხრუკვა“, **ლი-შუნშხტ-ე** „ხრუტუნი“, **ლი-ჭკრუტინ-ე** „ციმციმი“, **ლი-კვტ-ე/ლი-კვტრ-ე** „ბრწყინვა“, **ლი-შხგლ-ი/ლი-შხგლ-ი/ლი-შგრშხგნ-ი** 1. „შიშხინი (ცხიმისა...)“, 2. „შხული (წყლისა)“, **ლი-ჩხკენ-ე** „ჩხაკუნი, რეკვა“, **ლი-წგრპენ-ი** „წრიპინი“, **ლი-ჭგრჭგნ-ი/ლი-ჭგრეჭი** „ჭრიჭინი; ჭიკჭიკი“...), რომლებიც ნაკლებ პრობლემატურნი არიან ქართულად გადმოტანის შემთხვევაში.

და, ასევე, რედუპლიკაციის სხვადასხვა გზით მიღებული ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები: **გულმაგულ/გელმაგულ** „გაბმული ყმული; დიდი ხმაური“, **ბჟელმაბჟელ/ბჟელმაბჟელ** „ზუზუნი, ბზუილი, ჟიჟინი“, **სელმასელ/სელმასელ** „სისინი“, **ხგლმახგლ/ხგლმახგლ** „რახარუხი, დიდი ხმაური“; **შგლ-ბგლ/შგლ-ბგლ** „დიდი ხმაურით რამის კეთება, გაბმული ხმაური, შრიალი“,

ხელ-ბელ/ხელ-ბელ 1. „დიდი ხმაური“, 2. „შეხლა-შემოხლა“; **შიბ-შიბ/შიბ-შიბ** „ბრახაბრუხი, ჯახაჯუხი“; **რიჭი-რაჭა** „მითქმა-მოთქმა; ჭორიკნობა“; **რიყი-რწყა** „რახარუხი“; **ტურმუნ-ბურგუნ/ტურმუნ-ბურგუნ** „რახარუხი, ხმაური“; **ხერმენ-ტურმუნ/ხერმენ-ტურმუნ** „მტვრევა-ლეწვა“, რომელთა რაოდენობა ამ ლექსიკონში დიდი მსჯელობის საშუალებას არ იძლევა, თუმცა ისინი ხშირად გვხვდება სხვა სიტყვებთან კავშირში.

აღნიშნული ლექსიკური ერთეულები ძირითადად აღნიშნავენ ხმას (შესაბამისად ამ ხმის გამომწვევი მოქმედების *დიურატიულობას, განგრძობითობას*), ეს ხმა კი ახლავს ამა თუ იმ სახის მოქმედებას (*ცემას, დარტყმას, მტვრევას, მსხვრევას, სროლას, სიარულს, ჭამას* და სხვ.) გარკვეული ხმის თანხლებით. მათი ქართული თარგმანები თითოთოროლა გამონაკლისის გარდა თითქმის ზედმიწევნით ასახავენ ორიგინალში ფიქსირებული სიტყვის სემანტიკას. საილუსტრაციო მასალის ნაწილი, როგორც ზემოთ ითქვა, ამოღებულია „სვანური ენის ქრესტომათიიდან“ და „სვანური პროზაული ტექსტებიდან“, ნაწილი კი ავტორთა მიერ არის ზეპირად მიწერილი.

სულ სხვა სურათი იხატება ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში (ჩოლურული კილო)“, სადაც ისეთი ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულებია შეტანილი, რომლებიც ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის მიერ შედგენილ აკადემიურ „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ არ ფიქსირდება.

ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ წარმოდგენილი ფონოსემანტიკური მასალა შესაძლებლობას იძლევა გამოვეყნო ყველა ის სემანტიკური ჯგუფი, რაც ყველა ქართველურ ენისათვის არის დამახასიათებელი:

1. **საკუთრივ ხმაბაძვითი ლექსიკა** (ანუ სხვადასხვა სახის ხმიანობის გამოხატვა), რომელიც თავის მხრივ შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფად დაიყოს:

ა) ხმები, რომლებიც მოქმედების თანმხლებ ხმას გამოხატავენ: **ბერბენ** „ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი“; **თხურპუნ** „თუხთუხი; სრუტუნი“; **ტკერცენ** „ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწკლისა...), ტკაცატკუცი“; **შერგენ** (ჩოლ.) „შლიგინით სიარული“...

ბ) მეტყველებასთან მიახლოებული ხმის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: **ბერბენ** „ენაბრველი მამაკაცის ლაპარაკი“; **კერკენ** „კისკისი“; **ჟღერმენ** „ჟღავილი“; **წერწენ** „წრიპინი ბარტყებისა“...

გ) წყლის ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა: **დგურბუნ** „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“; **კურკუნ** (ჩოლ.) „წანწკარი (წყლისა)“; **წყერგენ** (ბქ., ჩოლ.) „წანწკარი“; **ჭტიფ-ჭტიფ** (ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)“...

აქ შეიძლება გამოვყოთ ოპოზიცია *სულიერი* (ადამიანის, ცხოველისა და ფრინველის ბგერადობა) და *უსულო* (არაცოცხალი საგნის ბგერადობა).

სულიერ არსებათა ხმიანობა: **სგრტენ** „ქალის მჭექარე ხმა“; **შერგენ** (ჩოლ.) „შლიგინით სიარული“; **ხურხუნ** (ჩოლ.) „ადამიანის სუნთქვა“; **ჭერქენ** „ჭიხვინი“; **ლიზული** „ზმული (ძროხისა)“; **ლიპყელი** „კაკანი, ბღავილი (თხისა)“; **ლიყრთი/ე** (ჩოლ.) „კრიახი (დედალი, კრუხი ქათმისა)“; **წერწენ** „წრიპინი ბარტყებისა“; **ჭყურტუნ** „ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწერისა)“; **ლიკარკაცე** „კაკანი (ფრინველთა)“...

უსულო საგანთა ხმიანობა: **ლიყურჭლაჭი** „ბუყბუყი (მუცლისა)“; **შერშენ|შერშაჭ** (ჩოლ.) „შრიალი (ფოთლების, ქაღალდის...)“; **ბერბენ** „ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი“; **ყერყენ** „ტკაცანი (ძვლისა)“; **ძგურბუნ** „გლეჯის ხმა, (თოკის) გაწყვეტის ხმა“...

2) სინათლისა და ცეცხლის ნათება-მოდრაობის აღმნიშვნელი ლექსიკა: **ლიკტრე** „კრიალი, ბრჭყვიალი, კაშკაში; ნაირფერად ელვარება, ბზინვარება“; **ლილაჭღაჭი** (ჩოლ.) „ნაღვერდლისფრად ციმციმი“...

3) **დინამიკურობის - მოძრაობისა და მოქმედების - ამსახველი ლექსიკა:** ბერგენ „ბანცალი“; ლიბერბგენე „კანკალი, ცახცახი“; ლირსენე „კანკალი, ცახცახი“; ლიტორნტე „ტორტმანი“; ფგრლენ „კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)“; ჯგლჯგენ „ძუნძული, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)“...

აღნიშნულ ველში შემოდის მოძრაობის ყველა სახე, რომელიც სივრცეში გადაადგილებას აღნიშნავს, მათშორის ადგილზე მოძრაობის ამსახველი ლექსიკაც (მაგ.: ლიტორნტე „ტორტმანი“...).

მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩოლოურული მეტყველება ფონოსემანტიკურ ფუძეთა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა; გვაქვს როგორც *სვლისა და სიარულის*, ისე *ფრენისა და ცურვის* აღმნიშვნელი ლექსიკაც.

სვლისა და სიარულის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები:

იკგკანალ (ჩოლ.) „პატარა და გამხდარი გამართულად დაიარება“ (იგულისხმება პატარა ასაკის, გამხდარი გოგოს სიარული); **იბრნჰყაალ** „პატარა გოგო დაიარება“; **იბრნტყალ** „პატარა გოგო დაიარება“; **იბრგტანალ** „თავზედურად დაიარება გოგო“; **იპგრტანიელ** „დაბანცალებს სიმთვრალის გამო“; **იპგყანალ** „პატარა, ყოყლოჩინა კაცი ფართე-ფართედ დაიარება; ორსული პატარა ქალი დაიარება“; **იყებთხანალ** „დიდი ტანის კაცი ცუდად ჩაცმული დაიარება“; **ისჟენტალ** „აქეთ-იქით დაიარება“; **იტილკინალ** „მსუქანი გოგო დახტუნაობს, დაიარება ფეხშიშველი“; **იტრინკოლალ** „დიდი მოზრდილი ურცხვი ქალიშვილი ფეხშიშველა დაიარება“; **იტგრტანაელ** „ბარბაცობს“; **იფილჟალ** „ხნიერი კაცი უაზროდ, უმიზნოდ დაიარება“; **იფიმფოლალ** „დიდი და მაღალი სინათლეზე ჩრდილის ცემით დაიარება“; **იფრნფალ** „მოხუცი ძლივს დაიარება“; **იფრინქიელ** „გულგაღედილი დაიარება“; **იფრნცალ** „გამხდარი, ნავადმყოფარი ძლივს დაიარება ფანცალით“; **იფგრქანალ** „პატარა ბავშვი დაიარება, პატარა კაცი მცირე ფეხებზე დაიარება“...

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თითოეული ლექსიკური ერთეულის დეტალურ განმარტებას იძლევა, ბევრი მათგანის ქართული განმარტება სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელია. აღნიშნული ლექსემების თითო სიტყვით გამოტანა ქართულში თითქმის შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელი ხდება მათი აღწერითად თარგმნა.

4) **ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას:**

დღილ-დღალ (ჩოლ.) „ბრტყელი რაიმეს მირტყმა-მორტყმა“; **თქერშენ** „ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი“; **რიხ-რახ** „ხმელი ჯოხის მირტყმა-მორტყმის ხმა“; **ტყუთფ-ტყუაფ** „ყბებზე მირტყმა-მორტყმის ხმა“; **ბერბენ** „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“; **პიჭ-პიჭ** „უაზროდ, დაუფიქრებლად, ზერელედ ლაპარაკი“;¹ **ყერკენ** „გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი“; **კგრკენ** „კისკისი“ და ა. შ. აღნიშნული ჯგუფი მოიცავს მოძრაობის ყველა იმ სახეს, რომელსაც ახლავს ხმა/ხმაური.

ამავე ლექსიკონში დადასტურდა **ბილ-ი-ბულ-უ**-ს ტიპის რედუპლიცირებული ფუძეები (**ბირ-ი-ბურ-უ** „კრეტინის ლაპარაკი“; **კირ-ი-კურ-უ** „უაზრო, ჩქარი, გაუთავებელი ლაპარაკი“; **პირ-ი-პურ-უ** „უაზრო, ჩქარი, გაუთავებელი ლაპარაკი“; **პიწ-ი-პუწ-უ** „განებივრებული გოგოს ხმაშეცვლილი, წვრილი, მეტიჩრული ხმით ლაპარაკი“; **ყირ-ი-ყურ-უ** „კრეტინის ლაპარაკი“ და ა. შ.), რომლებიც, ძირითადად, მეტყველებასთან მიახლოებული ხმის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებია, თუმცა ზოგი მათგანი (**ფიჩ-ი-ფურ-უ/ფიჩ-ი-ფურ-ი**, **ციც-ი-ფუც-უ/ციც-ი-ფუც-ი**) ერთდროულად გამოხატავს რაიმე მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას.

¹ ავტორს რატომღაც აღნიშნული ლექსემა განმარტებული აქვს ზმნის პირიანი ფორმით, რაც არასწორია. **პიჭ-პიჭ** C V C - C V C ტიპის რედუპლიცირებული ფორმაა, რომელშიც უცვლელი ხმოვანი (ი ~ ი) რიტმულ გამეორებას გადმოსცემს.

ბ. ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ დადასტურდა რამდენიმე ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეული, მაგ.: **ლიჭერჭენი**, რომელიც განმარტებულია ქართულად როგორც „ჭაჭი-ჭუჭი“, ნაცვლად ქართული „ჭრიჭინისა“, **ლიჩხფგენე** - „წანწკარი“, ნაცვლად ქართული „წყლის ძლიერი ჩუხჩუხისა“, **სიჭილ** - „წივილი“, ნაცვლად ქართული „სივილისა“, **ლიწგწკალი|ლიყურყუნი** ლექსემის ქართულ თარგმანში წერია „წანწკარი“, რომელიც სვანური **ლიწგწკალი**-ს ეკვივალენტად გამოდგება, მაგრამ **ლიყურყუნი** ფორმასთან რატომ არის მითითებული, გაუგებარია. ასევე **ლიბლჭული** ლექსემის ქართულ თარგმანში წერია „ბრდღვინვა“, ნაცვლად „ბღული“ ფორმისა და ა. შ., თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ლექსიკონი, რომელიც დათარიღებული აღმოჩნდა 1888 წლით, ბუნებრივია, ზოგიერთი უზუსტობის მიუხედავად, საკმაოდ საინტერესო ბევრ ისეთ ბევრწერით ლექსიკურ ერთეულს (ზოგჯერ ფონეტიკურ ვარიანტს) წარმოგვიდგენს, რაც სვანური ენის არც ერთ სხვა ლექსიკონში არ დასტურდება (მაგ.: **ლიკკენე** „კაკუნი“, **ლირკენე** „რაკუნი“, **ბრაგუბრიგუ** „ბრაგა-ბრუგი“, **ლიტგრტილაჭი** „ტარტარი“, **ლიპუნჭკლაჭი** „ტიტინი“, **ლიბგრთხგნალი** „ფანცქალი“, **ლიპუნტრუკუჭა** „ფუნდრუკი“, **თქჭიფ-თქჭით** „ქაფქაფი“, **ლიხგრიელ** „ქომინი“, **ღგრი-ალ** „ღრიალი“, **კამდ** „ყეფა“, **ლიღურჰუნი** „ღრუტუნი“, **კუჩი-კუჩი** „ჩუხჩუხი“, **ლიჯგლგგენე** „ძუნძული“, **ლირწკნალი** „წკრიალება“, **რიწკ** „წკრიალი“ და ა. შ.).

კ. დონდუას სამეცნიერო თარგმნით ლექსიკონში „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი)“, რომელშიც ავტორის მიერ მოპოვებული მასალის გვერდით თითქმის ამომწურავად არის დაფიქსირებული არსენა ონიანის მიერ ჯერ კიდევ 1917 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებული ლაშხური ტექსტების მასალა (**ლოშნუ ამბუარ ლგლშხუ შუმი ნინიშუ**), ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები ნაკლებად არის წარმოდგენილი და თარგმნის თვალსაზრისითაც რაიმე უზუსტობა არ შეგვიძინეია. ნიმუშისა-

ლება გამოიყოს *მოქმედების რაგვარობა, გზისობა, ინტენსივობა, ტემპი, სიჩქარე* და ა. შ. ცემის მნიშვნელობით სვანურში რამდენიმე (სინონიმი) ლექსიკური ერთეული დასტურდება (**ტკიზ, დრიზ, სიტ, ბიჩხ, გლიჯ, რისტ...**) და ქართულად გადმოტანის დროს, ძირითადად, ცნება „ცემით“ გადმოაქვთ, სინამდვილეში თითოეულ ამ ლექსიკურ ერთეულს სემანტიკური ნიუანსირება ახასიათებს.

ლექსიკონის განმარტებით: **ლიტკჩი** განიმარტება როგორც „ჯოხით ცემა“, სინამდვილეში კი ხელით ძლიერ გარტყმასაც ნიშნავს, და საერთოდ ნებისმიერი ბლაგვი საგნით ცემას; **ლისხტჰი** ლექსემაც ცემის აღმნიშვნელია და ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად „დარტყმა, გაჭირება (წნელისა)“, დაკავშირებულია ისეთ მოქმედებასთან, რომელიც ხმას გამოსცემს; **ლიჩრეთი**-ც „ცემას, დარტყმას“ ნიშნავს, მაგრამ სხვა მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, „დაცემის, დავარდნისა“ ხმის თანხლებით.

ვფიქრობთ, ზოგი სვანური ლექსიკური ერთეული ქართულ ენაზე გადმოტანისას ზუსტად ვერ ასახავს ორიგინალში ფიქსირებული ამა თუ იმ სიტყვის სემანტიკას და საჭიროებს მეტ განზოგადებას, თუმცა სვანური ენის ლექსიკონებში თარგმნის თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, ბევრი უზუსტობა არ დაგვიფიქსირებია. გამონაკლისია ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო)“, რომელიც მართალია სხვა ლექსიკონებისაგან ფონოსემანტიკურ ერთეულთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ესა თუ ის ლექსემა სწორედ სუბიექტის *ვიზიონომიას, აღნაგობას, გამოხედვას* სწორად აღწერს, მაგრამ ბევრი რამ მაინც დასაზუსტებელია (იხ. ზემოთ!).

კ. დონდუას სამეცნიერ თარგმნით ლექსიკონში „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი)“, რომელშიც ავტორის მიერ მოპოვებული მასალის გვერდით თითქმის ამომწურავად არის დაფიქსირებული არსენა ონიანის ჯერ კიდევ 1917 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებული ლაშხური ტექსტების მასალა (**ლოშნუ ამბტარ ლგლაშხუ შუმი ნინშუ**), ფონოსემანტიკური ლექ-

სიკური ერთეულები ნაკლებად არის წარმოდგენილი და თარგმნის თვალსაზრისითაც რაიმე უზუსტობა არ შეგვიძინევი.

თუმცა ზოგიერთ მათგანთან, კერძოდ, ცემის/დარტყმის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებთან (მაგ., **ლიჩრეთი** „ცემა, დარტყმა“, **ლიტკი** „ცემა ჯობით“...) შეიძლება უფრო დაკონკრეტება, რადგანაც მნიშვნელობის სემეზად დაშლისას შეიძლება გამოიყოს მოქმედების რაგვარობა, გზისობა, ინტენსივობა, ტემპი, სიჩქარე და ა. შ. ცემის მნიშვნელობით სვანურში რამდენიმე (სინონიმი) ლექსიკური ერთეული დასტურდება (**ტკიჩ, დრიზ, სიტ, ბიჩხ, გლიჯ, რისტ...**) და ქართულად გადმოტანის დროს ძირითადად ცნება „ცემით“ გადმოაქვთ, სინამდვილეში თითოეულ ამ ლექსიკურ ერთეულს სემანტიკური ნიუანსირება ახასიათებს.

ვფიქრობთ, ზოგი ლექსიკური ერთეული ქართულ ენაზე გადმოტანისას ზუსტად ვერ ასახავს ორიგინალში ფიქსირებული ამა თუ იმ სიტყვის სემანტიკას და საჭიროებს მეტ განზოგადებას, თუმცა სვანური ენის ლექსიკონებში თარგმნის თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, ბევრი უზუსტობა არ დაგვიფიქსირებია. გამონაკლისია ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილი)“, რომელიც მართალია სხვა ლექსიკონებისაგან ფონოსემანტიკურ ერთეულთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ესა თუ ის ლექსემა სწორედ სუბიექტის ფიზიონომიას, აღნაგობას, გამოხედვას სწორად აღწერს, მაგრამ ბევრი რამ მაინც დასაზუსტებელია.

ლიტერატურა:

ა) სამეცნიერო ლიტერატურა:

ქობალავა 1979 - ი. ქობალავა, მეგრული სიტყვაწარმოებიდან. - იკე, XXI, თბილისი.

ბ) ლექსიკონები:

დონდუა 2001 - კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონი, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994 - ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 2007 - ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

გ) წყაროები:

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 - სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 - სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 - სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 - სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

სვან. ენის ქრესტ. 1978 - სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Medea Saghliani
Onomatopoeic Vocabulary
in Svan Dictionaries and Folkloric Material

Summary

The paper deals with the frequency of the phonosemantic lexical units presented in Svan dictionaries and folkloric material and their Georgian definitions.

As the research shows Svan folkloric texts – “Chrestomathy of Svan” and four-volume “Svan Prose Texts” that are diverse in genre and at the same time quite large in size do not stand out with the frequency of the onomatopoeic vocabulary. The said texts are not accompanied by Georgian translation. Therefore, we cannot discuss the specifics of translation either.

As for the dictionaries, we have a promiscuous picture in terms of the frequency of the onomatopoeic vocabulary as well as of translation. In “Svan Dictionary” by V. Topuria and M. Kaldani consisting of 900 pages (16 000 lexical units) that is the biggest one in size among Svan dictionaries and is mainly based on the data of “Chrestomathy of Svan” and “Svan Prose Texts” the lack of the said lexical units is quite obvious.

The situation is the same in “Svan-Georgian-Russian Dictionary” by K. Dondua and “Georgian-Svan-Russian Dictionary” by B. Nizharadze. “Svan-Georgian Dictionary” compiled by A. Liparteliani according to Cholur speech gives a comparatively complete description of the phonosemantic material but even this dictionary does not completely include the material to be analyzed.

ნანა სულავა

**სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმთა
სტრუქტურული ანალიზისათვის
(მარტივშეიარაღი ტოპონიმები)**

სტრუქტურული თვალსაზრისით, სენაკის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. უაფიქსო, მარტივი სახელები; 2. აფიქსებით (პრეფიქსით, სუფიქსით, პრეფიქს-სუფიქსით) და 3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები (კომპოზიტები).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია დადგენილი და აღიარებული, ყველაზე ძველ ფენას გეოგრაფიულ სახელებში მარტივფუძიანი სახელები ქმნიან. მარტივფუძიანი ტოპონიმები, თავის მხრივ, სამ ჯგუფად შეიძლება გაერთიანდეს, კერძოდ: ტოპონიმის ფუძეში შეიძლება წარმოდგენილია **არსებითი სახელი**, **ზედსართავი სახელი** ან **მიმღეობა**. სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმთა სტრუქტურულ ანალიზს სწორედ ამ კუთხით წარმოვადგენთ.

პაატა ცხადაია ტოპონიმთა წარმოშობის ორ ძირითად გზაზე მიუთითებს: **საზოგადო სახელის** გადაქცევა საკუთარ სახელად და **საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა** წარმოება. მკვლევარი იმოწმებს აკაკი შანიძის თვალსაზრისს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „ყოველგვარი წარმოების საკუთარი სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად“ (ცხადაია 1985: 22; შანიძე I.1953: 139-140). მკვლევარი სპეციფიკური (საგანგებოდ ტოპონიმთა საწარმოებლად დანიშნული) ფორმანტების, ანუ ტოპოფორმანტების საშუალებით ტოპონიმთა წარმოებას მიაკუთვნებს **ტოპონიმიკურ აფიქსაციას**, ხოლო საზოგადო სახელთა გადასვლას საკუთარ სახელთა კლასში - **ტოპონიმიკურ კონვერსიას**. ორივე ერთად, მკვლევრის აზრით, ტოპონიმიკურ სიტყვაწარმოებას გვაძლევს (ცხადაია 1985: 22-23).

ტოპონიმიკური კონვერსია.

ამ ტერმინს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში **ტოპონიმიზაციის** მნიშვნელობითაც იყენებენ. პაატა ცხადაიას თქმით, ტოპო-

ნიმიკური კონვერსია გულისხმობს საზოგადო სახელის გადასვლას ტოპონიმის განრიგში, საგანგებო ტოპონიმიკური აფიქსაციის გარეშე (ცხადაია 1988: 111).

გამოიყოფა ტოპონიმიკური კონვერსიის სამი სახე: **სემანტიკური**, **მორფოლოგიური** და **სინტაქსური**. სემანტიკურ კონვერსიას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა საზოგადო სახელი უშუალოდ, აფიქსაციისა და სიტყვათშეერთების გარეშე, სტრუქტურის შეუცვლელად გადაიქცევა საკუთარ სახელად. სემანტიკური კონვერსიის გზით წარმოქმნილ ნებისმიერ გეოგრაფიულ სახელწოდებას, პაატა ცხადაიას აზრით, **პრიმარული ტოპონიმი**, ანუ პირველადი სახელი შეიძლება ეწოდოს (იქვე: 23-24). თქმულის საილუსტრაციოდ მკვლევარი იმოწმებს გეოგრაფიულ სახელებად დადასტურებულ **რობუ** „ხევი“, **სუკი** „სერი“, **ცხაცხუ** „ცაცხვი“ და სხვა მსგავს საზოგადო სახელებს. ამ უკანასკნელთა განვლილი გზა უფრო მოკლეა: საზოგადო სახელი → „ტოპონიმიზაცია“ (იქვე: 24). ამ შემთხვევაში გეოგრაფიული ობიექტის სახელი უშუალოდ აპელატივისაგან არის ნაწარმოები და ფორმით მისი იდენტურია (იქვე: 92).

აღნიშნულ საკითხს ეხება თავის საკანდიდატო დისერტაციაში ლუიზა გვენეტაძე. მისი აზრით, „ტბა, წყარო, ქედი, ციხე, ჭალა და ა. შ., საზოგადო სახელებია, რომლებიც გარკვეულ ობიექტებს აღნიშნავენ. ასეთ სახელებს... უჭირავთ საშუალო ადგილი საზოგადო სახელთა კლასსა და ტოპონიმთა კლასს შორის: ისინი არც საზოგადო სახელებია და არც ტოპონიმები... გამოსულნი არიან საზოგადო სახელთა კლასიდან, მაგრამ ჯერ არ არიან შესულნი საკუთარ სახელთა კლასში“ (გვენეტაძე 1983: 10-11; მსჯელობისათვის იხ. ცხადაია 1985: 26).

სენაკის მუნიციპალიტეტის **პრიმარული ტოპონიმები** შეიძლება დაჯგუფდეს **ორონიმული**, **ჰიდრონიმული** და **ლანდშაფტური** ტერმინების, აგრეთვე, ნიადაგის სახეობათა, სამეურნეო დანიშნულების ადგილთა, ცალკეულ ხელოვნურ თუ ბუნებრივ ობიექტთა და ხე-მცენარეთა აღმნიშვნელი საზოგადო სახელების სახით.

ა) **ორონიმული** (დედამიწის ზედაპირის რელიეფის თავისებურების დადებითი და უარყოფითი ფორმის ამსახველი) ტერმინებია: **ბეგი** „ბექი, შემალღებული ადგილი“, **გა** „სერი“, **გაგურუ** „დაბალი, ბრტყელი ბორცვი“, **გარამი** „მღვიმე; ჯურღმული“, **გვირაბი**, **გითოკირილი** „ამოკირული“, **გითოტახილი** „გამოტეხილი“, **გიშაშირილი** „გამოცვეთილი, ჩაცვეთილი“, **გიშახორხილი** „გამოხერხილი“, **გოსოფილი** „გარღვეული“, **გოხინტკირი** „ჩაჭრილი“, **გოხორხილი** „გახერხილი“, **დაბალი(ა)** „დაბალი“, **მაღალი(ა)** „მაღალი“, **ზუგა**, **ზუგუ** „მიწაზვინული; მცირე შემალღება, ბექობი“, **თხორილი** „თხრილი“, **კადარა**, **კადარი**, **კიდა** „კედელი, კლდე“, **კოდმე**, **კოდუმე** „კბოდე, მდინარის მაღალი ნაპირი“, **ლაკარდა** „მზისკენ მოქცეული ფერდობი“, **ლარე** „სწორი, ვაკე ადგილი, გაშლილი სათიბი“, **ჩელული** „თეთრი ლეღვი“, **ჩე ოდიარე** „თეთრი ბალახი“, **ჩხე წყარი** „ცხელი წყალი“, **ფაქვა**, **ფოქვა** „მღვიმე, კლდის ნაპრალი“, **ფოხვი**, **ფოხუ** „ოღროზოღრო, ხევებით დასერილი ფერდობი“...

ბ) ჰიდრონიმთა წარმოქმნაში აქტიურად მონაწილეობს **წყლის (წყლიანი) ობიექტის აღმნიშვნელი საზოგადო სიტყვები**: **წყარო**, **ტბა**, **მდინარე**, **ლენჭყი** და ა. შ. დადგენილია, რომ კოლხურ ჰიდრონიმთა ძირითადი ფონდი ადგილობრივი სიტყვებითაა წარმოქმნილი. წარმოდგენილია, აგრეთვე, საერთო-ქართველური წარმოშობის სიტყვები. ჰიდრონიმიში განსაკუთრებით ხშირია **წყარი**, **წყუ**, **ღალ** და **ტობა** ჰიდროტერმინები (ცხადაია საქ. ტოპ., II, 1999: 283, 302-304).

აქვე მოვიხმობთ ჰიდრონიმულ ტერმინოლოგიას, რაც ხშირად გამოიყენება სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმთა საწარმოებლად: **აბანა**, **აბანო**, „სამკურნალო წყალი“, **ზღვია** „მცირე ზღვა, ტბა“, **ზღურზღული** „უზწყელიანი ნაჟური“, **ინჭა** „ჭა“, **კოტო** „ქოთანნი; მორევი“, **ღალუ**, **ღარი**, **ღარია**, **ღარუ**, **ღელე**, **ღელო** „ღელე“, **ჩირე** „ღრმა ტლაპო, საფლობი“, **წყურგილე**, **წყურგულა**, **წყურგულე** „წყარო“, **მენჯი** „ვეძა“, **ოგვარგვალე** „ჩანჩქერი“, **ოკარკალე** „საკამკამო, სარაკრაკო; ადგილი, სადაც წყალი მირაკრაკებს“, **ოლეყყე** „ჭეჭყო-

ბი“, **ოზნარჩხალე** „საჩხრიალო; ჩანჩქერი“, **ოწყარე** „წყლიანი ადგილი“, **ოზარჩაია** „ჩხრიალა“, **ლეჭყი** „ლენჭყი“ ...

გ) ლანდშაფტური საზოგადო ტერმინები გვხვდება შემდეგ ტოპონიმებში: **ტები** „ტევრი, ხშირი ტყე“, **ტყელა** „ერთმანეთში გადახლართული ეკალ-ბარდი და ბუჩქები“, **თხინა** „თხილნარი“, **ჭყონა** „მუხნარი“ ...

სენაკის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ სახელწოდებებში **საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ობიექტთა საზოგადო სახელებად** დასტურდება: **დოხორე** „სასახლე“, **საჩეხი** „საქონლის სამწყვდევად შემოკავებული ადგილი; წისქვილის წყლის საგუბარი“, **კარე** „კარავი“, **გოჭკადილი** „გაჭედილი, შეჭედილი; ხიდი“, **გოლუაფირი** „გარშემოვლებული; თხრილით ან ღობით შემოვლებული ტყე ან სახნავი“, **გორგილი** „შემორგული“ ...

ტოპონიმებად დადასტურდა **ხე-მცენარეთა სახელები**: **ჭამურცხულა**, **ცხაცხუ** „ცაცხვი“, **ჩეჯა** „ალვის ხე“, **შქერი** „შქერი“, **ფრიალე** „ვერხვი“, **უჩა ყურძენი** „შავი ყურძენი“, **ურთხელა** „ურთხელი“, **პრობკაშ ჯა** „საცობის ხე“, **ოჯალეში**, **კერთოლი** (ვაზის ჯიშია), **ადესა** (ვაზის ჯიშა), **მეხკალი** „ნეკერჩხალი“, **ჩაკაბული** ...

დ) ოდენ ანთროპონიმი ფიგურირებს რამდენიმე ტოპონიმში: **არჩელი/არჩილი** (ღელე, ხევი სკურის მარჯვენა მხარეს, შუა ხორშში); **ატატი** (მინდორი ჩხარის მარჯვენა მხარეს, საადამიოში), **კაკაჩია** (სამოვარი ნაცხენესა და ეკუსქურს შუა, უფალკარში (კაკაჩია გვარსახელია); **კა(კ)უტია** (ღელე უჩაღალის მარცხენა შენაკადი, საზიაროა შუა ხორშთან და ციხეთთან), **კოკინა** (ჩაის ფართობი სოფელ სატყე-ბუჩავოში); **ნანასქუა//ცანასქუა** (ჭა-წყარო გოკირილიშ ღალუს მარცხენა მხარეს, სოფელ საადამიოში. ცანასქუა გვარია).

საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ზემოთ დასახელებულ ტოპონიმს მოეპოვება იმავე სახელ-გვარებისაგან აფიქსაციით თუ სიტყვაშეერთებით წარმოქმნილი ვარიანტი, მაგალითად, **კა(კ)უტია//კა(კ)უტიაღალე**, **ნანასქუა//ცანასქუა//ნანეისქუაშ წყარი**. რამდენადაც პრიმარულ ტოპონიმად ცოცხალი არსების (ამ შემთხვევაში ადამიან-

ნის) სახელი არაბუნებრივია, ფიქრობენ, რომ აღნიშნული პრიმარული ტოპონიმები მიღებულია ნაწარმოები თუ კომპოზიტიური ფორმების გამარტივების შედეგად (მსჯელობისათვის იხ. ცხადაია 1985: 29). მაშასადამე, გეოგრაფული ობიექტების სახელწოდებებად თავდაპირველად უნდა გვქონოდა **კა(კ)უტიაღალგ** და **ნანისქუაშ წყარი**. წარმოდგენილი ტოპონიმების მეორე კომპონენტის (**ღალგ**, **წყარი**) გაქრობის შემდეგ კი მივიღეთ **კა(კ)უტია** და **ნანასქუა//ცანასქუა**.

ლიტერატურა:

გვენეტაძე 1983 - გვენეტაძე ლ., ოკრიბის ტოპონიმოგია. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი.

შანიძე 1953 - შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. თბილისი.

ცხადაია 1985 - პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი). თბილისი.

ცხადაია 1988 - პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი.

ცხადაია „საქ. ტოპ“, II, 1999 - ცხადაია პ., ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმია. კრებული „საქართველოს ტოპონიმია“. ტ. II, თბილისი.

ცხადაია „საქ. ტოპ“, II, 1999 - ცხადაია პ., კოლხურ ჰიდრონიმთა ლექსიკისა და სტრუქტურის საკითხები (ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმიის მიხედვით). „საქართველოს ტოპონიმია“. ტ. II, თბილისი.

Nana Sulava
Structural Analysis of Toponyms in Senaki

Summary

In terms of structure, the geographical names can be divided into three groups in Senaki. The ancient layer consists of the simple base toponyms. We can divide the simple base toponyms into three groups as well. They may include a noun, an adjective or a participle. The paper gives the structural analysis of the said toponyms.

ნათია ფონიაშა

ტოპონიმ მზულუს ეტიმოლოგიური ანალიზი

სოფელი **მზულუ** მდებარეობს ისტორიულ ლაზეთში (თურქეთის რესპუბლიკაში), კერძოდ, რიზის პროვინციის ვიწის (ფინდიკლის) რაიონში. სოფელი ვიწის ცენტრიდან 10 კმ-ითაა დაშორებული. აქ ლაზებთან ერთად ცხოვრობენ ხემშინები - მუსლიმანი სომხები, თუმცა არ იციან დედაენა, განსხვავებული აქცენტით საუბრობენ თურქულად და, თუ ადგილობრივ ლაზებს დავუჯერებთ, ესმით ლაზური. რაც შეეხება ლაზურ მოსახლეობას, უფროსმა და საშუალო თაობამ იცის ლაზური, თუმცა ძირითადად, ოჯახშიც კი, თურქულად ლაპარაკობენ, ამიტომ მოზარდი თაობა ვერ ახერხებს ლაზურად მეტყველებას.

სოფელ მზულუს ადრე **ზულუ** რქმევია (მ გვიან ჩანს გაჩენილი თავკიდურ პოზიციაში) და იყოფოდა ორად: ზედა და ქვედა ზულუდ. მოგვიანებით ქვედა ზულუს **მზულუ სუჭლა** (ძვ. თურქ. süfla „ქვედა“) დაერქვა, ხოლო ზედა ზულუს - **მზულუ ულდა** (თურქ. ulja

„ზედა“). სვაჯოხომი ზედა ზულუს აღმნიშვნელად დასტურდება **აუქარე ზულუ** (თურქ. yukarə „ზედა“), ხოლო ქვედა ზულუსი - **აშადე ზულუ** (თურქ. aşaya „ქვედა“) (ალექსივა, ბუჯაკლიში 2009: 168-169). შემდეგ ზედა და ქვედა მზულუ ცალ-ცალკე სოფლებად გაყოფილა და ზედა მზულუს **ღამნა** (yajna) დარქმევია. როცა თურქეთში დაიწყო ტოპონიმთა გათურქულება, **მზულუ სუჭლას** დაერქვა **სულაქი** (თურქ. Sulak), ხოლო **ღამნას** - **იჰლამურლუ** (თურქ. əhlamurlu „ცაცხვიანი“). მართალია, ოფიციალურად ამ ტოპონიმებს თურქული სახელები ჰქვია, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა ძველ სახელწოდებებს იყენებს.

ტოპონიმი **მზულუ** აღნიშნულია ს. ნიშანიანის რუკაზე, სადაც ავტორი სვამს კითხვას, ხომ არ ნიშნავს ეს ტოპონიმი „ზღვიანს“?

(იხ. <http://nisanyanmap.com/?y=sulak&t=&lv=1&u=1&ua=0>).

დამატებითი მსჯელობა და ანალიზი მკვლევარს არ აქვს მოცემული.

ჩვენც ვფიქრობთ, რომ ტოპონიმი **მზულუ** მართლაც უკავშირდება ზღვის აღმნიშვნელ ლაზურ ლექსემას. ლაზურის კილოკავებში ზღვა გვხვდება **მზოლა** / **მზულა** / **ზოლა** / **ზულა** ფორმებით. ვიწეში, სადაც ეს ტოპონიმი დასტურდება, ამჟამად სწორედ **მზულა** ფორმა გამოიყენება.

ქართული ზღვა სიტყვის ლაზური ეკვივალენტი (**ზოლა**) მარი ბროსემ დაძებნა (ბროსე 1844: 15), ხოლო სათანადო სვანური ფუძე (**მულჭა** < **ზულჭა**) ო. უორდროპმა გამოავლინა (უორდროპი 1911: 623). აღნიშნული ლექსემა სვანურში ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევა (ჩიქობავა 2008: 192), მასში მომხდარი **ზ** > **ძ** პროცესი ახსნილია აფრიკატიზაციით (ვენრიხი, სარჯველაძე 1990: 136). მეგრულში ამ მნიშვნელობით ხმარებული **ზღვა** ლექსემა ემთხვევა სალიტერატურო ქართულის ფორმას და ისიც ნასესხობად განიხილება.

მ. ჩუხუას აზრით, ადგილისა და მდინარის სახელი **ზორღათი** უნდა შეიცავდეს ქართული ზღვა (ლაზ. **ზოლა**) ფორმის საკუთრივ მეგრულ შესატყვისს. ჰიდრონომის სახით **ზორღათი**-ი დასტურდება

ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში (განარჯიამ მუხური) (ჩუხუა 2013: 75).

ანაკლიაში, განმუხურის მეზობლად, მეგრელებთან ერთად ცხოვრობენ ლაზები. ამან გვაფიქრებინა, რომ შეიძლება ტოპონიმი **ზორღათ**-ი სწორედ ლაზურის გავლენით იყოს დამკვიდრებული და საკუთრივ მეგრულის კუთვნილებას არ წარმოადგენდეს, მით უფრო, რომ განმუხურის ნაწილი ადრე ანაკლიას ეკუთვნოდა (ფონიავა 2013: 196).

ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ქართული ზღვა ფუძის ზანურ-ი შესატყვისი უნდა იყოს შემონახული ტოპონიმ **ჟულუ**-ში (ეტიმოლოგიურად მდინარის პირას მდებარე ვრცელი, უხვმოსავლიანი ადგილი, რომელიც ხშირად იტბორება), კერძოდ, ზანურში უნდა გვქონოდა ***ჟოღა**, შემდეგ ფუძისეული **ჟ**-ს გასისინებით (რაც დამახასიათებელია მეგრულ-ლაზურისათვის) ლაზურში მივიღეთ **ზოღა** და მისი ვარიანტები (**ზულა**, **მზოღა**, **მზულა**), მეგრულში კი დამკვიდრდა ქართული ლექსემა **ზღვა** (ფონიავა 2013: 196-197).

ტოპონიმი **ჟულუ** ჩხოროწყუს რ-ნის სოფელ ჭოდის ერთ-ერთი უბანია. აღსანიშნავია, რომ მზულუს მსგავსად ისიც იყოფა ორად: **ჟინი ჟულუ** „ზემო ჟულუ“ და **თუდოლენი ჟულუ** „ქვემოთა ჟულუ“.

ქართველურ ტოპონიმიაში ზღვის აღმნიშვნელი ფუძეების გამოყენება უცხო არ უნდა ყოფილიყო, შდრ. **ზღვაია**, **ზულანა**, **ნოზულენი**. რაც შეეხება საანალიზო ტოპონიმს, სოფელი **მზულუ** მთავორიანია და იქიდან ხელისგულივით მოჩანს ზღვა, თითქოს ზღვის გაყოლებაზე მდებარეობდეს. ტოპონიმის სახელდებისას გადაამწყვეტი ეს გარემოება უნდა ყოფილიყო - ზღვის პირას მდებარე ვრცელი ადგილი. ტოპონიმი რომ წყალთან არის დაკავშირებული ამას მისი ამჟამინდელი თურქული სახელიც გვიჩვენებს. ტოპონიმების გადათურქულების დროს ესა თუ ის სახელწოდება პირდაპირ ითარგმნებოდა ან ადგილს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით არქმევდნენ სახელს. მზულუს ამჟამინდელი თურქული სახელი (**სულაქი**) ნიშნავს **წყლიან ადგილს**. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელში

ჩამოდის ამავე სახელწოდების მდინარე **მზულუ რუბა**, შდრ. ლაზ. რუბა „ხევი, მდინარე“.

როგორც ჩანს, **მზულუ**-სა და **ჟულუ**-ში ბოლოკიდური **-უ** უნდა გამოიყოს, შდრ. **კურზუ**. ამ ტოპონიმებში ის ერთი და იმავე ფუნქციისა ჩანს. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს **-უ** იმავე ოდენობას წარმოადგენს, რასაც ქართული **-უ** სუფიქსი? იგი ქართულში დაერთვის ზმნურ და სახელად ძირებს და აწარმოებს ახალ სახელს: დრეკს - დრკ-უ, ღარ-ი - ღრ-უ... არაპროდუქტიულია (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 385). მოყვანილ მაგალითებში ეს სუფიქსი რაღაცის მქონებლობას უნდა გამოხატავდეს: დრკუ - მრუდი, უსწორო, ე.ი. სიმრუდის მქონე, ღრუ - ცარიელი, ე.ი. ღარის მქონე. მქონებლობის გადმომცემი სუფიქსის გეოგრაფიულ სახელებში გამოყენება მოულოდნელი არ არის, შდრ. -ა სუფიქსი, რომელიც რაღაც თვისების ქონას გამოხატავს და გამოყენებულია ტოპონიმებშიც: **ლურჯა** - ლურჯი ფერის მქონე რაღაც და ტოპონიმები ქვაბ-ა, აკვან-ა. შესაძლებელია **-უ** სუფიქსს საანალიზო ტოპონიმებში მსგავსი ფუნქცია ჰქონდა.

ლიტერატურა:

ალექსივა, ბუჯაკლიში 2009 - I. Aleksiva, I. Bužakliši, Svažoxo (Laz yer adları sözlüğü), Istanbul.

ბოუდა 1950 - K. Bouda, Beiträge zur etymologischen Erforschung des Georgischen: Lingua, V. II, 3, Naarlem.

ბროსე 1844 - M. Brosset, Lettre a M. Bopp sur son Rapport relatif aux recherches philologiques de M. le docteur Rosen: Bulletin de la classe historico-philologique de l'Acad. Imp. des sciences de St.-Petersburg, T. II, # 9, St.-Petersburg.

დიდი თურქული ლექსიკონი - Büyük Türkçe sözlük http://www.tdk.gov.tr/index.php?option=com_bts&view=bts.

თანდილავა 2013 - ა.თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

ნიშანიანი - S. Nishanyan, Index-Anatolycus, Türkiye yerleşim birimleri envanteri <http://nisanyanmap.com/?y=sulak&t=&lv=1&u=1&a=0>.

ოსიძე 1998 - ე. ოსიძე, აფხაზური აძე „წყალი“ ფუძის წარმომავლობისათვის, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, ეძღვნება აკად. არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავს, თბილისი.

უზუნჰასანოღლი, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007 - H. Uzunhasanoğlu, I. Buğaklışi, I. Aleksiva, Büyük Lazca Sözlük (Didi Lazuri Nenapuna), Lazca-Türkçe / Türkçe-Lazca, Istanbul.

უორდროპი 1911 - O. Wardrop, English-Svanetian Vocabulary: Journal of the Royal Asiatic Society, 1911, July, Paris.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფენრიხი 2007 - H. Fähnrich, Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden-Boston.

ფონიავა 2013 - ნ. ფონიავა, ზოგიერთი ქართველური ტოპონიმის ეტიმოლოგიური ანალიზისათვის, ონომასტიკური კრებული, ახალციხე.

ქეგლ 1955 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბილისი.

ქობალია 2010 - ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ცხადაია 2008 - პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV, ჩხოროწყუს რაიონი, თბილისი.

ცხადაია 2007 - პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბილისი.

ჩიქობავა 2008 - არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, შრომები, IV ტ., თბილისი.

ჩუხუა 2013 - მ. ჩუხუა, ლაზური ზოლა „ზღვა“ ფუძის მეგრული ეკვივალენტისავის, არნ. ჩიქობავას საკითხავები XXIV, თბილისი.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 - ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

Natia Poniava

Etymological Analysis of the Toponym *mzughu*

Summary

The village of **mzughu** is located in the historical Lazeti, Vitse (Pindikli) district. It is marked on the map by S. Nishaniani where the author asks a question if this toponym denotes a place with the sea. We also think that the toponym **mzughu** is really linked to the Laz lexeme denoting the sea that can be found with the form **mzughu** in Vitse. The village is mountainous and one can see the sea perfectly. We think that this factor was crucial while designating the toponym – a vast area near the sea.

The final **u-** of the toponym **mzughu** has a similar function as in ჟულუ (in our opinion **jughu** is associated with the Zan base ***jogha** denoting the sea; a vast, fertile place near the river which is often flooded) and **kurzu**.

We suppose that **-u** in the name **mzughu** functions as the Georgian suffix **-u**, cf.: **dreks** – **drk-u**, **ghari** – **ghr-u...**, where this suffix may express possessing something. Using a suffix that expresses possessing something in the geographical names is not unexpected, cf.: the suffix **-a** in the word **lurj-a** (something that is blue) and the toponyms **jkhvab-a**, **akvan-a**. We think that in the said toponyms the suffix **-u** has a similar function.

წინეული ჟღერები

ქვეყნის მართვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკის ისტორიისათვის

ლექსიკური ომონიმები აგებულებით ერთნაირი, მაგრამ განსხვავებული წარმომავლობისა და მნიშვნელობის ორი ან მეტი ლექსემაა, ამიტომ მათი შესწავლა როგორც ზოგადენობრივი, ისე წმინდა ისტორიული თვალსაზრისით ენათმეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური საკითხია. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ ენაში პოლისემიის მოვლენასაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე ენასა და ისტორიულ მეცნიერებასა შორის მიჯნის დასადგენად თანამედროვე და ისტორიულ მეცნიერებაში სხვადასხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს გამოყენებული. ამიტომაცაა, რომ ლექსიკონებში ერთი და იგივე სიტყვა ხან პოლისემიურადაა მიჩნეული ხან ომონიმად. ომონიმისაგან განსხვავებით პოლისემიაში იგულისხმება შესაძლებლობა – ერთი სიტყვის (ისტორიულად და ფონეტიკურად იგივეობრივი ოდენობის) მეშვეობით მიეთითოს რამდენსამე განსხვავებულ ობიექტზე (ფოჩხუა, 1974, 37). თუ სად თავდება სიტყვის პოლისემიურობა და სად იწყება ომონიმია მკვლევართა მიერ სადავო საკითხადაა მიჩნეული. მათ განსასხვავებლად სხვა საშუალებებთან ერთად, როგორცაა მაგ., ომონიმური სიტყვებისათვის შესაბამისი სინონიმური წყვილების დაძებნა და სხვა სიტყვებთან დერივაციული კავშირების დაძებნა თუ სხვა ენებში მათ შესაბამის ერთეულებთან შეპირისპირება, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია ომონიმური ცალებისა და პოლისემიურ სიტყვათა მნიშვნელობების ისტორიისა და წარმომავლობის გარკვევა. „რამდენადაც უფრო ზუსტად და სრულადაა შესწავლილი იქნება სიტყვის ისტორია, მით უფრო სანდოა სიტყვის ეტიმოლოგია. რამდენადაც უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევს სიტყვის ისტორიას ეტიმოლოგია, მით უფრო შორდება ის მეცნიერებას“ (ჩიქობავა, 1997, 183). ზოგი ომონიმი ქართული ენის განვითარების ყველა პერიოდს მოიცავს,

ზოგი მათგანი კი მხოლოდ გარკვეულ ხანაში გვხვდება და მათი შეწავლა აღწერთი ლექსიკოლოგიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

ჩვენ ამჯერად წარმოვადგენთ ძირითადად ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, თბ., 1973, დადასტურებული ზოგი ომონიმის, როგორც დიაქრონიული ლექსიკოგრაფიის ობიექტის, ისტორიას. ესენია: ავლი, არაკი, არე, ასპიდი, ასპიტი, ბარსაბონი, ბუნი, ბჟე.

ავლი:

I. საბა განმარტავს ავლი ფერფლი; დ. ჩუბინაშვილის მიხედვით – ფერფლი, ნაცარი; ნაგავი.

შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი (შუშ. XIV, 3). იგიცა ავლი იქმნა (მ. ცხ. 440r). კონტექსტის მიხედვით ავლი შეიძლება შეგვხდეს მშრალის, გამომშრალის მნიშვნელობითაც. დაიწუა წყალიცა და ავლი იქმნა ადგილი (ფლავ. 8:13, 5).

საშუალო ქართულის სამწერლო ქართულში ეს სიტყვა ძირითადად გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება.

შეუქმნია გული ავლად (ვეფხ. 932, 3). დიდება ყოვლი სოფლისა განქარდეს, ვითარცა ავლი (არჩ. 419, 1115, 1). ეფარვოდა მას მნათობსა ლაწვთა სხიენი თვალთა ავლად (ნ. ციც. 695, 1590, 2).

ქველში ვკითხულობთ ავლი ფერფლი. დაგიმიწდეს წამწამთ ხედვა, ავლად გექცეს ავი სული! (ი. გრიშ.). ფიგურ. ნინოს მხევალო და დიდო დედავ, გოლგოთას ავლად დაფენიო („ლიტ. საქ.“).

ავლი „ფერფლის“ მნიშვნელობით შემონახულია თუშურში.

ავლ^ა ხის ფერფლი, ნავლი. ფიჭვის შემამ მეტაჲ ავლი-დ დაკვლი ცის (თუშ. ცოც.).

ვეფრობთ ეგევე სიტყვა გამოიყოფა კომპოზიტში *ავლიხურული* ჭრელი წინდები ერთგვარი. ჭრელი წინდები იყო ხომე, დაატანენ ქსოვნაში სხვადასხვა სახეებსა და *ავლიხურული* ერქო. როგორც ფარდაგში დაატანდნენ წითელსა, ყვითელსა, წინდასაც ისე ქსომ-

დნენ ხომე (იგ.). იჰ, რამდენი *ავლიხურული* წინდა გამიცვეთნია ახალგაზრდობაშია! (იგ., ქართლ. მესხ.).

ეჭვი ჩნდება **ავლი** წარმომავლობით ხომ არ უკავშირდება სომხურის ნაგავი \\\ ნაგევი სიტყვის აღმნიშვნელ ავლუგ \\\ ავლინქ \\\ ავლანქ-ს? (საბა, უცხო შესატყვისობანი). შდრ. ავლინი სანაგვე – დ. ჩუბ.

II. ავლი ნესტუ, სალამური: ვითარცა *ავლი*, ოხრიდეს გული ჩემი კაცთა ზედა *px.*, - ვითარცა ნესტუ, ოხრიდეს გული ჩემი კაცთა ზედა (O, იერემ. 48, 36). უბრძანა მას მცვალებელსა *ავლისასა* უმკვრცხესობით მეავლეობაჲ (ამონ. 14, 240).

ზემოაღნიშნული მნიშვნელობით საბასთან ორი ფორმა დასტურდება ავილი, ავლი. მის ლექსიკონში ისინი ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი. დ. ჩუბინაშვილთან კი მხოლოდ ავილი დასტურდება და საბასგან განსხვავებით მის ლექსიკონში „ფერფლის“ აღმნიშვნელი ავლი უკვე ომონიმი აღარაა.

როგორც „სიტყვის კონაში“, ქეგლშიც, ორივე ფორმა როგორც **ავლი** ისე **ავილი** დაფიქსირებული. მითითებულია მისი ბერძნული წარმომავლობა **აულოს** ფლეიტა. საბას დამოწმებით ძირითად ერთეულად ავილი ფორმაა ჩათვლილი. \\\ სიმებიანი საკრავის მნიშვნელობით უხმარიათ. კვენესდა სიმი *ავილისა* (ი. გრიშ.). სიმს მიზრაფი მიატეხა, ააწყვიტა *ავილს* სიმი (ი. გრიშ.).

თანამედროვე სამწერლო ენაში იშვიათად დასტურდება ასევე ავლოსიც: -*ავლოსების* ოსტატებსა და ავლეტისტებზე რაღას იტყვი, მათ მაინც თუ აზოგინებ ამ ჩვენს სახელმწიფოში? განა *ავლოსი* ყველაზე მრავალხმიანი საკრავი არ არის? ასე რომ, ყველა კილოს ნაზავი მხოლოდ მისი ხმიანობის მიბაძვად გვევლინება (თარგმნ. ბაჩ. ბრეგვ.).

ამბარი:

I.ამბარი (არაბ. ანბარ) სულნელია ერთგვარი. წარმოიღეს ხარკი... მუშკი-ლიტრა ათასი, ამბარი – ეგზომვე (ქ. ცხ. 172, 9) – აბულ.

შუა საუკუნეების სამწერლო ძეგლებში ამბარი შემდეგ შემთხვევებში გვხვდება.

და უდისა, სანდლისა, *ამბრისა*, ლადანისა და ღალია მუშკისათვის ხშირად ასუნებინეთ (იად. 247, 17). ამას უსუნებ *ამბარით* (ვახტ. VI, 33, 96, 2). უკმევდეს მუშკს და *ამბარს* (რუსუდ. 89, ქვ. 1). მისგან მოდის სურნელება, *მუშკ-ამბრისა* მას უდისა, შეყრა მიღირს ყოვლს ქვეყანად მას უცხოთა, მას უდისა (თეიმ. 319, ქვ. 6). აქა არს ყუავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა, და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი, ვითარცა *ამბარი* (ქ. ცხ. IV, 314, 19). კაცს ვისმე სახლი-სამყოფი, ზღუდე უყვარდეს *ამბარით*, იგ ტყვიას როდის იქონებს, ამას უსუნებ *ამბარით*. ვზარდო ფერადი ყვავილნი, მოვილოთ მთით და *ამბარით*, მას ვინ გაუშვებს, გამკილვენ: „ამან მისთანა *ამბარით*“ (ვახტ. VI, 96, 1). ღალი, მუშკი, *ამბარი* ეფანტა სურნელებია (შჰნ. I, 295, 4).

საბას მიხედვით ამბარი სუნ(ნ)ელია, ზღვისაგან გამოიღებენ, რომელ(ნ)იმე ფუტკართ(ა) ფიტს(ა) იტყვიან, სხვანი თევზთა შავასა, სხვანი სხვასა.

ქეგლში ვკითხულობთ, ამბარი სურნელოვანი ნივთიერებაა (შდრ. მუშკ-ამბარი).

ზღვის ზვირთნი ამბრისა და მუშკის სურნელებას ფენდნენ (გ. ყიფშ. თარგმ). || ირონ. მყრალი რამ, ცუდსუნიანი რამ. დიდი საქმე იყო პატრონამდის ისე მიგელწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი *ამბრის* სურნელება თან არ აგეყოლიათ (ილია).

დასტურდება მისგან ნაწარმოები სიტყვებიც: **ამბრეანი** სურნელოვანი. არ სურნელით სულ უკლებსა, მცირედ რამე *ამბრეანსა* (ვახტ. VI, 34, 97, 4). **ამბარისებრო** ამბრის მსგავსო, სურნელოვანო. „შენ, ქალო, *ამბარისებრო*“ (უმიკ. II, 31).

ღ. ჩუბინაშვილი მიუთითებს მხოლოდ ამბრი //ამბარ (არაბ.) ფორმის შესახებ. ამასთან ძირითად ლექსიკურ ერთეულად ამბრი მიაჩნია.

შდრ. ანბარი ამბარი; ამბრი (მცენ.) (მეგრ. ქობ.).

II. **ამბარი** საჭმელი, საჭამადი. *ამბარსა* განუყოფდეს კელმწიფეთა (იბ. რომ.- კურთხ. ისაკ და იაკ. 114, 2).

შესაძლებელია, „სურნელისა“ და „საჭმელის“ მნიშვნელობის ომონიმური წყვილი ამბარი წარმომავლობით დავუკავშიროთ ბერძნულ Ambrosia-ს. მაგრამ მათი შემოსვლის დრო და წყარო სხვადასხვა იყოს. ამ სიტყვებთანაა დაკავშირებული ასევე „სურნელოვანი ნივთიერების“ აღმნიშვნელი **ამბრი**-ც, რომელიც ბ. გიგინეიშვილის აზრით შემოსულია არაბულის გზით. შდრ. არაბ. ‘anbar „ამბრი“ (გიგინეიშვილი, 2016, 15).

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს, ქეგლში დასტურდება ომონიმის **ამბროზია**, ერთ-ერთი ცალი, ასეა განმარტებული: ამბროზია [ბერძ. Ambrosia] ძველ ბერძნულ მითოლოგიაში – ღმერთების საჭმელი, რომელიც უკვდავებას და მარადიულ ახალგაზრდობას ანიჭებს. || გემრიელი, ნუგბარი საჭმელი. *ამბროზია*, ღმერთების საჭმელი და პირის გემო! (ს. კლდ.). *ამბროზიასაც...* ერთად ვჭამდით (ვ. კანდელი).

საშუალო ქართულის სამწერლო ძეგლების მიხედვით გავოვლინდება „ბელის“ მნიშვნელობის ახალი ომონიმური ცალი: **ამბარი** (სპარს.) საფქვილე ზანდუკი ან სახლი პურის შესანახავი, ბედელი – დ. ჩუბ.

III. **ამბარი**: (არაბ. სპარს.) ხოლო ვინცა აღმოჩნდეს წარმხდენელ მიბარებულთა ლართა, *ამბართა...* ერთისათვის ორად ზღვევითა და პატივისა მოკლებითა გარდახდეს (ბატ. დავ. 36, 6). **სახელმწიფო ამბარი**: მცირისა საქმისათვის არა მოიყვანებიან ტანჯვად თავადნი ... ხუცესნი და დიაკონნი, თვინიერ მეფის ორგულებისა და მამულისა., ეკლესიისა გატეხისა, *საჯელმწიფოსა ამბრისა* და საჭურელოთა სახლთა (ბატ. დავ. 147, ქვ. 3).

ქეგლში ამბარი გვხვდება შემდეგი მნიშვნელობებით: 1.ამბარი ბედელი. ქურდმა დაჩხრიკა სულმთლად სახლ-კარი, ხულა, მარანი, ქერი, *ამბარი* (რ. ერისთ.). 2. ყუთის მსგავსი დიდი (რამდენიმე ათეული ფუთის) ტევადობის სათავსი-ხორბლეულის ან ფქვილის შესა-

ნახად (ქართლ-კახეთში). მარცვლეულის ამბარი-ფქვილის ამბარი. ორი გამოცეხობა რომ კიდევ იყოს *ამბარში*, მეტი აღარ იქნება (ა. ერ.-ხოშტ.).

ამბარი დიალექტებში მნიშვნელობის მეტ-ნაკლები გადაწევით იხმარება.

ამბარი ფიცრის დიდი ყუთი, ზანდუკის მაგვარი, ზოგჯერ კედელზეც მიაშენებენ ხოლმე, ხმარობენ მარცვლეულის, ხილისა და მისთ. შესანახად (იმერ. გაჩ.). ბელლის გარდა *ამბრებიც* აქვთ. ამბარი ფიცრის ყუთია ოთხფეხზე ასხმული.... *ამბარი* აბანოზისაა მიღებული, ცაცხვისაც იციან (ქიზ. მრეწ. I, 73,1). **ამბარი** ხარო, ბეღელი, საწყობი, ფქვილის შესანახავი ადგილი. ქიბილის ჩასაყარი *ამბარი* ბილა არ გუაქ (ხ. ფ., ჩვენ. ფუტკ.). მივიდა და *ამბარში* ჩაჯდა (ჯავახ. მარტირ., მაისურ.).

წინეთ აქაც ვიცოდით *ამბარი* პურისთვინ (მესხ. ფეიქრ.). ამბარი წისქვილში მარცვლეულის ჩასაყრელი ნაწილი. ჩონ *ამბარ* უძახით კიდო წისქვილის ნაწილს, სადაც რო მარცვალი ჰყრია და ჩამოდის დასაქვავათ (მესხ. ფეიქრ.). უნდა შევნიშნოთ, რომ მესხურში დადასტურებული ამ მნიშვნელობების მქონე ამბარ-ფუძიანი სიტყვები ომონიმურ ცალეზად აქვს ლექსიკოგრაფს გააზრებული და ისინი ლექსიკონში ცალ-ცალკე აქვს წარმოდგენილი, ჩვენ კი პოლისემიურ ფუძეზად მიგვაჩნია.

ამბარი წისქვილში დადგმული სამინდე ჭურჭელი, გატიხრული სამად ხორბლისათვის, ქერისა და სიმინდისათვის (ქართლ. ძიძიგ. ანგარიში).

3. კაკიტაძის აზრით დასტურდება ამბარის შემდეგი მნიშვნელობები 1. შენობა ხორბლეულის ან ფქვილის შესანახი || ბეღელი. 2. საფქვილე ზანდუკი (საბა, ჩუბ.). 3. წისქვილში დადგმული სამინდე ჭურჭელი (მ. ძიძიგ.). 4. საჭმელი, საჭამადი (ი. აბულ.). მნიშვნელობათა ცვლა სახეზეა. მისი დანიშნულება ნათელია – იგი არის შენობა ან ჭურჭელი, საკუჭნაოს, საწყობის ფუნქციით. საყურადღებოა მისი მნიშვნელობა, როგორც საჭმლის ადმინისტრაციისა. ცხადია, რომ იგი

სწორედ საჰმლის (ხორბლის, ფქვილის) შესანახი ჭურჭელია და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელობის გადაწევა არ არის გამორიცხული.

თანამედროვე ქართულში მისი გამოყენების არე შეზღუდულია, საქმე ის არის, რომ ბელის, ამბარის ადგილი დაიკავა ელევატორმა [ლათ. ელევო-დან მალლა ვწევ] [ხორბლის შესანახი დიდი შენობა, ბელელი, რომელსაც აქვს სპეციალური მექანიკური მოწყობილობა მარცვლის გასანიავებლად, გასახმობად, დასახარისხებლად და სხვ.]. მას დარჩა მხოლოდ საშუალო ზომის საფქვილე ყუთის აღნიშვნის ფუნქცია. ე. ი. სახელთა ერთი კლასიდან (სამეურნეო შენობები) იგი სხვა (სამეურნეო სათავსოთი) კლასში გადავიდა (კაკიტაძე, 2005, 69).

არაკი:

I.არაკი რაღაც საშენი მასალა: ვითარცა-იგი ნაშენები... ქვითა თლილითა და არაკითა განგებით აღშენებულ არნ (მ. სწ. 160, 4).

არაკი ზემომითითებული მნიშვნელობით მომდევნო საუკუნეების ძეგლებში ჩვენ ვერ დავადასტურეთ. სიტყვა წარმომავლობით იგივე უნდა იყოს, რაც მინერალ კაოლინის აღმნიშვნელი სპარსული არიკილ.

II.არაკი ცერცვი: პოვა არაკი მცირე ნედლი გზასა ზედა (მ. ცხ. 108r). საბა განმარტავს:

არაკი (ბალ.) ნედლი ცერცვი.

არაკი წარმომავლობით იმავე მნიშვნელობის თურქ. არაკა „ბარდის, მუხუდოს სახეობის“ აღმნიშვნელ სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს.

თუ ომონიმ არაკს ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ აღმოჩნდება, რომ ძველი ქართულისაგან განსხვავებით, მას საშუალო ქართულში ემატება მესამე ომონიმური ცალიც, მაგრამ აღწერითი თვალსაზრისით ამ ეპოქებში დადასტურებული არაკ-სიტყვის ცალების რაოდენობა ერთნაირია. საბასათან ომონიმური წყვილია I.არაკი (ბალ.) ნედლი ცერცვი. II.არაკი სომხურად იგავს ჰქვიან.

III. არაკი სომხურად იგავს ჰქვიან (საბა). **არაკი...** ანეგლოტი (თ. ბაგრატი.).

არაკი „იგავი, საზნეო ამბავი, მაგალითის მაჩვენებელი მოთხრობა“ შუასაუკუნეების სამწერლო ძეგლებში ფართო გამოყენების სიტყვაა.

არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია (ვეფხ. 854, 1). სიყვარულისა **არაკი** ზღვისა მსგავსი, მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს (ვისრ. 270, 17). ერთი **არაკი** მასმია ბრძენთა ნათქუამი შორიო (შჰნ. I, 1546, 1). (ლომისა ბოკურ)... ესდენ დიდი და საზარელი შეიქმნა, რომელ არცა ველური, არცა შინაური გაზრდილი არცა-ვის უნახავს მისი **არაკი** (ქ. ცხ. II, 62, 2).

აქ ცხადად ითქმის... მაზედან ქართლის **არაკი**, მტერთაგან გაბასრულისა (დ. გურამ. 88, 184, 3).

ახალ ქართულში კი ქეგლის მიხედვით **არაკი** პოლისემიური, მაგრამ ცალფა ლექსიკური ერთეულია 1. ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავი, ზღაპარი. წუხელის აღარ დაგვამინა, გვიამბო ზღაპრები, **არაკები** (ვაჟა). ერთი პატარა წიგნი მომიტანა... „**არაკი**“ კი ჰქვია, მაგრამ, რაც შიგა სწერია, სრულებით მართალია (ნ. ლომ.). გადაგიშლი წიგნსა პატარას, მეც მოგიჯდები გვერდსაო; გასწავლი წერა-კითხვასა, **არაკებს** გეტყვი ბევრსაო (ხალხ.). 2. გადატ. ტყუილი, მოგონილი ამბავი. შენ ყური უგდე ჩემს ლაპარაკსა, მე მართალს გეტყვი, არ თუ **არაკსა** (დ. გურამ.). ისევ იმათ გადაუგდეთ, ვისაც კვებდით **არაკებით** (ი. ევდ.). || თქვა რუქამ **არაკი** საუბ. დაცინ. დიდი რამ „სიბრძნე“ კი თქვა [გამოთქმა წარმომდგარია საბას „სიბრძნე სიცრუისა“-ში რუქას მიერ მოთხრობილი **არაკების** მიხედვით].

არაკი არეკი-ს სახით გვხვდება მთიულურსა და ფშაურში (შან.). თუშურში კი - **არეკაყის** სახით (თუშ. ცოც.).

სვანურში - არაკ ამბავია, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს ყველასთვის (სვან. ლიპარტი.).

ბ. გიგინეიშვილი იზიარებს მოსაზრებას მისი სომხური წარმოშობის შესახებ (გიგინეიშვილი, 2016, 20).

თანამედროვე ქართულში კი არაკის უკვე მეოთხე ომონიმური ცალიც იჩენს თავს.

IV. **არაკი**, არაკა [არ.] არაყი; ძლიერი სპირტიანი სასმელი, რომელიც სამხრ. აზიაში ბრინჯისაგან ან ქოქოსის და ფინიკის პალმის წვეწვასგან მზადდება; ევროპაში-სპირტისაგან და ხელოვნური ესენციებისაგან – (უცხ. თეზ.). ტკბილი პუნშიც, რომელმაც პოპულარობით თავის ინგლისელ თანამომემს გაუსწრო, სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი ინგრედიენტებით შეიქმნა. მისი მთავარი შემედგენელი კუნძულ იავადან ჩამოტანილი *არაკი* იყო („მარანი“. *არაკი...მგაგარი* სპირტიანი სასმელი. 50% ალკოჰოლიანი. სამშობლო ქ. ჯაკარტა (ჟავა) (Aura. ge).

არე:

I. არე ყანა, ველი, ადგილი. ვიქსნეთ დღეს *არენი* და ვენაჭნი და ზეთისხილოვანნი (O, ნეემია, 5, 11). შეწვს *არშ* (ფიზ. 4, 9). დაშთომილი მისგან განვიდის მით *არით* (გრ. ნოს. კაც. აგებ. 170, 8).

აღნიშნული მნიშვნელობით **არე** გავრცელებულია შუა საუკუნეების სამწერლო ძეგლებშიც. მას თურე *არესა* არა იყო (ამირან. 523, 5). სხვათ მზღვართა *არე* იარა (ვეფხ. 178, 2). ღამით შიშველ მთას მოვადექ შუა დაღისტნის *არესა* (დ. გურამ.). ბნელი მოჰფინა ტფილისის *არეს* (ჰარეს) (ნ. ბარათ.). მივიდა მალვით იგი ყმა საჭვრეტლად მზისა *არესა* (ნ. ციც. 490, 467, 1). *არენი* და თემნი საქართველოსანი (ქ. ცხ. II, 508, 12). მისსა მსგავსა სავარდეს, ბადისა გავლო რომ *არე* (შვ. მთ. 502, 2). მოვედით პრესნას არეთა (დ. სააკ. 48, 11).

დიალექტებში არე ნიშნავს :1. მხარე: ჩვენ *არესკენა* ფახირი არი, ათასში ხუთი გრამი (უ., შავშ.). 2. გლეხი-კაცის ეზო-ყურე. აი ჩემი *არეო* (ფარცხ., ქართლ. მენთ.).

არე გამოიყოფა ფუძეგაორკეცებული კომპოზიტში: **არე-არე** „აქა-იქ“. მოვიდნენ *არე-არე*, მოწუნეს ქუეყანანი (ქ. ცხ. IV, 146, 12). არე-არე ზმნს. აქეთ-იქით, უგზო-უკვლოდ. იმას სოფიოზე მოსდიოდა ჯავრი, რომ იმის წყალობით შვილები ასე არე-არე უნდა ერბენინებინა და თვითონაც გზიდან გადავარდნილიყო (შ. არაგვ.).

ხშირად დასტურდება ასევე კომპოზიტი არე-მარე რომელიც ასე დაიშლება არე - მ-არე (შანიძე, III, 1980,152).

არე-მარე: დია გვაქვს ციხე-ქალაქი ხატაეთს *არე-მარეთა* (ვეფხ. 199, 4). სდუმდა ყოველი მუნ *არე-მარე* (ნ. ბარათ.). მან მომაღხინა, ვისი მძლევს მე სუფთა *არე-მარენი* (თეიმ. 319, 6). **არე-მარე** კარმი-დამო, გარემო. ჩემ *არე-მარეზე* არ გაიაროს მაგამ!. *არე-მარე* სულ აუ-ქოთავებია (ჯავახ. ზედგ.).

ქველში სათანადო ილუსტრაციების მოხმობით დაფიქსირებულია როგორც **არე** ისე **არე-მარე** სიტყვები, ოღონდ გამოყოფილია **არე** სიტყვის ახალი მნიშვნელობებიც: 1. წიგნ. გარკვეული ადგილი, განსაზღვრული სივრცე, რომელზედაც ვრცელდება რისამე მოქმედება. მარჯვენა ფეხის ჭრილობის *არეში* ტკივილები დამეწყო (ა. ბელ.). 2. კიდე. [„ვეფხისტყაოსნის“] ფურცლების განიერ *არეს* ჩუქურთმები ამკობდნენ (ს. კლდ.). თითის სიგრძე გოგონა მოდის, როგორ კოპწია-ობს, როგორ მომხიბვლელად იფარებს სახეზე ჩალის ქუდის *არეს!* (რ. ინან.). სიტყვა წარმომავლობით იგივე უნდა იყოს, რაც ლათ. არეა ვაკე, ზედაპირი, ადგილ-მამული, სახმარი მიწა-წყალი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, იგი მათემატიკაში გამოიყენება, როგორც ტერმინი:

არე მათემატიკაში, ევკლიდეს სივრცის ღია ბმული ქვესიმრავლე. ე. ი. ისეთი ქვესიმრავლე, რომელიც ყოველ თავის წერტილთან ერთად შეიცავს ამ წერტილის მომცველ რაიმე სფერულ მიდამოს და ყოველი ორი წერტილის შეერთება შეიძლება ამ სიმრავლეში მდებარე უწყვეტი წირით (ქსე).

2. **არე** (ბერძ. ეარ) ზაფხული; გაზაფხული; დრო, სეზონი:

ახლოს არნ ზაფხული DE, – ახლოს არნ არწ (C მთ. 24, 32). ვითარცა ღრუბელი ცუარისად დღეთა *არისათა* (I ეს. 18, 4). არცა თუ ერთმან მერცხალმან მოიყვანის *არწ* (A – 92, 696).

არე გაზაფხული. დღეთა მათ *არისათა* ერთი იგი ბუნება მათი აჩუენეს, რომელ არს სიცხწ (ბ. კეს. 111, 28). შენ დაჰბადე ზაფხული

და არე (მც. სჯ. 124, 25). მეტის არის სიციხის ჭრტიალისაგან ფრინველთა ძვლიდამ ტვინის ნიჟი სდიოდა (ქილ. 267, 6).

არა აქუს მას ჟამსა ნაყოფი არესა მას ზამთრისასა (მრთ. F 134r).

არე გაზაფხულისა (ქ. ცხ. II, 302, 26). მოეწურა არე ზაფხულისა (ქ. ცხ. II, 303, 24). არესთულისა (ქ. ცხ. 104, 5).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად არე სიტყვისათვის ამოსავალია ს.-ქართვ. *არ- „არე; ჩრდილიანი ადგილი; აჩრდილი; მზის სხივი“ ქართ. არ-ილ-ი, არ-იელ-ი, არ-ე: ზან. ორ-ო, ორ-ა: სვან. ჰარ- < არ. მეცნიერი ვარაუდობს, რომ ქართული არე ფორმის სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი ორა (ჰან.) შეთვისებულია ლათინურ-იტალიკური ენების მიერ, შდრ. ორა „ჟამი“ ზან. ორა (ჩუხუა, 2000-2003).

ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებით კი, დიდია ცთუნება ქართული არე-ს შესატყვისად განვიხილოთ ჰან. ორა „დრო“, „ამინდი“. და ეს ფორმები ქართულ-ზანური ერთიანობის კანონზომიერ რეფლექსებად მივიჩნიოთ. შესაძლოა, ჰანური ორა ნასესხებია ბერძნულიდან (შდრ. ორა „დროის მონაკვეთი“, „წელიწადის დრო“, „გაზაფხული“), რაზეც მიუთითა ნ. მარმა (Mapp, 1910, 177). ბერძნული ორა ინდოევროპული ეტიმოლოგიის მქონე სიტყვაა და ჰანურიდან მის სესხებას ვერ ვივარაუდებთ. მეორე მხრივ, ძნელია ქართული არე-ს ახსნა, რომელსაც ზუსტად ის მნიშვნელობა აქვს, რაც ბერძნულ ფორმას და ჰანურს. ფონემურად არე ვერ გამოიყვანება ორა-საგან, ვერც იმას დავუშვებთ, რომ ეს სიტყვა ნასესხები ჰანურში, ქართულმა გადაიკეთა კანონზომიერ შესატყვისობათა დაცვით თავის ყალიბზე. ეს გამორიცხულია. ქართულ არე-სა და ჰანურ ორა-ს შორის ფონემურ-სემანტიკური კანონზომიერი დიფერენციაცია შემთხვევითი არაა (გიგინეიშვილი, 2016, 21).

ნ. ჩუბინაშვილი დროის აღმნიშვნელ სიტყვასთან აღადგენს *Eαρ, *Eαριც ფორმებს.

ჩვენი აზრით, დროის მნიშვნელობის არე სიტყვის ბერძნულ წარმომავლობის შესახებ მოსაზრებას მხარს გაუმაგრებს ძველსავე ქართულში დადასტურებული **ეარი** ფორმაც ამავე მნიშვნელობით. ხოლო მოიწია რა *ეარი*, წარავლინა მკედართმეყანებელი იოავოს (ფლავ. 7: 6, 3). ეარი > არე, თავის მხრივ კი ეარი ბერძნ. τῶν ἑαρίων.

არე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი: საბას მიხედვით - I. არე რომელსა ეწოდების ჰარე. ესე არს უქვემოესი ჰაერი ქვეყანისა მახლობელად, რომელსა თემთა ზედა სადამე ჰაერ-კეთილობასა და მამუნეობასა იტყვიან და სადამე ჰაერ-მძიმობასა და უმაშნობასა. II. ესე ოთხნი დრონი არიან წელიწადთანი: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი, რომელსა მსოფლიონი ჯგუფად სახელ-სდებენ.

დ. და ნ. ჩუბინაშვილები – არე ოთხი კუთხე ხმელეთისა, ან ოთხი დრო წელიწადისა,, საკუთრად გაზაფხული. სანახები, გარემონი ადგილები; თემი, მხარე. ქეგლშიც „მიდამოს“ აღმნიშვნელი არე ცალფადაა წარმოდგენილი.

აქვე შევეხებით საბასთან დადასტურებულ არეს. საბა ამ სიტყვასთან ერთად მიუთითებს ასევე ჰარე, ჰაერ-სიტყვებზეც.

აკ. შანიძე განმარტავს, რომ სიტყვას „ჰაერი“, ბერძნულია წარმოშობით და ჰ არ უნდა: აერი. შდრ. მერმინდელი ბერძნული გამოთქმით აირი (შანიძე, 1980, 30).

ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია დროისა და სივრცის აღმნიშვნელი არე < აერი წარმომავლობით მეორეული ომონიმები იყოს და ორივე ცალისათვის მათი ამოსავალი იყოს ბერძნული აერი.

შდრ. ჰაერ-ი [ბერძ. აἰρ] 1. ჟანგბადის, აზოტისა და სხვა უფერული გაზების ნარევი, რომელიც ქმნის დედამიწის ატმოსფეროს. შემომესმა *ჰაერის* კვეთა, შხუილი..., შავარდენი მივლიდა გარშემო (ვაჟა). დღის სიცხისაგან დაზანტებული ხალხი ღამის გრილმა *ჰაერმა* ისევ მოაცოცხლა (ე. ნინოშ.). 2. გარემო, სივრცე. ტყვია-წამლის სუნი *ჰაერში* ტრიალებს (ილია). ფიგურ. მაგრამ გავიდა დრო და ჟა-

მი, ჰაერი შეიცვალა, სამოციანი წლების გატაცებანი მიყუჩდნენ (ეკ. გაბ.).

ასპიდი:

ძველ ქართულში დასტურდება „გველის“ აღსანიშნავად ორი ფონეტიკური ვარიანტი ასპიდი //ასპიტი. ერთ-ერთი მათგანი ასპიდი ომონიმურ ცალს ჰქმნის ფარის აღმნიშვნელ ასპიდ სიტყვასთან ერთად.

I. ასპიდი (ბერძნ. aspis) გველი. და ყრმამან ჩჩვლმან ჭურელსა *ასპიდისასა* წელი დასდვას (ეს. 11, 8). – დან.

გამოცდენ ნაშობნი *ასპიდთანი* (ო, ეს. 14, 2).

და თქუა: *ასპიდსა* და იქედნესა ზედა ხვდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი (მ. ცხ. 62, 37) - აზლ.

ახალ ქართულში ასპიდი გადატანით ნიშნავს ბოროტს, ავს. სა-მაგელო, *ასპიდო...* შენ ჩაყლაპე ჩემი გული (ა. ყაზბ. IV, 405, 36).

II. ასპიდი ...*ასპიდი* რვალისაჲ შორის ბექთა მისთა (იმეფ. 17,6).

ნაწლევი მისნი – *ასპიდნი* რვალისანი (ო, იობ. 41, 6)

ქეგლში დადასტურებული ასპიდი ზემოდასახელებული ომონიმური ცალევისაგან განსხვავებული ლექსიკური ერთეულია, იგი ცალფაა, და უკვე ომონიმს აღარ წარმოადგენს.

ასპიდი [ბერძ. iaspis (იასპიდოს) იასპი, ეშმი] შავი ფიქალი, რომლისგანაც ამზადებენ გრიფელით საწერ პატარა დაფას (ფიცარს). ასპიდის დაფა. – *ასპიდის* ფიცრით, წიგნებით მიდიან სკოლის კარსაო (ი. დავით.). კეთილშობილი *ასპიდის* სახურავი შეეცვალათ უბადრუკ თუნუქზე (გ. ქიქ. თარგმ.). *ასპიდივით* ჩაშავებული ფანჯრის იქით არაფერი ჩანდა (ს. დემურხ.).

უპრიანი იქნება აქვე მივუთითოთ, რომ ილია აბულაძის მიერ ძველ ქართულში გამოვლენილო „გველის“ აღმნიშვნელი ორი ფონეტიკური ვარიანტიდან ასპიდი // ასპიტი მომდევნო საუკუნეებში ენამ უფრო გამოიყენა ასპიტი ფორმა და ის ომონიმს ქმნის ფიქალის აღმნიშვნელ ასპიტთან. შდრ. ასპიდი.

I. **ასპიტი** (ბერძნ.) გველი ფრიად გესლიანი ჯარბი (დ. ჩუბ.). ასპიტი გველი ფრიად სასტიკი (თ. ბაგრატი.).

კუერცხნი *ასპიტანი* განტეხნეს (I, ეს. 59, 5). მე უწყი, რამეთუ *ასპიტნიცა* ნელითა სიტყვთა დაიმწყსიან (სინ. მრ. 214, 14). რადსათვის ისმენთ ამას ყოველსა და დაიყოფთ სასმენელთა თქუენთა, ვითარცა *ასპიტნი* (მ. სწ. 269, 23). გულის წყრომაჲ მათი მსგავს არს გუელისა ვითარცა *ასპიტსა* და იქედნისა ყრუისა, რომლისანი დაყოფილ არიედ ყურნი მისნი (ფსალმ. 57, 5). მოსრნეს გუელნიცა იგი ნაშობნი *ასპიტანი* (აპოკრ. 4, 30). და იყო ადგილი იგი მესყუულად საესე საცთურებითა, გუელელებითა, *ასპიტელებითა* (მ. ცხ. 15, 15).

საშუალ ქართულშიც ძირითადად ასპიტი ვარიანტია გავრცელებული, მაგრამ ძირითადად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება.

მაშინ დამოყვრნენ ყოველნი მტერნი,... კაცი, *ასპიტნი*, გველნი, ცხვარნი, თხა და მგელი (დ. გურამ. 293, 543, 3). თუცა ამა ციხისა ზღუდე რკინისა იყოს – კედლისა თავნი – ასპიტის გველისანი (ვისრ. 376, ქვ. 1).

ვითა *ასპიტი* მჭვრეტელთა მისთა თვალითა მლაღავი (ვეფხ. 1231, 4). ძალ-გულად მწნეო, სვე-ბედით ქვეო, *ასპიტ-ცემულ-ჰყოფ* მტერთა, ახოვნად მყის მოამდოვრებ (შავთ. 57, 3). ენას აქვს გესლი ბოროტი, უმწარე *ასპიტისაგან* (არჩ. 468, ქვ. 5). იგ ზარიანობს ჩვენ-ზედა, ვითა *ასპიტი* გველია (შპნ. II, 4433, 2). იგი *ასპიტი* გველი გაუწყრა: რას იკითხავ, ვინც უნდა იყოსო! (რუსუდ. 549, 9). ამან კულა ბევრნი ბევრთა სახენი *ასპიტთა* და იქედნეთანი სძლივნა უძლეველმან მვედარმან (ქ. ცხ. II 8, 1)

გარმოდებულს ცეცხლს შუა ერთი *ასპიტი* გუელი დამწყვდეოდა (ქილ. 518, 11).

ახალ ქართულში: ასპიტი [ბერძ. ასპის (ასპიდოს)]¹. ერთგვარი შხამიანი გველი. იქ, სადაც იქედნე, *ასპიტი*... ბუდობენ, ...უბრალო გველ-ბაყაყს ვინდა მიაქცევს ყურადღებას? (აკაკი). შეურაცხყოფა... და კიდევ რაღაც მსუსხავი გრძნობა – ...*ასპიტით* შხამიანი – ერ-

თმანეთს გადახლართოდა (გ. ციც.). 2. გადატ. ავი, ბოროტი (ადამიანი). დაჩუმდი, შე ასპიტო! (ა. ცაგარ.). ასეთი ანჩხლი და ასპიტი ხდებოდა, როცა ამღვრეული თვალეზით მიეჭრებოდა ქვეყნიერებას (ნ. სამად.). ფიგურ. ზუოდა ქარი, ასპიტი ქარი (ო. ჩხ.).

ფშაური: იყო ქვა სიპი, იჯდა გველი ასპიტი (ფშ. ბოდ. 96).

დიალექტებში ასპიტი ძირითადად გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება.

ასპიტი ავი, არსზი, უმეტესად ზავშვზე ან ქალზე იტყვიან. ისრეთი ასპიტია, ეგ გასაწყობი, რო ცხენიდან კაც ჩამოიღებს (ჯავახ. ზედგ.). ასპიტი ავი, ცუდი ხასიათის ქალია (ჯავახ. ბერ.). ცოლი ყამდა ძრიან ასპიტი (ჯავახ. მარტ.).

II. ასპიტი [ძვ. ბერძ.) ასპიდის ფიქალი. ასპიტი დასტურდება ვაჟას ენაშიც. განმარტებულია, როგორც პიტალო, სალი, მიუკარებელი, – ასპიდი.

(კლდეს) სალსა, ასპიტსა, დიდრონსა ფერფლიც კი რა სცვიოდა (ვაჟა) – (ჭინჭ.).

ორივე ეს მნიშვნელობა (ფარისა და გველისა) აქვს იმ ბერძნულ სიტყვას *aspis, aspidos*, რომელიც წყაროა ქართულისა. ძნელად ასახსნელად თვლის გ. დეეტერსი **დ > ტ** გადასვლას სიტყვებში ასპიტი, პარაფსიტი, კალაპოტი (Deeteers, 1937,271) ასეთივე ვითარებაა სიტყვაში კრამიტი (<*კრამიდი). შესაძლოა ეს მოვლენა დისტანციური ასიმილაციით ახსნება (გიგინეიშვილი, 2016, 26).

ბარსაბონი:

I. **ბარსაბონი** რაღაც მოხელეა: აჰა ბარსაბონი სომხითისა... ..რომელ იყო მფლობელ ქუეყანისა ჩუენისა და აქუნდა ჳელმწიფებად დივანთა განგებასა ზედა (Sin –11, 44r).

II. ბარსაბონი ბალზამი *balsamum*. სხუად არს ასქინოდსა გომიზი და სხუად ბარსაბონისა (ბას. კეს.-ექუს. დდ. 74, 8). არაბ. *balasān* – „ბალზამის ხე“ (ანდრონიკაშვილი, II, 1996).

ძველსავე ქართულში ამავე ნიშვნელობით იხმარება 1.ვალანო: უბრძანა მიღებად იოსიპოვსა ძღუენთ *ვალანოვსა*, ნელსაცხებელსა-და სტახშსა და ტერევინთოსა და თაფლსა (ფლავ. 2: 6, 5).

2. **ვალსამო:** *ვალსამოვსანცა* ძირი გუაქუს მოცემული დედაკაცისაგან (ფლავ. 8: 6, 6).

საშუალ ქართულში დასტურდება ასევე ვალსამო: გვხვდება აწ-ლა იზრდების ნაძუი, რათგან ჩემი ხე *ვალსამოისა* წაიქცა (ვისრ. 161, 13-14).

3. **ბალასინი:** ვინ კისკასია, სურნელ-კასია, *ბალასნად* კმოლავ და ვით იანო! (შავთ. 51, 2).

ბალსამი: მთხოვა სათანადოდთა თავაზითა ორი ნივთი იერუსალიმსა შინა საშოვარი, ესე იგი *ბალსამი* იერუსალიმის (კალმ., 592, 23).

ქველში ზემოდასახელებული მნიშვნელობის მხოლოდ ბალზამ სიტყვაზეა მითითებული. ბალზამი [ბერძ.] სუბტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებული ზოგიერთი მცენარის სურნელოვანი წვენი (სხვადასხვა ეთერზეთების შემცველობით), რომელსაც იყენებენ მედიცინასა და პარფიუმერიაში. უებარი ბალზამი. – სქელი *ბალზამით* დავიმძიმე ხუჭუჭი თმები (მ. ლეზან.). ფიგურ. ტკბილი არის, როგორც *ბალზამი*, მომფონებელი ჰაერივით! (ი. მაჩაბ. თარგმ.).

იმერულში ბალზამი გვხვდება ბალაზინისა და ბაზალიონის სახით და ნიშნავს ბალზამის ზეთს. ბალაზინის ზეთი ბალზამის ზეთი: რას გეზოგება, შე კაცო, მაგ წყალი, *ბალაზინის ზეთი* ხო არა, დაასხი! (იმ. ქავთ. III). *ბალაზინის ზეთი* საკურნებელი ზეთი, ბალზამი. *ბალაზინის ზეთია*, ძან ეკონომიურათ რო იხმარება (ზედუბანი,ზ.-იმ. მოწ.). გადატ. *ბაზალიონის* სუნათ ყარს ძალიან მყრალი სუნის შესახებ ითქმის (ბაზალიონი-ბალზამი) (იმ., ქავთ. III).

ბედი:

I. ბედი ბედნიერობისა და უბედურებისა საშუალი სახელი. ბედი-ცხოველი ცხოველი ბედი ბედნიერება არის, ხოლო მკვდარი ბედი – უბედურება (თ. ბაგრატი.). ბედს საბა ვრცლად განმარტავს: ნუ

ვინ ჰგონებთ ბედისათვის, ვითარმედ არსებითი რამე იყოს, რომელსა უმეცარნი იტყვიან და მას მიაჩემებენ ნიჰსა ღმრთისასა. ბედი სახელი არს მეფეთა სიმაღლისა და გლახაკთა სიმკოდავისა და ეგევიტარნი. კვალად კაცი ვინმე ბოროტის ღირსი ღმერთმან შეიწყალოს და შეუცვალოს ბოროტი კეთილად, ესევიტართა სახელად ბედი ეწოდების.

ბედი განგება, სვე, წერა. განუმზადებდით *ბედსა* ტაბლასა და აღუვსით ეშმაკსა საწდე (ეს. 65, 11). *ბედმან* შენმან დაიცვა საპყრობილე (თომა მოც. 16, 21.).

ნებითა ღმრთისადათა და ბედითა მეფეთადათა (პეტრიწონ. 2, 13).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება საშუალ ქართულში. ვთქვი, თუ: მოვკვდე, *ბედი* ჩემი ამის მეტსა რასლა ღირსა! (ვეფხ. 357, 4). კრულმან ჩემი ლხინი განაქარვა (ნ. ციც. 707, 1654, 3). როსტომს ემწვა, გულს უთხრა: „უკულმა მექცა *ბედი*“ (შჰნ. II, 3901, 1).

ახალ ქართულში გაფართოებული მნიშვნელობით დასტურდება **ბედი**. 1. განგება, სვე, წერა. სოფელმან და ბედმან *ბედმა* დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი (ვაჟა). ერთი ვაჟიშვილი ჰყოლოდა თურმე და ისიც შემურებოდა იმისთვის *ბედსა* და წაერთმია საწყლისათვის (ილია). ყველა ხომ ერთი *ბედის* არ არის! (რ. ინან.).

2. მომავალი ხვედრი, იღბალი. სადაც იყოს *ბედი* შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი (ხალხ.). უნდა ბრძოლით დაიჩემოთ, რაც ჩვენ *ბედმა* აგვიკრძალა! (გ. ლეონ.). დიდი ხანია, რაც *ბედი* ქართლის გარდაიწყვიტა გულმან ირაკლის (ნ. ბარათ.)

3. კარგი ხვედრი, _ იღბალი, ბედნიერება. *ბედი* მომეც და სანებვეზე გადამაგდეო (ანდაზა). ცდა *ბედის* მონახევრეაო (ანდაზა). ჩემო თავო, *ბედი* არ გიწერია! ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია! (აკაკი). ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის *ბედით* და უბედობით დამედაგოს მტკიცე გული (ილია).

4. არსებული მდგომარეობა, ყოფა, პირობები. ერთ *ბედს* ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ, წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ! (ილია). გლეხკაცის *ბედი*, ჭირი და ლხინი, შვილსავით კალთით უტარებია

(ილია). 5. გადატ. საცოლე ან საქმრო, – საბედო. ქალი ზის და ბედს ელისო (ანდაზა). ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ დაეძებს (ილია). ნეტა ვინ არის, გაიგეთ, რომელი ბიჭის ბედია? (ზაჩ.).

ბედი და მისგან ნაწარმოები სიტყვები და ფრაზეოლოგიზმები ფართოდაა გავრცელებული სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, განსაკუთრებით კი ქორწინებასთან, შთამომავლობასთან დაკავშირებულ გამოთქმებში. რადგან „სამყაროს კონცეპტური სურათის აგებაში დიდი ადგილი უკავია ბედის კონცეპტს, რომელიც ცნობიერების უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა. ქართველის ენობრივ ცნობიერებაში ბედი არსებობს როგორც სავსებით რეალური – ადამიანი გრძნობს მის თვისებებს, მის გამოვლინებას, რასაც გამოხატულება აქვს ქართულ ენასა და დისკურსში“ (ომიაძე, 2009, 96-108; ამავე შრომაში დაწვრილებით არის განხილული ბედი და წარმომავლობით მასთან დაკავშირებული სიტყვები და ამიტომ აქ აღარ ვეხებით).

ა. შანიძეს შენიშნული აქვს, რომ ბედი ქართულში მრავლობითს ვერც მაშინ აწარმოებს, როდესაც ის ცალკეა ნახმარი, და ვერც მაშინ, როდესაც შერწყმულში შედის: სვე-ბედი; ასეთივეა აგრეთვე „ბედილბალი“ და სხვ. (შანიძე, III, 158). ასევე იერ-სუფიქსიან სახელების მომხილვისას ა. შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ აუხსნელი **ნ** ჩანს ბედ-ნ-იერ-ში (შანიძე, III, 124).

ბედი წარმომავლობით იგივე უნდა იყოს რაც არაბულსა და თურქულში ლამაზის, ჩინებულის, დიდებულის აღმნიშვნელი ბედი.

ბედი და მისგან ნაწარმოები სიტყვები დასტურდება მეგრულშიც (მეგრ. IV, ქაჯ.).

II. ბედ -ის მეორე ომონიმური ცალი დადასტურებული აქვს ზ. სარჯველაძეს.

ბედი ამაო, ფუჭი.. დაჰქსნა ვარსკულავთმრაცხველობა და განაქარვა ბედსა მეტყუელებად (ler-12, 63r3-4) – სარჯ.

„ცუდის, უხეიროს, ბედოვლათის“ მნიშვნელობით ბედი ჯავახურში დასტურდება.

შე ბედო, აქ რა გინდა, ცხვარი წავიდა, გაჩუმდი, შე ბედო, შენა-
ნა (ჯავახ. ბერ.). *ბედის* ერთია, ვერაფერში ვერ ვარგომს. მაგ *ბედს*
სად ნა უყურო, რო წამოვიდეს (ჯავახ. ზედგ.). აქედან **ბედიქალი**
„ცუდიქალი“. ბედი მეტსახელიცაა. შე ბედო, აქ რა გინდა, ცხვარი
წავიდა, გაჩუმდი, შე ბედო, შენანა (ჯავახ. ბერ.).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველსავე ქართულში ზემოაღნიშნუ-
ლი მნიშვნელობით დასტურდება იბედივი და ბედითი სიტყვები.

1. უქმად და მოცალედ იქცეოდის *იბედივთა* და ამათა საქმეთა
შინა (ექუს. დღ. 102, 28-28) – სარჯ.

2. ბედითი ცუდი, უქმი და უწესო (თ. ბაგრატი.). დ. ჩუბინაშვი-
ლი მის წარმომავლობასაც აღნიშნავს: ბედითი (სპარ.) ცუდი, უხამ-
სი, უგვანი.

ბედითი ლიტონი, უბრალო. ჩუენ ვართ ხელნი, რომელ ვზრა-
ხავთ *ბედითსა* [A=199 73r, 13-14a]. *ბედითთა* მიერ მოიძულებიანო
ესენი [A=52 126v, 25-26]

იხმარება ზმნისართის სახითაც. *ბედით* უბრალოდ, ამაოდ, ფუ-
ჭად. ესთენი განძი *ბედით* წაჯდეს (ი-ე. 43, 23).-აბ.

საშუალ ქართულში ძირითადად ბედითი დასტურდება.

ვამსგავსე მშვილდი *ბედითი* ყმაწვილთა მონადირეთა (ვეფხ.
16, 3). მისი სიმხიარულე ჭინოსაებრ *ბედითთა* (ვისრ. 75, 1). *ბედითი*
რამე და ეშმაური საქმე მგონია და *ბედითსა* ჭირს ჩავცუვივით და ბო-
ლოსა ჟამსა ჯელთა აღარა დაგურჩების რა-მეთქი (ამირანდ. 267, 2).
ეგ *ბედითი* და მაცდური რამ საქმეაო (რუსუდ. 206, 19). „ქართლის
ცხოვრებაში“ ბედითი განმარტებულია, როგორც „თავში დაკრუ-
ლი“. იყო ბრმა და *ბედითი* და ვერშემძლე საქმისა (ქ. ცხ. IV, 410, 10).

ქეგლში ბედითი კვალიფიცირებულია როგორც ძველი ლექსე-
მა. ბედითი ძვ. ბედუკულმართი, ავი ბედისა; ავის მომასწავებელი.
ჩემმა სიმღერამ *ბედითმა* ვერ მომცა სულის შვებანი! (ს. შანშ.). ვის არ
სმენია მისი (= ყორნის) *ბედითი* ჩხავილი (გ. ტაბ.). *ბედითი* ლაპლა-
პი გაჰქონდათ თორ-მუხარადებს (კ. გამს.). ბედითი ბნედა, სიკვდი-
ლი, რა მიჯნურობა გგონია? (რუსთაველი).

ბედიტად ბედზე (საუბედუროდ). შუალამისას საბძელს ცეცხლი მოჰკიდებოდა), ბედიტად არც ერთი კაცი! (ყელქც., ქართლ. სალარ. იკე).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: 1. ქართული ბედიტი ნაწარმოებია ქართული სუფიქსით სპარსული სიტყვიდან. ბედიტი < ახ. სპ. ბად „ცუდი, ავი, ბოროტი“. „ცუდად, ავად, უბედურება“ (ანდრონიკაშვილი, II, 1996).

2. ძველ ქართულშივე გვხვდება ბედ-ის დერივატები: ბედ-იან-ი, ბედიტ („ამოდ“). ბედნ-იერ-ი და უ-ბად-ო „ცუდი, „უბედური“, საცოდავი. უკანასკნელი ფორმა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში, შესაძლოა, დაცულია ძირის თავდაპირველი სახე **ბად. ბედ-ი** ფორმაში ბოლოკიდური -ი-ს გავლენით მომხდარა ა>ე. მეგრული ფორმა უბადო („ბოროტი“, „ცუდი“), ი. ყიფშიძის აზრით ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან *ბადი, რომელიც „ბედნიერს“ ნიშნავდა. მაგრამ დღეს გაძევებულია ქართული ბედი-ს მიერ (Кипшидзе, 1914,199). შდრ. აგრ. Schmidt, 1962, 96.

საინტერესოა მიმართება ძვ. სლ. беда-სთან (ბედისწერა), ლიტ. bėda-სთან (უბედურება); გუთ. baidjian-თან („იძულება“) = ე. ი *bheidh-? (გიგინეიშვილი, 2016, 46).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ფუჰის“ მნიშვნელობის ბედი მარტივი სახით (ახ. სპ. ბად „ცუდი, ავი, ბოროტი“) უნდა იყოს ნასესხები ქართულში, ხოლო შემდგომ უნდა მიგველო მისგან ნაწარმოები ბედიტი და იბედივი სიტყვები.

ბუნი:

I. ბუნი ნამდვილი, მკვდრი. წარვიდეს... *ბუნსა* თვსსა სამკვდრებელსა საზეპუროსა სოფელსა (სჰვ. 83, 11) – აბულ.

მოისოს კაცი იგი ერისაგან ძეთა ისრაჴლისათა გარეშე მოსრულთა მათ მწირთა და შვილთა *ბუნთა* (დაბ. 12, 19 ლექც.) – დაწ.

ჩვენი აზრით ზემოდასახელებული ბუნი-დან უნდა მიგველო იმერულში დადასტურებული სიტყვა ბუნი \\\ ბუნე მნიშვნელობით: ერთი პაპის შთამომავალნი, ერთი ოჯახის განაყოფი. 10 მოსახლე

ვართ განაყოფი, გვიძახიან ერთ ბუნს, ერთი ბაბუის ნაშიერს (ხიდა-რი). ერთ *ბუნს* მადრამეებისას ბაბუა ყოლებოდა მორჩილი კაცი და აქედან დეერქვათ კუკური (ლელვანი). თქვენი ბუნეს გარდა არიან ხარატიშვილები? (ხიდარი). ერთი ბაბუის განაყოფი ერთი ბუნეა (ტაბაკინი). რაც იქ ვიცით, ის ვიცით ამ ჩემ *ბუნეშიც* (ფუთი). ბუნობით „გვარის შიგნით“. ერთი პაპიდან წარმომავლობის, ბუნის მიხედვით. ჩვენე *ბუნობით* მახარობლიშვილეთს გვიძახოდენ (ლელვანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ბუნი ერთი წინაპრის შთამომავლობა მეოთხე-მეხუთე თაობამდე. ერთ ბაბუიშვილებს ერთი *ბუნი* ქვია. ჩვენ ერთი *ბუნის* ვართ, ისი არ არი ჩვენი ბუნის (ხანისწყალი, იმერ. გაჩ.). ბუნი წრე ბიძაშვილებისა, რომელთაც საერთო წინაპარი ჰყავთ: ბუნი მოიცავს სამ, ხუთ (ზოგჯერ, თუ სათვალავი იციან, – თორმეტ) თაობას, რომლის შიგნით ქორწინებაა არაა მიღებული (იმ. ქავთ. IV).

შდრ. ბუნა წყება, ერთი დაჯგუფება, ნაწილი ჯოგისა, ფარისა (რამდენიმე ათეული სული და მეტი); იგივეა, რაც ნოტო (მეგრ. ქობ.).

ძველსავე ქართულში დასტურდება ბუნი ბუდე (თვალისა). რამეთუ იყო იგი ჯორცითაცა განრლუეულ და თუალნი არა *ბუნსა* ზედა სხდეს (მ. ცხ. 37, 23). ამ მნიშვნელობით ბუნი//ბუნე დიალექტებში შემდეგ შემთხვევებში გვხვდება:

ბუნი რისამე ჩასათესად ამოთხრილი ორმო (თონ., დვალ., ლოლოვ., ქართლ. მენთ.).

ბუნე ბუდე, ბუნაგი. ზამთრობით დათვი თავი *ბუნეში* წვეს და თათ ილოკამს (ჯავახ. ბერ.). ბუნე ხვრელი, სორო. შეიტანა ისევე თავის *ბუნეში* (ჯავახ. მარტ.).

შდრ. ბუნაური საბუდარი - დ. ჩუბ.

ბუნი\ბუნია არაბულათ საფუძველსა ნიშნავს – ბუნიათ; სომხურად უფრო ჰგავს (ბუნ, პუნ) – თ. ბაგრატი.

ბუნი იგივე უნდა იყოს რაც სპარსულში მზ. ანდრონიკაშვილის მიერ გამოყოფილი „ძირის, ფუძის, საძირკვლის, ფესვის“ აღმნიშვნე-

ლი ბუნ. შეადარეთ აგრეთვე ქართული სიტყვები ბუნი (ბუნ-თურქ-ნი „მოქც. ქართ.“) და ბუნაგი, რომლებშიაც იგივე ძირი ბუნ- გვაქვს შემონახული (ანდრონიკაშვილი, I, 1966, 298)

II. ბუნი შუბის ტარი (საბა). *ბუნი* ჰორლისა მისისაჲ ექუსასი სასწორი (I მგ. 17, 7). მიყო *ბუნი*. ჰორლისა თვისაჲ, დააწო გოლსა მას თაფლისასა (I მგ. 14, 27). *ბუნი* ჰორლისა მისისაჲ იყო ვითარცა ლვილი ქსლისაჲ (II მგ. 21, 19).

ორთავ ოროლის ტარები მიჰყვეს (*ბუნი*) (ამირანდ. 590, სქ.4).

ბუნი ბუნიკი, სათიხარი. ქვეით გაისმა ლოდებზე მგზავრის ხმლის *ბუნის* ჩხარაო (ვაჟა). აფშინამ ხანჯრის *ბუნისა* ვერცხლი არაყში ჩათალა (ვაჟა).

ბუნი ხანჯლისა და ხმლის ქარქამის ბოლოზე წამოსაცმელი რკინა – ბუნიკი (ხევს. ჭინჭ.). ბუნის მნიშვნელობით ქეგლში დასტურდება ბუნიკი რაიმე საგნის ბოლოზე წამოსაცმელი ამოდრუებული საგანი (ჩვეულებრივ – ლითონისა). სინონ. სათიხარი. ხანჯლის ქარქამის ბუნიკი. – შუბს ხის ბუნი, ანუ ტარი ჰქონია, რომელსაც ბოლოში ზოგჯერ ლითონის ბუნიკი ანუ სათიხარი ჰქონდა ხოლმე (ივ. ჯავახ.). სპილოს ძვლის დაგრეხილი ჯოხი და მისი მძიმე ვერცხლის ბუნიკი... მსიამოვნებდა ხელში (ვ. ჭელ. თარგმ.). მხეცმა... გვერდი გაჰკრა შუბის ბუნიკს (რ. თვარ. თარგმ.).

გვხვდება ფონეტიკური ვარიანტიც: ბურნუკი იგივეა, რაც ბუნიკი (დ. ჩუბინ.). უხდებოდა ქავთარს მაღლა აწეულ ხელზე ბეჭედი, ძირს – ტყავის პალტოს კალთიდან გაშვერილი ბრჭყვიალა ბურნუკი (გ. ბუთხ.).

ბუნი აღნიშნული მნიშვნელობით დასტურდება მეგრულშიც. ბუნი ბუნიკი, დროშის შუბის ტარის დაბოლოება (მეგრ. ქობ.).

ბ. გიგინეიშვილის აზრით კი ძველქართულისეული სიტყვები ბუნი 1. ტარი; 2. „მკვიდრი“, „ძირითადი“. ეს ორი მნიშვნელობა ალბათ ერთიანდებოდა უფრო ზოგად ერთ მნიშვნელობაში: „ძირი“, „საფუძველი“, „საყრდენი“, რომელთაგან ერთის მხრივ მივიღეთ, „მკვიდრის მნიშვნელობა“, მეორე მხრივ კი- „კონკრეტული საგნის

საყრდენის“, ანუ „ტარის“ მნიშვნელობა. შემოსულია სპარსულიდან (შდრ. ფალ. bun, „საფუძველი“, „სულიერი ღერძი“, „სულიერი საყრდენი“ (Nyberg 50; Mackenze 20), ახ. სპარს. bun ამავე მნიშვნელობით) (გიგინეიშვილი, 2016, 68).

მიგვაჩნია, რომ ბუნი < ბუნიკი. ბუნიკი < ფალ. ბუნიკი (ანდრონიკაშვილი, I, 1966, 169).

ბჭე:

I. ბჭე შესასვლელი სახლთა ტაძართა – საბა. ბჭე „კარი“, მთავარი შესავალი, კარიბჭე: დადგეს შესავალთა მათ *ბჭეთა* ქალაქისათა“ M, – დადგეს კარსა ზედა ქალაქისასა (G, ისუ ნ. 20, 4). შევიდოდეთ იწროს მას *ბჭესა* (მთ. 7, 13). მიეახლნეს იგინი *ბჭეთა* ქალაქისათა (ლ. 7, 12). აღიკვიდიან და დასვან...*ბჭეთა* თანა მის ტაძრისათა (საქ. მოც. 3, 2). დადგეს იგი ზღურბლთა ზედა მის *ბჭისათა* (H – 341, 685). დაშთეს იგინი გარეშე *ბჭეთა* (მ. სწ. 59, 3).

ბჭითი-ბჭედ კარიდან-კარამდე. განზომა ეზოY იგი *ბჭითი-ბჭედ* (O, ეზეკ. 40, 23).

საშუალ ქართული: მუნებურნი ვაჭარნი ფარჩას გაუშლიან შესავალს ქალაქის *ბჭეშთა* და ზედან გარდაუვლის ხელმწიფე თუ ხანი (კალმ. 222, 4). ადახენით, მთავარნო, *ბჭენი* (დ. გურამ. 155, 7, 1).

საშუალ ქართულშივე ბჭე „გულის კარის“ მნიშვნელობითაც დასტურდება. ქაავ მჭედელს წინა ქონდა ტყავი, კალთას უკუსსაკრი, ცეცხლისათვის მოსაფენი *ბჭედაზედა* (შჰნ. III, 443, 2). შენი სიცოცხლე გაგრძელდეს საუკუნემდე ბრჭეო და, მოჩივართ ღია ეღირსოს თქუენის გულისა *ბჭეო* და! (ქილ. 402, 15).

ახალი ქართულში, ქეგლის მიხედვით იგი პოლისემიური სიტყვაა: ბჭე ძვ. I. დიდი კარი, შესასვლელი. მზის ყვავილი გადაშლილა დიდუბიდან ისნის *ბჭემდე* (ა. ბაშ.). ბაღი მაქვს იგეთ-აგეთი, გარს ზღუდე, ხუროს ნაგები... უჩემოდ ვერვის მიართვეს იმის *ბჭის* კარის საღები (ბაჩ.). ისევ დახშავდნენ *ბჭეებს* ციხისას (კ. გამს.). გუნდის ზეციურმა ხმებმა კვლავ ადავსეს ტაძრის მღალი *ბჭეები* (რ. ჯაფ.).

ბჭენი ჯოჯობეთისანი ძვ. ჯოჯობეთის კარი. გაისმა *ჯოჯობეთის ბჭეთა* რაკუნნი (ვაჟა). დაიქცა *ბჭენი ჯოჯობეთისანი* (ნ. ლომ.).

2. გადატ. ზღუდე-გალავანი, რაშიც ასეთი შესასვლელი დატანებული. იქნებ დადამებამდე რომელიმე ქალაქის *ბჭეს* მივადწიოთ (ა. სულავა). ფიგურ. გაზაფხული სალამზეა, ქართლის *ბჭესთან* შემოსული (გ. ლეონ.).

ბჭე გამოიყოფა ხევსურულში დადასტურებულ კომპოზიტიში ქერაბჭონი სახლის ქერი და კუთხე-კუნჭულები, – ქერი და ბჭეები (ხევს. ჭინჭ.).

გამოთქმულია მოსაზრება რომ ქართ. ბჭე ნასესხები უნდა იყოს ადიღური ენებიდან (შაგიროვი, 1977, 84).

II. ბჭე „მთავარი“, „კრიტისი“, მსაჯული, მოსამართლე. მისცეს პილატეს *ბჭესა* C –მისცეს იგი პილატეს მთავარსა (DE, მთ. 27, 2). მე დღეს მოცალე ქმნილ ვარ და *ბჭე* და კრიტის (მ. ცხ. 225r). უკუეთუ დიდი...საქმე არნ გინა სამეფოდ, გინა *ბჭისად*, ეკლესიას დაიუზნის ძმანი (ი-ე. 38, 4).

ბჭეთ-მწიგნობარი მდივან-მწიგნობარი. დავეწერე... *ბჭეთ-მწიგნობარმან* გორდიანე მეფისამან (ფლკტ.160,22). *ბჭე* მოსამართლე: ესე ბურჯი კათალიკოზთა, ებისკოპოსთა და *ბჭეთად* არს (ეტლ. 9, 12) ...მისნი არიან... და ადგილთაგან ეკლესიად და მონასტრები და *ბჭეთა* საჯდომი (ეტლ. 9, 16).

საშუალ ქართულში ამ მნიშვნელობის ბჭე გავრცელებული ლექსემაა. თინათინ ზედა აწვივა ტახტსა მეფეთა ზეთასა; ტარიელ უთხრა: „შენ დაჯე! სწადიან *ბჭესა ბჭეთასა*“ (რუსთაველი).

თქვენსა და ჩვენსა შუა მოსამართლე და, შემოქმედი იყოს ამისა მოწამე *ბჭე* (შჰნ. III, 473, 38). პირველ *ბჭედ* საშუალ გცნობდეს (თეიმ. 325, ქვ. 3). ყოველსა წელიწადსა ჰხამს გამორჩევა *ბჭისა*, ნებითა მეფისათა (სამ. ბატ. 12, ქვ. 5). დავსხედით ღმრთის შიშს ქუეშე *ბჭედ* და მოსამართლედ (სამ. IV, 691, ქვ.14).

მოსამართლის მნიშვნელობის ბჭე ქეგლის მიხედვით უკვე ძველი ფორმაა.

ბჭე ძვ. სადავო საქმის გამრჩევი, – მედიატორი, მოსამართლე. სტუმარი რომ *ბჭედ* დადგება, სახლი მაშინ სწორდება (ანდაზა). *ბჭე-ეზის* მეტი ყველანი დაითხოვს და დაიწყეს განსჯა და აწონა ყველა ჩვენებისა და გაგონილისა (ა. ყაზბ.).

ამ მნიშვნელობით დასტურდება ზოგ დიალექტშიც. ბჭე რაიმე სადავო საქმის გადასაწყვეტად თავშეყრილი უფროსები, მერჯულე ხალხი. ლხინს ვეძებდი, ვერ ვპოვე, ჭირი ჩემზედა ბევრდება. *ბჭეს* ვკითხე, მითხრა: „გიძელ, შენ სხვა არაი გერგება“ (ხევს. პოეზ. 675, 5). სალაშქროს დროშას ხკაზმევდეს *ბჭენი* და ჳევის-ბერია (ხევს. პოეზ. 541, 23). – გაღბჭევით, *ბჭეებო?* რაისანი ხართ მთქმელნია? (ხევს. პოეზ. 560 ბ, 18) – ჭინჭ. ბჭენ^ა სასამართლო, მსაჯულთა შეკრებილობა. *ბჭენ* შიყყარნიან (თუშ. ცოც.).

ბჭე შეიძლება შემდეგი ფონეტიკური სახითაც შეგვხვდეს:

1. **ბრჭე** ან მობრჭე განმსჯელსა და მოსამართლესა ეწოდება (თ. ბაგრატი.).

...შენ მარტო მისრულ ხარ *ბრჭისასა* და ცუდად უსამართლო დია გითქუამს (ვისრ. 118, 16).

ვაჟო, რად ვიბრძვით, *ბრჭემ* გვისამართლოსო! (ქილ. 402, 10). ჩუენ *ბრჭეთა* ასრე გავაჩინეთ (სამ. IV, 52, 15).

დავსხედით მათისა კარისა *ბრჭენი* და მოურავნი (სამ. IV 46, ქვ.1). მეფისა ბრძანება დაიჯერა, და რა *ბრჭენი* საბრჭოთა დასხდინან, მასცა მოუწოდდენა და უმისოდ არას გაბრჭობდენ (ქილ. 444, 19). გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა (ვეფხ. 959, 1). სწადიან ბრჭესა ბრჭეთასა (ვეფხ. 1542, 2).

2. **პრჭე**: გივი იტყვის: შემოქმედო, *პრჭე* ხარ, ამას ემართლები (შჰნ. II, 4256, 1). პჭე: შეწევნითა ღმრთისათა დავსხედით ჩუენ *პჭენი* (სამ. IV, 114, 53, 11).

გათენდა და ტანს ჩაიცვა, ეხვეწების *პრჭეთა პრჭესა* (შჰნ. II, 4505, 1).

3. ხევსურულში გვხვდება მბჭე: ბევრის მტრისა გამრიესაო ენასა *მბჭეჩი* ზიდავ-დაეო? (ეთნ. III, 1, 11) - ჭინჭ.

მბჭე-ჯევისბერნი: აბეჩვ, ჯუნჩალაურაო, *მბჭე-ჯევისბერნი* მარულო (ეთნ. III, 2, 4) - ჭინჭ.

ბჭე სიტყვის ომონიმურ ცალების შესახებ შემდეგი მოსაზრებები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში:

1. სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოები მოქმ. გვარის ობ-იან ზმნათა შორის ა. შანიძეს დასახელებული აქვს ასევე ბჭე (= მოსამართლე) - ვბჭობ („კაცი ბჭობდა“) (შანიძე, 1980, 402).

2. ივ. ქავთარაძეს მიაჩნია, რომ საშუალო გვარის -ობ სუფიქსი მოუდის მოქმედებითსაც, რომელსაც ჩვეულებრივ ა- პრეფიქსიც შეიძლება ექნეს: გან-ა-ბჭობ-ს, ნამყო წყვეტილი განაბჭო (კიმ. I, 120, 14). უძველესი წარმოების დამახასიათებელია მიმდებარე ბჭე <მ-ბჭე (შდრ. ძალ-ი: მ-ძლ-ე) (ქავთარაძე 1954, 109).

3. ფუძის მომდევნოდ გაუჩინარებულია -ევ მარცვალი: ბჭ<*ბჭევ (კაცობრივ განბჭე, სწავლ. 29, 20; ფრიადიტა გამოძიებითა განბჭო, ცხრ. 118, 20; შდრ.: განვაბჭვეთ, სკლ. სბთ. II, 158, 5; *ბჭევ>ბჭე. ბჭე-მარტივდება, > ბჭ, ამ უკანასკნელისაგან > პჭ, შდრ.: პჭობა, გურმ. 169, 23, 1) (ერთელიშვილი, 1970, 271).

4. ბჭე სიტყვათა ომონიმია მეორეულია და ბიბლიურ რეალიებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ცნობილია, რომ ბიბლიურ სამყაროში -იერუსალიმსა თუ სხვა ქალაქებში გალავნის შესავლელთან, ბჭესთან, კარიბჭესთან თავს იყრიდა მილეთის ხალხი და აქ წყდებოდა ქვეყნის ყველა საქმე - სასამართლო, სამედიატორო თუ სხვ. ეს იყო მსჯელობის, თათბირის, ბჭობის ადგილი. ამ საქმიანობის წარმართველი კი იყო ბჭესთან მდგომი პიროვნება - გამრიგე, მომწესრიგებელი, რომელსაც როგორც საუბარში ზ. სარჯველაძემ აღნიშნა, შეიძლება მ-ბჭე ერქვა. შემდგომში თავკიდურა მ-ს დაკარგვამ გამოიწვია კიდევ ის ომონიმია, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. ამგვარად, „მოსამართლის“, „მსაჯულის“ სემანტიკას ამ შემთხვევაში უდევს „კარის“ (ბჭის), „შესასვლელის“ მნიშვნელობა. თითონ ბჭე კი უნდა მომდინარეობდეს მჭე სიტყვისაგან, სადაც უნდა გამოიყოფოდეს ჭ ძირი, მ-ე კონფიქსით ნაწარმოები. მ-ჭე კონფიქსით ნაწარმოები მ-ჭე (>ბჭე)

ოდესლაც ნიშნავდა - „მჭერი“, დამჭერი“. კარი - ...ამავე სიტყვას უკავშირდება ბჭობა-ც (*მჭის საქმიანობა) (თოფურია, 1998, 106-108).

5. ბელა შავხელიშვილის ზეპირი ცნობით, ბჭე-ში თავკიდური *ბ- კლასის ნიშანი უნდა იყოს, მისი *ბ-კლასი იმას მიუთითებს, რომ შესაძლოა ბჭე -*ჭა-ს (*ჭა-ი>*ბ-ჭ-ე) უკავშირდება, და თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭა მოსახლეობის თავშეყრის ადგილი იყო, მაშინ *ბ-ს დამატება ზმნაში *ბ-ჭობა - კანონზომიერია, რადგან იგი მრავლობითი კლასის მარკერია. ჭიშკარიც ხომ აქედანაა > ჭი-ს-კარი (თავდაპირველად ჭას ხომ უკეთებოდა ერთგვარი ღობე-დაცვა რომ არ დაბინძურებულიყო ან განგებ არ შეელახათ ეს ადგილი.

ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებით, ბჭე წარმოშობით მიმღეობაა და აღნიშნავს მას, ვინც ბჭობს. ნაწარმოებია იგი მ-ე ცირკუმფიქსით ბჭ-ძირისაგან. თავდაპირველი ფორმა *მ-ბჭ-ე არ შემონახულა მ-ს დაკარგვის გამო ბ-ს წინ სიტყვის თავში... ბჭე სიტყვის მ-თავსართიანი ფორმა შენახულა გურულ დიალექტში მ-ჭვე-ი-ს სახით: ჯორი შვილს შობდეს, ვირი მჭვე-თ იჯდეს, მგელი თავს ადგეს ჭიანურითა (ჩაწერილია კონა გიგინეიშვილის მიერ 20-იან წლებში). კონა გიგინეიშვილის აზრით, გურული მჭვე („მოსამართლე“) იგივეა, რაც ქართულის **ბრჭე** (მ-ს იგი არ ვარაუდობდა თავსართად). ხოლო გვარი **ჭეი-შვილი** მომდინარეობს ფორმისაგან ***მჭვეი-შვილი**, ე. ი. „მოსამართლის შვილი“ (ეტიმოლოგიურად). მჭვე მართლაც უნდა უკავშირდებოდეს ძვ. ქართ. ბჭე-ს (<*მ-ბჭ-ე), რაც შეეხება ფ-ს გურულ ფორმაში, იგი შესაძლოა გადასმული ბ იყოს: *მ-ბჭ-ე > *მჭბე > მჭვე (?). თვით ბჭ- ძირის შემდგომი ეტიმოლოგია დაუდგენელია. ქართველური შესატყვისები მას არ უჩანს (გიგინეიშვილი, 2016,72).

ჩვენც მიგვაჩნია, რომ 1.ბჭე < მჭე „მჭერი“; 2.ბჭე (<*მ-ბჭ-ე) „ვინც ბჭობს“.

ჩვენს მიერ ზემოგანხილული ძველქართულისეულ ომონიმებიდან, ქეგლის მონაცემების გათვალისწინებით, ახალ ქართულში აღარ დასტურდება ბარსაბონი, მისი ერთ-ერთი ომონიმური ცალი კი მხოლოდ ფონეტიკური ცვლილებითაა შემონახული. მნიშვნელო-

ბათა მეტ-ნაკლები გადაწევით გვხვდება ბჭე, ომონიმურ წყვილების სახით აღარ იხმარება ავლი, ასპიდი, ბედი, ბუმი; ამბარი, არაკი კი განსხვავებულ ომონიმურ წყვილს ქმნის.

ლიტერატურა:

ანდრონიკაშვილი 1966 – მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ.

ანდრონიკაშვილი 1996 – მზ. ანდრონიკაშვილი, მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის ტ. II, ნაწ. I, თბ.

გიგინეიშვილი 2016 - ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), თბ.

ერთელიშვილი 1970 – ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ.

თოფურია 1998 - გ.თოფურია, **ბჭე** სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი.

კაკიტაძე 2005 – ვ. კაკიტაძე, სიტყვის მნიშვნელობის ცვლის საკითხები ქართულში თბ.

ომიაძე 2009 – ს. ომიაძე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბ.

სიხარულიძე 2010 - ავ. სიხარულიძე, ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი, თბ.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ.

ქავთარაძე 1954 – ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ.

ქავთარაძე 1969 – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVII ს., თბ.

შაგიროვი 1977, 84 – Шаги́ров А. К. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, А–Н, П– I, М.

შანიძე 1980 – აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ.

ჩიქოზავა 1997 – არნ. ჩიქოზავა, ეტიმოლოგიური და შედარებითი ლექსიკონების ურთიერთობის საკითხისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბ.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი თბ.

შემოკლებათა განმარტება:

აბულ. – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ამირანდ. – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსცა ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967.

ამონ. – ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭალმაძემ და მ. რაფაევამ. თბ., 1983.

არჩ. - არჩილი, ქართული მწერლობა, მეექვსე, თბ., 1989.

Aura. ge – Aura. ge - ელექტრონული წყარო.

თ. ბაგრატ. – თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960.

ბალავ. – ბალავარიანის ქართული ვერსიები, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1957.

ნ. ბარათ. – გ. გოგატიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სიმფონია, თბ., 1973.

ბას. კეს.-ექუს. დდ. – ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983.

დ. გურამ. – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ს. ცაიშვილმა, ლექსიკონი შედგენილია ივ. გიგინეიშვილის მიერ, თბ., 1980.

დან. – ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები) ტ. I, ნაწილი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ვ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. დანელიამ, თბ., 1987.

ეტლ. – ეტლთა და შუდთა მნათობთათჳს, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1975.

ვახტ. VI – ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975.

ვეფხ. – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966.

ვეფხ. სიმფ. – ვეფხისტყაოსნის სიმფონია შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1956.

ვისრ. – ვისრამიანი, გამოსცეს ალ. გვახარია და მაგ. თოდუამ, თბ., 1962.

თეიმ. I – თეიმურაზ პირველი, ქართული მწერლობა, ტომი მეექვსე, თბ., 1989.

თურქ. – Турецко-русский словарь. Авторы: А. Н. Баскаков, Н. П. Голубева и др., М., 1977.

ზ.-იმერ. ძოწენ. – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

თუშ. ცოც. – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2002.

იად. – დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1985.

იმერ. გარ. – ვ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

იმერ. ქავთ. – ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, თბ., III, 1963; IV, 1974.

კალმ.- იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ქართული პროზა, წიგნი VI, რომ თბ.,1984.

„მარანი“ – „მარანი“, ელექტრონული წყარო.

მეგრ. ქობ. – ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

მეგრ. ქაჯ. – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 2002; IV, (დამატებანი), თბ. 2009.

მესხ. ფეიქრ. – ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.

მ. ცხ. - მამათა ცხორებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.

მც. სჯ. – მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბ., 1972.

პეტრიწონ. – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია, ტ. IX, თბ., 1986.

რაჭ. კობახ. – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი ალ. კობახიძე, თბ., 1987.

რუსუდ. – რუსუდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

დ. სააკ.– დიმიტრი სააკაძე, ქართული მწერლობა, 8, თბ, 1990.

საბა – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბ., 1966; თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1966.

სამ. ბატ. დავ. – სამართალი ბატონისშვილი დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964.

სამ. – ქართული სამართლის ძეგლები, IV, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972.

სარჯ. – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.

სვან. ლიპარტ. – ასლან ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბ., 1994.

სპარს. – Персидско-русский словарь. Составители М.Н. Османов, Д. Х. Дорри и др. т. I-II, М., 1985.

უმიკ. – პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, თბ., 1964.

უცხ. თეზ. – სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილი უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 2005.

ფლავ. – იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელ-სიტყუაობისანი, II, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. მელიქიშვილმა თბ., 1988.

ფშ. ზოდ. – ლ. ზოდაშვილი, ფშავი და ფშავლები, თბ., 1988.

ქ. ცხ. II – ქართლის ცხოვრება, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. ტ. II, 1959; ტ. IV, 1973.

ქართლ. მესხ. – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები), თბ., 2006.

ქართლ. მენტ. – სტ. მენტეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970.

ქართლ. სალარ. – თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან, იკე, XVII, თბ., 1970.

ქართლ. ძიძიგ. – შ. ძიძიგ. ანგარიში შ. ძიძიგური, ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის ანგარიში, ენიმკის მოამბე, II, თბ., 1937.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, რედ. არნ. ჩიქობავა, თბ., 1950; ახალი რედაქცია, ტომი I, რედ. ავ. არაბული, თბ., 2007.

ქილ. – ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, გამოსცა მ. თოდუამ, თბ., 1975.

ღლ. – ალ. ღლონტი, ქართულ კილო თქმათა სიტყვის კონ, თბ., 1984.

ქიზ. მენტ. – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

ქიზ. მრეწ. – ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად, ტომი 1, აღმშენებლობა და ავეჯი, თბ., 1976.

ყაზბ. IV – შ. ძიძიგური, ა. ყაზბეგის ლექსიკონი, თხზ. I-IV, თბ., 1948-50.

შავთ. – ძველი ქართველნი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლეა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1964.

შავშ. – შავშეთი, წიგნის ავტორები: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე და სხვები..., რედ. მ. ფაღავა, ბათუმი, 2010 (ელექტრონული ვერსია).

შაჰნამე – შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები I, ი. აბულადის გამოცემა, თბ. 1916; ტ. II, ისტ. აბულადის, ალ. ბარამიძის კ. იგოროვას კ. კვეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით: კომენტარებით და ლექსიკონით, ტფ. 1934; ტ. III, გამოსცა დ. კობიძემ, თბ., 1974.

ჩვენ. ფუტკ. – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

დ. ჩუბინ. – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984.

ნ. ჩუბინ. – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.

ნ. ციც. – ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები, ქართული მწერლობა, ტომი 5, თბ., 1988.

ხევს. ჭინჭ. – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.

ჯავახ. ბერ. – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1982.

ჯავახ. ზედგ. – გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბ., 2014.

ჯავახ. მარტ. – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

Nineli Chokhonelidze

On the History of Some Old Georgian Nominal Homonyms

Summary

The paper deals with the history of some old Georgian homonyms as the objects of diachronic lexicography. They are as follows: **avli**, **ambari**, **araki**, **are**, **aspidi**, **barsaboni**, **buni**, **bce**. According to the dialectological data and literary Georgian we have the following situation in the modern Georgian language:

1. With a slight change of its meanings just the homonym **bce** is attested;

2. The homonyms **ambari** and **araki** create quite a different homonymous pair;

3. : **avli**, **ambari**, **aspidi**, **bedi**, **buni** are not homonyms any more as they are attested independently;

4. As a result of the phonetic change of old Georgian **aspidi** “a snake” and modern Georgian **aspidi** “dauk” we have new homonyms that contain **aspit**.

The word **barsaboni** is not attested in modern Georgian any longer while one of its old Georgian homonyms is still preserved with the phonetic change.

წინადადება

საქართველოს ადგილობრივი მნიშვნელობის მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვის აქტივობის შედეგად

ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს აღწერილობაში დასტურდება ტოპონიმი **ყურსები**: „გელათს ზევით წყალწითელას მოერთვის, **ყურსებს**, საწირის წყალი. ეს გამოსდის ნაქერალას მთას და მოდის ჩრდილოთ-აღმოსავლეთს შუა... ამას ზევით, ამავე წყალზედ, საწირეს არს ციხე. ამის გარემოს ითხრების რკინა და ლითონი მრავლად. **ყურსებს** ზევით ეყრების წყალწითელას ახალდაბის ჳევი... კუალად **ყურსებსვე** მოერთვის წყალწითელას ოჯოლას ჳევი, ჩრდილოთ-დასავლეთს შუადამ. ამის სათავის ზევით არს ჯუარისა ციხე...“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

დღეს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებული **ყურსები** ფონეტიკურად სახეცვლილია: **ყურსები > კურსები**.

გურამ ბედოშვილის „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ **კურსების** შესახებ ვკითხულობთ:

„**კურსები** ცნობილი სოფელი ზემო იმერეთში, გელათთან ახლოს. სარწმუნო ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. ვახუშტი ბატონიშვილი მას **ყურსებად** მოიხსენიებს: „გელათს ზევით წყალწითელას მოერთვის, **ყურსებს**, საწირის-წყალი“. როგორც ჩანს, **ყურსებ-** ფორმამ უბიძგა ხალხს, რომ ადგილობრივ ასეთი ვერსია გაჩენილიყო: სოფელი გელათს **ყურს ება** (ყურის ძირში, იქვე არის გაშენებული), ამიტომ **ყურსები** შეურქმევიათო (გიორგი გოგოლაშვილის ცნობით).

ანეკდოტურია კ. ჰანის ვარაუდი, - სოფელს კურსები იმიტომ შეურქმევია, რომ აქ ძველად ძალზე ბევრი რკინის მადნის სადნობი ქურები («горнило») ჰქონიათ მოწყობილიო [СМОНПК 40, ტფილისი, 1909, გვ. 91].

სავარაუდოდ შეიძლება დაგვეშვა ზანური (მეგრული) სიტყვა **კურსუ** („შემაღლებული ადგილი“, „ბორცვნარი“), თუ დაბრკოლებას არ შექმნიდა ბოლოკიდური **უ** ხმოვნის მოკვეცის შემთხვევა. **ზ** თანხმოვნის **ს** თანხმოვნად გარდაქცევა სიტვის აბსოლუტურ ბო-

ლოში უჩვეულო და მოულოდნელი არ არის. ტოპონიმი კურსები თავდაპირველად, როგორც ჩანს, -**ევ** სუფიქსით იყო წარმოდგენილი: **კურს-ევ-ი**. ამ აზრისკენ გვიბიძგებს ის ფაქტი, რომ მე-16 საუკუნის დასაწყისის, კერძოდ, 1510 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში იმერეთის ამ რეგიონში მოხსენიებულია სოფელი **კურ-ევ-ი**. „**კურევი** მცხოვრებნი ჭალანგირაძეები 5 კომლი...“ ამას გარდა ერთობ საგულისხმო ჩანს ის ფაქტი, რომ ისტორიულ ოკრიბაში არსებობდა სოფელი **კორსევი**, რომლის ბერინაცვალ ფორმად შეიძლება **კურსები** მივიჩნიოთ. -**ევ** და -**ებ** სუფიქსთა ფუნქციური თანხვედრის ლიტერატურაში ცნობილია. ისიც უთუოდ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სწორედ ოკრიბის მეზობლად, დღევ. ყორნისის რაიონში (მსხლების სას. ს.) სოფლის სახელად დასტურდება **ზემო და ქვემო კორსევი**. საკვლევია **კორს-//კურს-** ძირების შინაარსი. როგორც უკვე ვთქვით, გამოირიცხული არ უნდა იყოს მისი კავშირი მეგრ. **კურზუ** სიტყვასთან, თუმცა ამ ვარაუდის საბოლოოდ დამტკიცება გარკვეული რიგის სიმძნელებთან არის დაკავშირებული.” - შენიშნავს მკვლევარი და თან დასძენს:

„საკითხავია, ხომ არ არის ტოპონიმი **კურსები** იმ უძველესი გეოგრაფიული სახელის გადმონაშთი, რომელიც საქართველოს ისტორიაში „**კურასებას**“ სახით იყო ცნობილი და რომელიც „შვიდ სოფლად“ (ჰეპტა კომე) გაიანზრებოდა?“ (ბედომვილი I, 2002 : 210).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელი **კურსები** ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებული ფონეტიკურად სახეცვლილი **ყურსებია: ყურსები >კურსები**.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ყურსი** არის: „მვ. 1. მკვრივი, კოშტი რამ (დ. ჩუბინ.). 2. ზოდი (ჩუბინ.). შდრ. დაყურსვა¹“ (ქეგლ VII, 1962). **დაყურსვა¹** დახალასება, დაწმენდა (ვერცხლისა, ოქროსი). **დაყურსული¹** დახალასებული, დაწმენდილი (ოქრო, ვერცხლი) (ქეგლ III, 1953).¹

¹ საყურადღებოა, რომ ქართულ დიალექტებში დასტურდება ომონიმური ფუძე „გაჩუმება, დადუმება, განაზვისა“ და „ძალზედ დატვირთვა, და-

დავით ჩუბინაშვილის განმარტებით: **ყურსი** (არაბ.) მკვრივი твердая масса; მეტალის ზოდი очищенное золото в элитках, металл; სიკლის წონა ან 18 გირვანქა და 22 მისხალი... **დაყურსებული ოქრო; ყურსი** очищенное золото ... (ჩუბინაშვილი 1984).¹

სიტყვა **ყურსი** სულხან-საბასთან ცალკე ლექსიკურ ერთეულად არ არის გამოტანილი, მაგრამ იგი დასტურდება სხვა სიტყვათა [**ზოდი, შანთი, ფილი**] განმარტებებში: **ზოდი** (+ ესე A) არს ნადნობი ერთი გვამი ილეკროთაგანი ZA... არს ნადნობი ერთგვამოვნად: ვეცხლი, რკინა და მისთანანი Cb. [შდრ. უცხო შესატყვისობანში: **ზოდი** თურქ. **ყურსი** ZAaBC; სომხ. **ზოთ** CaqDE.] (სულხან-საბა I, 1991; II, 1993).

ე.ი. ზოდის სინონიმებია: **ბენძლი, ყურსი** [თურქ. ყურსი, სომხ. ზოდი, ბერძნ. ილეკრო, ქართული - **ბენძლი** (?)].

საბას განმარტებით: **ბენძლი** უმუშევარი **ილეკრო** ZAB; ნ. და-ბენძლა, დაბენძლილი... **დაბენძლა** ილეკროს მიწა და ქვა რა დაადნო და ბენძლად შექმნა ZA [**ილეკრო** ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად ZA...](სულხან-საბა I, 1991);² **ილეკრო, ილეკატრო** [ბერძნ.] ბრწყინვალე მეტალლი, რომელსაც შეადგენდნენ ძველნი 4/5 ნაწილისაგან ოქროსა და 1/5 ნაწილისაგან ვერცხლისა, илектръ, ეხეკ. 1-5 (ჩუბინაშვილი 1984).

შანთი (+ 41,10 ობ. ZAa) გაჯურვებული რკინა ZAB. ცეცხლით

ხუნძელის” სემანტიკით; მსგავსი მნიშვნელობებით **ყურს-** ძირი მეგრულშიც დასტურდება: მეგრ. **ყურსუა** იხ. **ყურსუა** - 1. გაჩუმება; 2. დაწმენდა... [დაწვრილებით ამის შესახებ იხ. „ყურს სიტყვის სემანტიკისათვის”, იკვ XLIV, 2016 წ.]

¹ ძველ ქართულ ტექსტებში სიტყვა **ყურსი** ვერ მოვიპოვეთ.

² **ილეკრო, ილეკტრიონი** და **ლიკტრიონი** [**ლიკტორი** Cq] ერთი არს Caq... **ილიკტრიონი** ესე იგი არს ილეკროებთა ფერი ერთბამად ბრწყინვინედეს ZAB. **ილიკტრიონი** (1,4 ეხეკ.) ესრეთ ითქმის ოქროსფერი და ცეცხლისფერი, თანნარევად ბრწყინვალედ ჩნდეს ილეკრო და ლიკტორიცა C. ლიკტორი, ილეკტრო არს ოქროსა და ვეცხლის ფერი თანნარევად... (სულხან-საბა I, 1991).

განჯურვებული Cab. **შანთი** ოქროსა და ვეცხლის შუშა ZA. ოქრო-ვეცხლთ შუშა და ზოდი B... შ ა ნ თ ი ეწოდებიან გა[ნ]ცეცხლებულ-სა რკინასა და რადც[ა] მსგავსად მის[ს]ა განჯურდეს; რომელი განის-როდეს ნაბერწყალსა (წინწყალთა Cq); კვალად შ ა ნ თ ი ოქროთა და ვერცხლთა ზოდთა და ეგვეითართა[თა] ეწოდების C... [უცხო შესა-ტყვისობანში: **შანთი** თურქ. **ყურსი** E. სომხ. [ლურს] E] ...

ვილი (უკმ.) სანთლის კვერეული D, **სანთლის ყურსი** E ... (სულხან-საბა II, 1993).¹

ზემომოყვანილი განმარტებების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ყურსი** არის იგივე **ზოდი** - „ნადნობი ერთი გვამი ილეკროთაგანი... ნადნობი ერთგვამოვნად: ვეცხლი, რკინა და მისთანანი“... // **ბენძლი** // **ილეკრო** „ოქრო, ვეცხლი, სპილენძი, რკინა, ტყვია, კალა და ყოველივე მისთანანი ერთბამად“ ...

ვფიქრობთ, შესაძლოა, **ყურსები** ადგილს, მართლაც, იქ არსებული მადნეულის გამო შერქმეოდა,² ტიპოლოგიურად მსგავსი წარმოების ტოპონიმები ქართულში ბევრია [მდრ.: სოფ. **ზოდი**, ჭიათურის პლატოზე [ასევე, იმერეთში]; **მადნეული**, **წედისი**, **სარკინე**, **სარკინეთი**, **ქვა-წითელი**, **შავი ქვა** - ჭიათურის თავდაპირველი სახელი (ისევე გურამ ბედოშვილის „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიურ ლექსიკონს“ დავიმოწმებთ):

¹ სიტყვა **ყურსი** დასტურდება სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც: ვარძი-ის კომპლექსის მეექვსე სართულზე მდებარე აფთიაქის - „წამლის სახლის“ აღწერილობაში ჩამოთვლილია სააფთიაქო ინვენტარის დასახელებები: „სა-ინტერესოა ამ დროის სააფთიაქო ჭურჭლის მრავალფეროვნება... არსებობდა წამლის ფორმების ნაირსახეობაც: აბი, ფხვნილები, სალბუნნი (მაღამო), **ყურსი** (ტაბლეტი), მაჯუნნი (სხვადასხვა სახის ნარევი რთული წამლის ფორმა), თრიაყი (ანტიდოტი მოწამვლის დროს)... (მელიქიშვილი). მდრ.: **აბი** [არაბ. ჰაბბ „მარცვალი“, „თესლი“, „აბი“] პატარა ბურთულეზად გაკეთებული და-გუნდავებული წამალი საყლაპავად... **ტაბლეტი** [ფრანგ. **ტაბლლეტ**] ფხვიერი წამლის დაწნეხილი პატარა მრგვალი კვერი.

² ყ/კ მონაცვლეობისათვის: ყუნწი//კუნწი, კურდღელი//ყურგრძელი, ბრჭყალი//ზწყალი... -ებ დაბოლოებისათვის: ბაგები, ბოსლები...

„ქალაქ ჭიათურის წარმოქმნამდე აქ ცნობილი იყო პატარა მდინარე ჭიათურა..., რომლის სახელიც საფუძვლად დასდებია ტოპონიმს გასული საუკუნის დამლევისათვის და ჩვენი საუკუნის პირველ ადრეულ წლებში ზემო იმერეთის მკვიდრი მოსახლეობა ამ ახლადწარმოქმნილ ქალაქს **შავ ქვას** უწოდებდა. ეს ვითარება დავით კლდიაშვილის პროზაშიც არის ასახული: „ტყუილად დაეხეტება მავ **შავ-ქვაში**, ხან რკინიგზაზე, ვერსად ვერ შოულობს სამუშაოს“...

...ზემო იმერეთის მოსახლეობაში დღესაც ცოცხლობს გადმოცემები, რომლებშიც კარგად არის ასახული ჭიათურის „შავი ქვის“ მოპოვების პირველი ნაბიჯები. ამ გადმოცემათა მიხედვით, სულ პირველად მარგანეცის „ორი შავი ქვის ბეგი“ ბასილისკლდის ძირში ჩამოუჭრევენებია რუს ებრაელს, გეოლოგ აბიხს, რასაც აკაკი წერეთლის დიდი დაინტერესება და პრაქტიკული შედეგებიც მოჰყოლია: „აკაკიმ ზედა რგანიდან - კვირცხნალიდან - ჩამოატანინა დიდი პლასტი სიმონ ვაშაძეს“, შემდეგ კი შავი ქვის პირველი ურემი დატვირთული ამ პლასტით „აკაკიმ შეატანია ზესტაფონში ოტია ლეჟავასა და სიმონ ვაშაძეს“... (ბედოშვილი I, 2002 : 513).

„**წედის-ი** სოფლები ქართლსა და ზემო რაჭაში... ვახუშტის მოჰყავს ცნობა, რომელიც შეიძლება განმსაზღვრელი აღმოჩნდეს სახელწოდება **წედისის** ეტიმოლოგიის გარკვევაში. ვახუშტის თქმით **წედისში** „არს ლითონი რკინისა და იღებენ მრავალსა“. **წედისი** აშკარად -ის სუფიქსით არის გაფორმებული. ძირია **წედ-**, რომელიც ჩვენ **წიდ-** სიტყვის დიალექტურ ფორმად გვესახება. **წიდა** კი ეწოდება მადნის გადამუშავების (წვის) შედეგად მიღებულ ნარჩენ მასას. მასა-სადამე ტოპონიმ წედისში ასახული ყოფილა რაჭასა და ქართლში ოდითგან არსებული მეტალურგიული შინარეწვის ფაქტი. ქართლის წედისი რკინის მადნით, საფიქრებელია, ადგილობრივი კარიერებიდან მარაგდებოდა (მდრ.: ტოპონიმები **სარკინე, სარკინეთი, მადნეული...**). რაც შეეხება რაჭაში არსებულ წედისს, იგი ძველთაგანვე მნიშვნელოვანი მეტალურგიული კერა ყოფილა. ამის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სარწმუნოდ არის მოთხრობილი. საბო-

ლოოდ წედისი ნიშნავს: „სოფელი, სადაც რკინის სადნობი ქურები ყოფილა“ (ბედომვილი I, 2002 : 492).

ვვიქრობთ, იგივე შეიძლება ითქვას ყურსების (> კურსების) შესახებაც. გურამ ბედომვილის მოსაზრება ტოპონიმ წედისის ეტიმოლოგიის შესახებ თავისუფლად ესადაგება ტოპონიმ ყურსები//კურსების წარმომავლობასაც: სოფელი. სადაც ვახუშტის თქმით, „ამის გარემოს ითხრების რკინა და ლითონი მრავლად...“.

ლიტერატურა:

ბედომვილი I, 2002 - გურამ ბედომვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ვახუშტი ბაგრატიონი - ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გელათისათვის.

სულხან-საბა I, 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I, თბილისი.

სულხან-საბა II, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II, თბილისი.

ქეგლ III, 1953 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლ VII, 1962 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 - დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

მელიქიშვილი - WWW. medeamuseum - ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, ვარძიის აფთიაქი, მარი მელიქიშვილი, წამლის პირველი სასახლეები საქართველოში.

ჰანი 1909 - К. Ган, СМОНИК N40, ტფილისი.

Nino Khakhiashvili Origin of the Term *ḡursebi*

Summary

In “The Description of Georgia” by Vakhushti Batonishvili the toponym *ḡursebi* denoting a place near Gelati is attested. Now it is a phonetically changed name **ḡursebi**. There are several opinions about the origin of this toponym. We think that the place *ḡursebi* (->**ḡursebi**) was named because of the ore found near it. According to the definition by the lexicographers *ḡursi* is “a metal bar” (D. Chubinashvili). “Gold, silver, metal, lead... and everything of that kind” is called **ileḡro** while **zodi** is “cast *ilerko*” (Sulkhan-Saba Orbeliaini).

ნანა ხოჭოლაშვილი-მაჭავარიანი

მცენარის ეკლიანობით მოტოვირებულ სახელთა ლექსიკური ძირების ერთი წყაროსათვის ქართველურ ენებში

ეკლიანობა მცენარის გამოკვეთილი ნიშანია და ნომინაციისას ის ძირითადად გათვალისწინებული ჩანს.

ქართველურ მასალაში მცენარის ეკლიანობა სხვადასხვა წარმომავლობის არაერთი ლექსიკური ერთეულითაა აღნიშნული (*ქართ.* ეკალი, ქაცვი, ქაჭვი/ქაჭი, ბაძგი, ძეძვი, წიწვი; *ზან.* ძიგირი, ქაცუ, ქუნცი, დაძი; *სვან.* ბარჯღ, ცაგ...).

გამოვეფთ მცენარეთა სახელების წყებას, სადაც ვვარაუდობთ ეკლიანობის აღმნიშვნელ ერთმანეთთან დაკავშირებულ უძველეს ლექსიკურ ძირებს. ეს სახელებია:

ქართული. ძეძვი (ლექს.) ეკლიანი ჩირგვი, ძეძვი (ქეგლ 1964: 729); ძეღდე (ლექს.)¹ ეკლებიანი ჩირგვნარი (იქვე, 728); ძიგრა (გურ.)

¹ ძე-უდ-ე; (უდ - სუფიქსის შესახებ - ჩუბუა 2016: 73).

ჯაგრცხილა (მაყაშვილი 1961: 100); (ფშ.) „იგივეა, რაც ჯაგრცხილა“ (ქეგლ 1964: 746); **ძიგურა** (გურ., იმერ.); **ძიგურა/ი** (იმერ., რაჭ.) ეკალიძი, ეკალა (იქვე, 747; ბერიძე 1912: 62); **ძიგვა** [Nardus stricta] ტანდაბალი მარცვლოვანი მცენარე... წვრილი ხეშეში ფოთლები აქვს ქუჩად შეკრებილი... (ქეგლ 1964: 746); **ძიგვე** ერთმანეთში გადახლართული ეკლიანი მცენარეები,- ეკალ-ბარდი (შდრ. **ძიგვა**) (ქეგლ 1964: 747); (იმერ., რაჭ.) ეკალი, ბურდუ (ბერიძე 1912: 62) და სხვა¹. **მეგრული: ძეგვი** ეკალი (ქაჯაია 2002: 382); ძეგვი, დაბალი ბუჩქნარი (ქობალია 2010: 690); **ძაგვი** ძეგვი (იქვე, 688); ეკალ-ლიქნარი (ელიავა 1997: 358); **ძიგვი** ძეგვი (ქობალია 2010: 691); **ძიგვა** ერთგვარი ალპური ბალახი (იქვე, 691); **ძიგი** ეკალ-ბარდი, ძეგვი, ძიგორი (იქვე, 691); **ძიგირე** ეკალა (ქაჯაია 2002: 387); **ძიგირი**, **ძეგერი** ეკალი (ყიფშიძე 1994: 374, 376; ელიავა 1997: 360; კილანავა 1998: 24); „მაყვალი. მეგრულად *ძიგირი* ჰქვიან მცენარეს, რომელიც მოისხამს მაყვალს, ხოლო თვით ამ მცენარის ნაყოფს ჰქვიან *მუჭი*“ (ჭარაია 1997: 163); ეკალი, ეკალ-ბარდი (იგივეა, რაც კაკლარი, კორჩხელი) (ქობალია 2010: 691); 1. ეკალი, ეკალბარდი; 2. მაყვალი, ეკალა, ეკალიჭა (ქაჯაია 2002: 386); **ძეგირი**, კალიეში **ძიგირი** ეკალიძი, ეკალა (მაყაშვილი 1961: 25; ქობალია 2002: 353); **ძიგური** ჩირგვნარი (ქობალია 2010: 691).

ლაზური: მციგურა (<* მძიგურა²) ეკალი (თანდილავა 2013: 556).

სვანური: ძიგორ, **ძეგორ** ეკლნარი, ძეძვი (სვანური ლექსიკონი 2000: 848; 845).

ბ) მცენარეთა სახელების მეორე წყება:

¹ ამ წყებას ვერ მივაკუთვნებთ მცენარეთა იმ სახელებს, რომელთა მოტივაცია დაკავშირებულია მცენარეთა გეოგრაფიულ წარმომავლობასთან და მათ სახელებში დასტურდება ჩვენთვის საინტერესო ძირ-ფუძეები, შდრ: **ძეგურა** - თუთის ჯიში ერთგვარი, თეთრი მსხვილი ნაყოფი აქვს (ქართული დიალექტის ლექსიკონი 1981: 488); **ძიგანოური** - იმერეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ჯიშია (ქეგლ 1964: 746).

